ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი–კვირა

16 — 17 ივლისი, 2011 №167 (5548 ) ფასი: 30 თეთრი

## „ახალი თაობა“+ ვაჟა–ფშაველა 8 ლარი

11 ივლისიდან 25 ივლისამდე




# ეჩმიაძინი ჯავახეთში სომხური ეპარქიის შექმნას ითხოვს?

ქართველებისა და სომხების დაპირისპირებით რუსეთია დაინტერესებული

გვ.3

## პრეზიდენტის დაცვამ პატრიარქი გარხრიკა

გვ.5





## სამშობლოს სადღეგრძელოს ყანწით ვსვამ

დეპუტატ კოპალიანის თამადობა არ

გვ.6





## სიწმინდეებს მოწიწებით უნდა მივეახლოთ

გვ.7

## რატომ არის გაჩუმებული პოლიტიკური ექვსიანი

გვ.12



## პარლამენტი უკანონობის ბუდეა

გვ.4



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## „არტ–გენის“ ფესტივალზე სიგარეტი და სასმელი არასდროს გაიყიდება

გვ.8



## კვირის ქრონიკა





გვ.2

## შსს-მ 26 მაისის „გმირები“ დასაჯა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გენერალური პროკურატურის მომართვის, ასევე მედია-საშუალებების მიერ გავრცელებული კადრების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების საფუძველზე შეისწავლა 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა უკანონო ქმედების აღკვეთის დროს სამართალდამცველების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინარული წესდების დარღვევის ფაქტები.

ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია 15 ივლისს შს სამინისტროსსაინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა მიაწოდა.

— შიდა მოკვლევის შედეგად, შინაგან საქმეთა მინისტრის 14 ივლისის ბრძანებით, სამსახურიდან იქნა დათხოვნილი სამინისტროს ოთხი თანამშრომელი, თანამდებობიდან ჩამოქვეითდა ერთი თანამშრომელი, სასტიკი საყვედური გამოეცხადა სამ თანამშრომელს, ხოლო საყვედური - რვა თანამშრომელს, — განაცხადა უტიაშვილმა.

მისი თქმით, შსს-მ სახალხო დამცველს აღნიშნული მოკვლევის შედეგები გააცნო.

სახალხო დამცველი იმავე დღეს გამოუხმაურა მშობლიური შსს-ს განცხადებას.გიორგი ტუღუში მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირება მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, პასუხისგებაში მიეცნენ მხოლოს ის პირები, რომლებმაც უშუალოდ აქციის დაშლისას გადაამეტეს საკუთარ უფლებამოსილებას, — ამბობს ომბუდსმენი.

მისი აზრით, აუცილებელია გაგრძელდეს ძიება ყველა იმ ფაქტზე, რომელიც სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი და შესწავლის შემ-



დგომ რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. აღნიშნული ფაქტები შეეხებოდა იმ დაკავებული პირების მიმართ არაასათანადო მოპყრობისა და ცემის ფაქტებს, რომლებიც უკვე აღარ იმყოფებოდნენ რუსთაველის გამზირზე.

— ჩვენ მიერ დაფიქსირებულ უფლებადარღვევათა ნაწილი შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და, შესაბამისად, საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათზეც განხორციელდეს ადეკვატური რეაგირება და დადგეს უფლებადამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხი, — ნათქვამია სახალხო დამცველის გამოხმაურებაში.

გიორგი ტუღუში აქვე აღნიშნავს, რომ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირების დასჯა წინგადადგმული ნაბიჯია და მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მას პრევენციული ხასიათი ექნება სხვა პოლიციელთა მიმართ.

შორენა მარსაგიშვილი

# სამარშრუტო ტაქსები ძვირდება



საზაფხულოდ ხელისუფლებამ სიურპრიზი მოგვიმზადა და ახალი „მარშრუტკები“ ახალ ფასად შემოგვიყვანა.

კონსერვატიული პარტიის დედაქალაქის საქმეთა მდივანი ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, თბილისში ახალი, ე.წ. ყვითელი ავტობუსების ეტაპობრივი შემოყვანა, თანაც ზაფხულში, ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი მზაკვრული გეგმაა, რომელიც მიზნად შესაძლო პროტესტის მასშტებების შემცირებას ისახავს.

ჩხარტიშვილის თქმით, იგი სხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად მძღოლების და მგზავრების მორიგი საპროტესტო აქციის ორგანიზებას ეცდება.

— გამართლდა ჩვენი პროგნოზი იმის თაობაზე, რომ შარანგია-სააკაშვილი- უგულავას მაფიამ დაიწყო ფულის მაქსიმალური ამოქაჩვა საქართველოს მოსახლეობიდან. ეს არის მხოლოდ პირველი ეტაპი და ანალოგიური პროცესები გაგრძელდება, თუ არ იქნა სათანადო ზომები მიღებული. უნდა გამოითქვას პროტესტი მგზავრების და მძღოლების მხრიდანაც. სიტუაცია არის ძალიან მძიმე. გახსოვთ თქვენ, ჩვენ რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებმა მაქსიმალურად ვეცადეთ ფართომასშტაბიანი პროტესტის ორგანიზება. შევძელით მძღოლების საყოველთაო გაფიცვის ორგანიზებაც. ეს ბოლო წლებში არნახული მოვლენა იყო, თუმცა, სამწუხაროდ, იმ ეტაპზე მძღოლებმა ველარ გაუძლეს ხელისუფლების პოლიციური ძალების ზეწოლას და ეს პროტესტი ველარ გაგრძელდა. ვფიქრობ, ახლა საზოგადოებაში, მათ შორის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებში კიდევ დარჩა საპროტესტო პოტენციალი იმისათვის, რომ აქციები დაიწყოს. ის რომ ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად ხდება ამ ძალიან უხარისხო, თურქული წარმოების ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანა და ძველი მანქანების ჩანაცვლება, თანაც ზაფხულის პერიოდში, მაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს წინასწარ განზრახულ გეგმასთან, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ პროტესტი იყოს რაც შეიძლება ნაკლები. ზაფხულში, როგორც წესი, ადამიანების ნაკლები რაოდენობა რჩება ქალაქში, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ავტოტრანსპორტის ეტაპობრივი შემოყვანა ნიშნავს, რომ მძღოლების კონსოლიდაცია ამ პრობლემის ირგვლივ უფრო რთულია იმიტომ, რომ ბევრს რჩება იმედი — იქნებ ჩანაცვლება მე არ შემეხოსო, თუმცა ცხადია, რომ ყველას შეეხება. ეს ყველა მძღოლს ეხება იმიტომ, რომ ბევრი მათგანი იყო მანქანის მეპატრონეც და შედარებით მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე ამ შემთხვევაში, როცა ისინი ხდებიან დაქირავებული მუშაკები, მიზერულ ხელფასზე, — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბარში ჩხარტიშვილმა.

მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა საშუალება ე.წ. ყვითელი ავტობუსებით მგზავრობაც გაძვირდება.

— არც პირდაპირი გაძვირებაა გამორიცხული და არც ირიბი. ირიბ გაძვირებაში ვგულისხმობ ან მარშრუტის სიგრძის შემცირებას, ან უფრო სავარაუდოა, მთელი რიგი მარშრუტების მოხსნა, რაც გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის უმეტესობას სამარშრუტო ტაქსებით მოუწევს მგზავრობა, რომლის ღირებულება 80 თეთრია. სააკაშვილმა და უგულავამ წინასწარ მოიმზადეს ველი იმისათვის, რომ საშუალება ჰქონოდათ განეხორციელებინათ მონოპოლიური ბიზნესი, — განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ცნობისთვის: თბილისში სამარშრუტო ხაზებზე ძველი ტაქსების ახლით, ე. წ. ყვითელი მიკროავტობუსებით ჩანაცვლება დღეს დაიწყო.

მოსახლეობა ახალ სამარშრუტო ტაქსებში გადახდის ახალი სისტემით ისარგებლებს. გადახდა მათ იმ პლასტიკური ბარათების გამოყენებათ შეეძლებათ, რომლითაც ამჟამად მუნიციპალურ ტრანსპორტში სარგებლობენ. დღის განმავლობაში პირველი მგზავრობა 80 თეთრი ეღირება, შემდგომი მგზავრობა კი 65 თეთრი. იმავე დღეს მესამე მგზავრობა კვლავ 80 თეთრი ეღირება, შემდგომი ისევ 65 და ა.შ. გადახდის ამ პრინციპით ისარგებლებენ სტუდენტებიც და მათზე შეღავათები არ გავრცელდება.

# პარლამენტმა უკან დაიხია

ამ კვირაში საპატრიარქოში სინოდის სხდომა გაიმართა, რომელზეც ჩვენი საყვარელი პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განიხილეს. პარლამენტის მიერ ნაუცბათევად მიღებულმა კანონმა მოსახლეობის და სასულიერო პირების აღშფოთება გამოიწვია.

ხელისუფლება კი ამტკიცებდა, არაფერი ცუდი არ გვიქნიაო და არც არაფერს შევცვლითო. თუმცა, როცა საქმე-საქმეზე მიდგა, შეცვალეს.

რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით მიღებულ კანონზე, პარლამენტის ბიურომ 12 ივლისს განსაკუთრებული და უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. პარლამენტის ბიურომ კანონის განმარტებითი ბარათი დააზუსტა, თუმცა სხვა კანონთან მიმართებაში, მსგავსი რამ არასოდეს არ განხორციელებულა.

განმარტებითი ბარათი კანონპროექტს ახლავს ხოლმე თან მანამ, სანამ ის დამტკიცდება და გამოქვეყნდება. განმარტებით ბარათში საუბარია საკანონმდებლო ინიციატივის მიზანზე, არსზე, ფინანსურ გაანგარიშებებზე, ექსპერტების თანამონაწილეობაზე და ა.შ.

„სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების „განმარტებით ბარათს“ „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ამავდროულად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და განსაკუთრებული სტატუსი კიდევ უფრო ნათლად აისახა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არაერთი საკანონმდებლო აქტი ადგენს მთელ რიგ შეღავათებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით.

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად შექმნა ერთობლივი კომისია, რომელიც იხილავს ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად სხვადასხვა ქონების გადაცემისა და დაბრუნების საკითხებს.

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ნორმატიულ აქტთა იერარქიში ყველაზე მაღალი დონის ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, განსაზღვრა როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, ისე მისი საკუთრების უფლება.



კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, — სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. შესაბამისად, ეკლესია თავისი საქმიანობის განხორცილებისას არ საჭიროებს რაიმე სახის რეგისტრაციას.

კონსტიტუციური შეთანხმება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ეკლესიის საკუთრების უფლებას და ადგენს, რომ ეკლესიის ქონება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით.

კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

საქართველოს სახელმწიფოსთან საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობა და მათი სტატუსი განისაზღვრება არა კონსტიტუციური შეთანხმებით, არამედ კანონმდებლობით. შესაბამისად, კანონმდებლობით უნდა დადგინდეს ამ გაერთიანებათა სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის წესი და პირობები. კანონმდებლობით განისაზღვრება აგრეთვე სხვა რელიგიურ გაერთიანებათა მიერ ქონებრივი უფლებების მოპოვებისა და განხორციელების საკითხები. აღნიშნული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც თანაბრად ვრცელდება ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ.

კანონპროექტი აწესრიგებს მხოლოდ რელიგიური გაერთიანების უფლებას სახელმწიფოს მიერ დარეგისტრირდნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, კანონპროექტი სახელმწიფოს მხრიდან ქონებრივი ან რაიმე სხვა სახის ვალდებულებებს არ წარმოშობს“.

ოპოზიციის თქმით, ეს განმარტებითი ბარათი არაფერს არ შეცვლის. მათი განცხადებით, განმარტებით ბარათს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

# ამერიკამ ავღანეთიდან ჯარის გაყვანა დაიწყო

აშშ-მ ავღანეთიდან საკუთარი სამხედრო კონტინგენტის გაყვანა დაიწყო, — „ფრანს პრესის“ ცნობით, ამის შესახებ ამერიკელმა მაიორმა მაიკლ ვუნამ განაცხადა.

მაიორის თქმით, ავღანეთი უკვე 650-მა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ დატოვა, რომლებიც პარვანის პროვინციაში იყვნენ დისლოცირებული.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ავღანეთში ამერიკული ჯარის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება 22 ივნისს გამოაცხადა. მისი თქმით, აშშ მიმდინარე წელს ავღანეთიდან 10 ათასი სამხედრო მოსამსახურის გაყვანას აპირებს. 2012 წლის ზაფხულისთვის კი ცხელ წერტილს 33 ათასი ამერიკელი სამხედრო დატოვებს. ავღანეთში ამერიკული მისიის დასრულება 2014 წლისთვის იგეგმება. ბარაქ ობამას ვარაუდით, სწორედ ამ დროისთვის შეძლებს ავღანეთის ხელისუფლება ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის სრულად აღებას.

ავღანეთიდან ჯარები სხვა ქვეყნებსაც გამოჰყავთ. თუ ასე გაგრძელდა, ამ მისიის შესრულება ჩვენ მოგვიწევს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ეჩმიაძინი ჯავახეთში სომხური ეპარქიის შექმნას ითხოვს?

თეა მარხვაი ე

**საქართველოში მსუბუქი ანტისომხური განწყობა შეიმჩნევა. ანალოგიური ვითარებაა სომხეთშიც, ოღონდ იქ ანტიქართული განწყობა თვალშისაცემი. მართალია, ეს ქსენოფობიაში არ გადაზრდილა, მაგრამ ის მაინც სახიფათოა. საქართველოში სომხური სათვისტომოს თავკაცმა სტეპანიანმა სომხურ მედიას შესჩივლა, რომ საქართველოში 37 ანტისომხურ გამოხდომას ჰქონდა ადგილი. პოლიტოლოგმა სოსო ცინცა ემ საპასუხოდ განაცხადა, რომ სომხეთში ამავე პერიოდში 63 ანტიქართული გამოხდომა დაფიქსირდა.**

არმენოლოგი ბონდო არველაძე ამ გამოხდომებს საგანგაშოდ არ მიიჩნევს, თუმცა, ორივე მხარეს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, მიიჩნევს, რომ ჩვენ შორის შუღლის ჩამოგდება რუსეთს უნდა.

როგორ უნდა მოვახერხოთ რუსეთის ხაფანგიდან თავის დაღწევა, რა შეიძლება მოითხოვოს ეჩმიაძინმა, რა წერილი მისწერა 1919 წელს ოვანეს თუმანიანმა თავის შვილებს, ამის შესახებ ბონდო არველაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— ბატონო ბონდო, სომხურ პრესაში არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ საქართველოში ანტისომხური განწყობა გაჩნდა. ამის შესახებ ქართველი პოლიტიკოსებიც ალაპარაკდნენ. თქვენ ამჩნევთ ასეთ განწყობას?***

— საქართველოში არავითარი ანტისომხური განწყობა დღეს არ არსებობს. ასეთი რამე არც ადრე ყოფილა და არც მომავალში იქნება.

***— თუმცა, ფაქტია, რომ სომხეთთან დაკავშირებით მკვეთრი განცხადებები კეთდება. ეს არ არის ანტისომხური გამოვლინება?***

— ასეთი განცხადებები ყოველთვის კეთდებოდა. ყველა ადამიანს აქვს თავისი შეხედულება, რომლის გამოთქმის უფლებას ვერავის წავართმევთ. ხანდახან ეს შეფასებები რადიკალურია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ანტისომხური განწყობაა. თუ განცხადებებზე მიდგება საქმე, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ სომხეთშიც არის ანტიქართული განწყობა, რადგანაც იქაურ პრესაში საქართველოსთან დაკავშირებით ათჯერ და ასჯერ უფრო რადიკალური განცხადებები კეთდება. სოსო ცინცაძის ინტერვიუ წავიკითხე იმ დღეს. ცინცაძე ამბობს, რომ ბოლო დროს სომხურ პრესაში 63 ანტიქართული განცხადება გაკეთდა. მიმაჩნია, რომ აქ გაკეთებული ანტისომხური განცხადებები იქაური განცხადებების საპასუხოა და ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ანტისომხური განწყობაა. ქსენოფობიური გამოხდომები ქართველებს არ გვახასიათებს. სომხებსა და ქართველებს შორის ისევ ისეთი ურთიერთობაა, როგორიც აქამდე იყო. ჩვენ შორის დაპირისპირება რომ ყოფილიყო, სომხები ვახტანგ კიკაბიძეს თავის ფილმში ხომ არ გადაიღებდნენ. თითო-ოროლა გამოხდომა ყოველთვის იყო და იქნება. ეს საშიში არ არის, თუმცა, არასასიამოვნოა. მთავარი ისაა, რომ არც აქ და არც სომხეთში ერთმანეთის მიმართ სიძულვილი არ შეიმჩნევა.

***— შეიძლება ქსენოფობიასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ანტისომხური და გნებავთ ანტიქართული განცხადებები ადრე არ კეთდებოდა.***

— ჩემი აზრით, აქ დამნაშავე რუსეთია. რუსეთი ძალიან სერიოზულად და აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მას კარგა ხანია თავისი გეგმის შესრულება უნდა.

***— რა გეგმის, ბატონო ბონდო?***

— უნდა, როგორმე სომხეთსა და საქართველოს შორის დაიძაბოს ურთიერთობა. ჩვენი ერთმანეთთან წაკიდება რუსეთს დიდი ხანია რაც უნდა. ეს მათი სანუკვარი ოცნებაა.

***— ამას თბილისსა და ერევანში ვერ აცნობიერებენ?***



ქართველებისა და სომხების დაპირისპირებით რუსეთია დაინტერესებული

— როგორ ვერ აცნობიერებენ. რუსეთის ზრახვებს ორივე ერი სათანადოდ ვაფასებთ. რუსეთმა ამიტომაც ვერ შეძლო ერთმანეთთან ჩვენი დაპირისპირება.

***— აქამდე ვერ შეძლო, მაგრამ იქნებ მომავალში შეძლოს.***

— გამორიცხული არაფერი არ არის. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს ჩვენს დასაპირისპირებლად. ამიტომ ორივე მხარე უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთის ანკესზე არ წამოვეგოთ. ამისათვის სომხურმა მხარემ ცოტა მეტი კორექტულობა უნდა გამოიჩინოს.

***— რას გულისხმობთ?***

— სომხურ პრესაში ჩვენს პატრიარქზე ძალიან ცუდი რაღაცები დაწერეს. მისი გამეორება არც მინდა. სომხეთში ძალიან კარგად იციან, როგორ პატივს სცემენ საქართველოში ილია II-ს. ასე რომ, თავი შეიკავონ. ჩვენ მათი პატრიარქის ბევრი რამე არ მოგვეწონა, მაგრამ ჩვენი პრესა გარეგინ II-ს ასე აუგად არ მოიხსენიებს.

***— სამაგიეროდ, თავად სომხურმა პრესამ მოიხსენია გარეგინ II აუგად. მას გაუზრდელი და სერიალების კრიმინლების მსგავსიც კი უწოდეს.***

— ეს სტატიაც წავიკითხე. აღნიშნული მასალა გაზეთ „არავოტში" გამოქვეყნდა. ამ გაზეთმა ძალიან გააკრიტიკა გარეგინ II. სომეხი ჟურნალისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის ფორმა, რომლითაც მათი პატრიარქი ჩვენს ილია II-ს ელაპარაკებოდა.

***— ამბობდნენ, რომ ის ილია II-ს შენობით მიმართავდა.***

— სომხები კულტურული ერია და, როგორც ყველა კულტურულ ერს, მათაც შეგნებული აქვთ, რომ უფროს ადამიანს შენობით არ უნდა ელაპარაკო. ამ წესის დაცვა ყველაზე მეტად მათ სულიერ მამას მოეთხოვებოდა. ის კი ასაკით თავისზე უფროს ილია II-ს შენობით ესაუბრებოდა. ამის გარდა, ის საუბრის დროს ჩვენს პატრიარქს მუხლზე ხელს უტყაპუნებდა. „არავოტმა" ეს უზრდელობად და არაკორექტულობად მიიჩნია. ეს სავსებით სწორი შეფასება იყო.

***— გარდა იმისა, რომ არაკორექტულად იქცეოდა, საკმაოდ აგრესიულიც ჩანდა.***

— შეიძლება, ასეთი ხასიათი აქვს და საერთოდ აგრესიული ტიპია. შეიძლება, ჩვენთან იყო აგრესიულად. ფაქტია, რომ მისი საქციელი თავად სომხებსაც არ მოეწონათ.

***— თქვენ ზემოთ ბრძანეთ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის მსუბუქი დაძაბულობა რუსეთის ბრალია. ეს უფრო იმ კანონის ბრალი ხომ არ არის, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა 5 ივლისს მიიღო? ეს კანონი სომხურ ეკლესიას გარკვეულ უფლებებს აძლევს.***

— ეს კანონი არც ერთ ეკლესიას უპირატესობას აღარ აძლევს. თავიდან იყო ასეთი რაღაცა, მაგრამ მერე პარლამენტის ბიუროზე მიიღეს განმარტებითი ბარათი. იქ ნათლად წერია, რომ საქართველოში განსაკუთრებული სტატუსი მხოლოდ ქართულ ეკლესიას აქვს. ვითარების დაძაბვას ამან შეუწყო ხელი. კარგი იქნებოდა, პარლამენტს იმ კანონის მიღებისგან თავი შეეკავებინა, ანდა თავიდანვე ჩაეწერათ, რაც განმარტებით ბარათშია აღნიშნული. ამ შემთხვევაში ასეთი დაპირისპირება აღარ იქნებოდა.

***— ამ განმარტებითმა ბარათმა ეჩმიაძინის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, კანონის მიღების შემდეგ კი ძალიან კმაყოფილნი იყვნენ.***

— განმარტებითმა ბარათმა მართლაც შეაწუხა ეჩმიაძინი. მე ნამდვილად ვერ ვხედავ, რატომ არიან უკმაყოფილონი. მათ ჩვენმა პატრიარქმა საკმაოდ ნათლად განუმარტა ყველაფერი. ეს მაშინ მოხდა, როცა გარეგინ II საქართველოში იყო. მან მოითხოვა საქართველოში სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭება, ასევე სადავო ეკლესიების გადაცემა. ილია II-მ თქვა, მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მაშინ სომხეთშიც მიენიჭოს ქართულ ეკლესიას სტატუსიო. ჩვენმა პატრიარქმა სპეციალური კომისიის შექმნაც მოითხოვა.

***— სადავო ეკლესიების შემსწავლელი კომისია გაქვთ მხედველობაში?***

— დიახ, დიახ. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება. ამაზე მეცნიერებმა უნდა იმუშაონ. საკითხის შესწავლაში ორივე მხრიდან უნდა ჩაერთონ სპეციალისტები. ამ კომისიამ უნდა დაადგინოს, რამდენი ქართული ეკლესიაა სომხეთში და რამდენი სომხური ეკლესიაა საქართველოში.

***— გაკეთდა განცხადება, რომ სომხური მხარე 6 ეკლესიის დაუყოვნებლივ გადაცემას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

— ნამდვილად არ მესმის, რას ნიშნავს დაუყოვნებლივ გადაცემა. კარგად აგვიხსნან, რატომ ითხოვენ ამის გაკეთებას დაუყოვნებლივ. ეს არ არის საჩქარო საკითხი. ილია II-მ ძალიან სწორი შენიშვნა გააკეთა გარეგინთან დაკავშირებით.

***— რა შენიშვნა?***

— მან ბრძანა, გარეგინ II ახალგაზრდა კაცია და ძალიან ჩქარობსო.

***— ეკლესიების დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნა გარეგინის ასაკიდან გამომდინარეობს?***

— მგონია, რომ ასეა. აქ საჩქარო არაფერი არ არის. შეისწავლიან და, როცა ყველაფერი დადგინდება, მოხდება ამ ეკლესიების გადაცემა.

***— თქვენ ჩვენს გაზეთთან ბევრჯერ გისაუბრიათ სომხების პრეტენზიებზე. მაინც რამდენ ეკლესიას გვედავებიან სომხები, იქნებ დავაზუსტოთ?***

— სხვადასხვა ვერსიაა. ზოგი მეცნიერი ამას ამბობს, ზოგი — იმას. მოდით, ახლა არ დავაკონკრეტებ, ვინ რამდენი სომხური ეკლესია „აღმოაჩინა" საქართველოში. მხოლოდ იმაზე ვისაუბროთ, რამდენსაც ოფიციალურად ითხოვენ. ამჟამად სომხური მხარე ოფიციალურად 6 ეკლესიის გადაცემას ითხოვს. აქედან ხუთი თბილისშია, ერთი კიდევ — ახალციხეში. მერე არ ვიცი, რა იქნება.

***— არის იმის შანსი, რომ ოფიციალურად უფრო მეტ ეკლესიაზე გამოთქვან პრეტენზია?***

— გამორიცხული არაფერი არ არის. არსებობს ასეთი გამოთქმა: „მადა ჭამაში მოდისო".

***— სომხურ პრესაში ქართული ეკლესიების სომხურობაზე ადრეც ხშირად იწერებოდა. ბოლო დროს ამან ძალიან მასობრივი სახე მიიღო. ერთ-ერთმა სომხურმა გამოცემამ ალავერდის მონასტერი სომხური ღირსშესანიშნაობების სიაში შეიყვანა.***

— მე ეს არ წამიკითხავს. მეცნიერი კაცი ვარ და ისე ვერ ვილაპარაკებ. მოვიძიებ ამ მასალას, შევისწავლი, რის საფუძველზე აცხადებენ პრეტენზიებს და მერე ვისაუბროთ ამ თემაზე.

***— ასეთ თემებზე ასე აქტიურად რომ წერენ, რას ნიშნავს, გვეკაიფებიან თუ ნერვებზე თამაშობენ?***

— ასეთი რამეები ადრეც იწერებოდა. რადგან ახლა ჩვენ შორის ვითარება ოდნავ გამწვავდა, გამორიცხული არ არის, ჩვენს ნერვებზე თამაშობდნენ.

***— ზემოთ სომხეთში ქართული ეკლესიის სტატუსზე ვსაუბრობდით. ეჩმიაძინის პრესსპიკერი ამბობს, ქართულ მხარეს თხოვნით არ მოუმართავს, თორემ სტატუსს მივანიჭებდითო.***

— სად ეჩქარებათ? ძალიან მალე მიმართავს ჩვენი ეკლესია ეჩმიაძინს ამ თხოვნით.

***— აქამდე რატომ არ დაისვა ეს საკითხი? არ იყო მომწიფებული თუ სხვა რამეშია საქმე?***

— საპატრიარქოს გადაწყვეტილებაზე საუბარი გამიჭირდება. რადგან აქამდე არ მიუმართავთ, ალბათ, ასე ჩათვალეს საჭიროდ. საპატრიარქოში ყველაზე უკეთ იციან, რა დროს უნდა გააკეთონ ასეთი მიმართვა. ეკლესიაში უამრავი საქმეა, ასე მარტივად კი არ არის. საკითხების დაყენება რიგის მიხედვით ხდება. დადგება დრო და ამ საკითხსაც დააყენებენ. ისე არ მოხდება, რომ საქართველოში სომხურ ეკლესიას სტატუსი ჰქონდეს და სომხეთში ქართულ ეკლესიას — არა.

***— დღეს, 16 ივლისს, დაგეგმილია ეჩმიაძინის სინოდის სხდომა. თქვენი აზრით, რა საკითხები იქნება დაყენებული?***

— როგორც მე გავიგე, ჯავახეთში სომხური ეპარქიის დაარსება უნდათ.

***— ჯავახეთში სომხური ეპარქია ოდესმე იყო?***

— არასდროს ყოფილა. ვიღაცამ თქვა, რომ იყო, მაგრამ ეს სიცრუეა. ახლა აპირებენ ამის გაკეთებას. გარეგინი პატრიარქად რომ დადგა, იმ წელს ჯავახეთში დააწესა ვიკარიაკი. ვიკარად დანიშნა სალბიანი. მღვდელმსახურებას აღავლენს ის.

***— ვიკარიაკი საკმარისი არ იყო?***

— როგორც ჩანს, გარეგინისთვის ეს საკმარისი არ არის. შეიძლება, ეჩმიაძინმა დღეს ეს საკითხი არ დასვას დღის წესრიგში, მაგრამ ამ საკითხს დღეს თუ ხვალ მაინც დააყენებენ.

***— ჯავახეთში ეპარქიის შექმნისთვის ჩვენი ნებართვა სჭირდება ეჩმიაძინს?***

— არანაირი ნებართვა არ არის საჭირო. აქ ცოტა სხვანაირად დგას საქმე. ჩვენმა საპატრიარქომ სომხეთის ტერიტორიაზე დააარსა აგარა-ტაშირის ქართული ეპარქია. ამის გარდა, შეიქმნა ტაო-კლარჯეთის ქართული ეპარქია. არც ეს ტერიტორია შედის დღეს საქართველოს შემადგენლობაში. ეჩმიაძინი გეტყვის, შენ თუ დააწესე საქართველოს გარეთ ეპარქია, მაშინ მე რატომ არა მაქვს ჯავახეთში ჩვენი ეპარქიის დაწესების უფლებაო. აქ ცოტა რთული ვითარებაა. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და დაველოდოთ, რა იქნება. დარწმუნებული ვარ, ისეთ გადაწყვეტილებას არავინ მიიღებს, ჩვენ და სომხებს შორის მტრობა ჩამოვარდეს. ამის იმიტომ მჯერა, რომ სომეხი ერი ის ერია, რომელმაც შობა ოვანეს თუმანიანი, რომელიც იყო დიდი სომეხი და, იმავე დროს, იყო დიდი ქართველიც. მას ძალიან კარგი საქმეები აქვს გაკეთებული.

***— რა საქმეები?***

— სომხებიც და ქართველებიც მცირერიცხოვანი ერი ვართ და ხშირად მოგვდის ერთმანეთში გაუგებრობები. 1919 წლის დეკემბერში დაშნაკები ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ცოტა ხანს წინ მოიწევდნენ. მერე ჩვენებიც მოვიდნენ აზრზე. გენერლებმა კვინიკაძემ, მაზნიაშვილმა და სხვა სამხედროებმა მოახერხეს მობილიზაცია. დაშნაკების შეტევა შეაჩერეს, მერე იქით გადავიდნენ შეტევაზე. ძალიან სწრაფად მიიწევდნენ წინ. ინგლისი რომ არ ჩარეულიყო, შესაძლებელია, ერევანიც კი აეღოთ. ახლა რაც შეეხება ოვანეს თუმანიანს. ის ამ ომის დროს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ჩავიდა სომხეთში და სომხეთის მთავრობას დაელაპარაკა. ოვანეს თუმანიანს მიმართა ტიციან ტაბიძემ, სადაც ეუბნებოდა, შენ ხარ შენი ქვეყნის უდიდესი შვილი, შენ უნდა მოაგვარო ეს ურთიერთობაო. თუმანიანი მხოლოდ ამ ომის დროს კი არ იღვწოდა ასე, სხვა დროსაც ასე იქცეოდა. აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის შეტაკება რომ მოხდა, მაშინაც ასე მოიქცა.

***— საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა მათ შორის შეტაკება?***

— საქართველოშიც იყო ასეთი შეტაკებები. უფრო ხშირად ასეთი შეტაკებები საქართველოს გარეთ ხდებოდა. ის დადიოდა ცხენით და აგვარებდა სიტუაციას. დაშნაკებსა და ქართველებს შორის ომის დროს თუმანიანის რამდენიმე შვილი ერევანში იმყოფებოდა. მან შვილებს წერილი გაუგზავნა და დაწყევლით დაემუქრა.

***— რატომ?***

— მან შვილებს ასეთი რამე შეუთვალა: ქართველების წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არ მიიღოთ, თორემ დაგწყევლით, როგორც მშობელი შვილსო. ტიციან ტაბიძემ ეს შეაფასა, როგორც ძმობისა და მეგობრობის უდიდესი აქტი. მართლაც შესანიშნავი ადამიანი იყო ოვანეს თუმანიანი. ვიცი, რომ სომხეთში მრავლად არიან ასეთი ადამიანები. მჯერა, თბილისიცა და ერევანიც დიდ გონიერებას გამოიჩენს. ჩვენ რუსულ ანკესზე წამოგება არ უნდა დავუშვათ.

# პარლამენტი უკანონობის ბუდეა

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ წარმომადგენელ, ადვოკატ ლია მუხაშავრიასთან

ადვოკატ ლია მუხაშავრიას დასკვნით, რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უვარგისია.

თანაც, ლია მუხაშავრიას თქმით, თუ საუბარია იმაზე, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, მაშინ საკითხი სამოქალაქო კოდექსით არ უნდა დარეგულირებულიყო.

კერძოდ, ლია მუხაშავრია განმარტავს, რომ საქართველოში სამოქალაქო კოდექსი კერძო სუბიექტებს, კერძო პირებს შორის ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.

ალმსარებლობის სფერო კი არის საჯარო სფერო და მას სამართლებრივი სივრცის თვალსაზრისით სამოქალაქო კოდექსში არაფერი ესაქმება.

— ეს არის მანკიერი, ხარვეზიანი და პრინციპების დარღვევით მიღებული კანონი, — ამბობს ლია მუხაშავრია, — ხელისუფლებამ სრულიად მიკერძოებული და არასწორი ნაბიჯი გადადგა.

***— ქალბატონო ლია, რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის თაობაზე სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიმართ თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— თუკი ვსაუბრობთ იმაზე, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, მაშინ ეს იმას ნიშნავს, აღნიშნული საკითხი არ უნდა დარეგულირებულიყო სამოქალაქო კოდექსით, რადგან საქართველოში სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს კერძო სუბიექტებს, კერძო პირებს შორის სამოქალაქო ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს. ეს კი არის საჯარო სფერო, აღმსარებლობის სფერო, რომელსაც სივრცობრივად, სამართლებრივი სივრცის თვალსაზრისით, სამოქალაქო კოდექსში არაფერი ესაქმება. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებამ ძალიან არასწორი ნაბიჯი გადადგა, თუ წმინდა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით შევხედავთ. მეორე — ის ურთიერთობები, რომელიც არსებობდა რელიგიურ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის, პრაქტიკულად, კანონგარეშე იყო. ახლა სახელმწიფო შეეცადა გადაედგა ნაბიჯი ამ ურთიერთობების საკანონმდებლო სფეროში მოსაქცევად, მაგრამ გააკეთა სრულიად არასწორად, სრულიად მიკერძოებულად და ამიტომ გამოიწვია მღელვარება საზოგადოებაში. რომ არაფერი ვთქვათ, კანონის განხილვისა და მიღების პროცედურაზე, ყველა მხრივ ეს არის მანკიერი, ხარვეზიანი და პრინციპების დარღვევით მიღებული კანონი. შესაბამისად, ის ვერ მოიტანს ვერც ურთიერთობის დარეგულირებას, ვერც სიკეთეს, ვერც მშვიდობასა და სტაბილურობას. კანონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რომ მან უნდა მოახდინოს ურთიერთობათა რეგულირება, რომ მხარეები იყვნენ გარკვეულ პოზიციებში, მხარეებს არ ჰქონდეთ უთანხმოება და მხარეები თავს სტაბლურ გარემოში გრძნობდნენ. დღეს არც ერთი მიზანი მიღწეული არ არის. შესაბამისად, ეს არის სრულიად არასწორი გადაწყვეტილება.



***— თქვენი ანალიზით, როგორია ამ კანონის შემხებლობა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან?***

— ეს კანონი ჩვენს ეკლესიას, რა თქმა უნდა, ეხება, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია ამ ქვეყანაში არის ისტორიულად და რეალურად ყველაზე უფრო მძლავრი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რელიგიური წარმონაქმნი. შესაბამისად, მისი მონაწილეობის, მისი პოზიციის გათვალისწინების გარეშე, ასეთი კანონის მიღება ამ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს. შესაბამისად, ის უკმაყოფილება და აღშფოთება, რაც ამ კანონის მიღებამ საეკლესიო მართლმადიდებლურ წრეებში გამოიწვია, სრულიად გამართლებული და სრულიად ბუნებრივი რეაქციაა, ანუ ამ სახელმწიფომ უნდა გაიგოს, რომ არ შეიძლება ადამიანთა ზურგს უკან ძალიან საყურადღებო და ანგარიშგასაწევი ორგანიზაციებისაგან ცალკე და მათი მონაწილეობის გარეშე, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ამ კანონის მიღებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა საზოგადოება, რომ ამ შენობაში (პარლამენტში) ზის ხალხი, რომელიც არც ჩვენი მანდატით სარგებლობს, არც ჩვენს ინტერესებს გამოხატავს, არც ჩვენი პოზიცია არ აინტერესებს. ეს ყველასთვის კატასტროფაა.

***— თუმცა ამ შენობაში მსხდომი ადამიანები ამბობენ, რომ ეს კანონი მართლმადიდებლურ ეკლესიას არანაირად უარყოფითად არ შეეხება, არანაირი პრობლემა არ წარმოუშვია ჩვენს ეკლესიასთან.***

— მათ პოზიციას ვერ დავეთანხმები, რადგან ის, რაც მრევლსა და ეკლესიაში მოხდა, იმაზე მიუთითებს, რომ ასე არ არის. მე არ ვარ გათვითცნობიერებული თეოლოგიურ და აღმსარებლობით საკითხებში, მაგრამ რეაქცია, რაც ბუნებრივად მოჰყვა ამ კანონის მიღებას, თავისთავად არის ფაქტი, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ პოლიტიკოსებმა. ეს არის ერთადერთი დასკვნა, რომელიც მათ უნდა გაუჩნდეთ. კანონს იღებენ საზოგადოებისთვის და თუ ის საზოგადოება ამ კანონს არ იღებს, მას პროტესტით ხვდება, ე.ი. კანონმდებელმა შეცდომა დაუშვა.

***— წმინდა სინოდმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო და საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდა იმის გამო, რომ ძალიან მკვეთრი რეაქციები გამოიწვია. როგორც ჩანს, სიტუაციის გამწვავებას მოერიდნენ?***

— შეიძლება ვიფიქროთ, რომ სინოდმა ასეთი პოზიცია სიტუაციიდან გამომდინარე დაიკავა, რაც შეიძლება არ ასახავდეს მის პოზიციას ხვალისთვის, ზეგისთვის, გარკვეული პერიოდის შემდეგ. ჩვენ ხომ კანონს არ ვიღებთ მოკლე ვადით, კანონს სამუდამოდ ვიღებთ. ამიტომ, ვფიქრობ, წმინდა სინოდის ახლანდელი პოზიცია დროებითია. შეიძლება წმინდა სინოდის გადაწყვეტილება მიმართულია სიტუაციის დარეგულირებისკენ, მაგრამ არამც და არამც არ ნიშნავს, რომ სინოდი სამომავლოდ ამ პოზიციაზე დარჩება თუ მეორე მხარის სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგმება.

***— ამ კანონის გაუქმება წარმოგიდგენიათ?***

— ამ კანონის გაუქმება შეიძლება იგივე გზით, რა გზითაც მიიღეს. ვისაც აქვს უფლება მიიღოს კანონი, მას აქვს უფლება, ის გააუქმოს. ეს არის მარტივად და იურიდიულად გადასაწყვეტი საკითხი.

— ოღონდ ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება. პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ვერ წარმოუდგენია ამ ხელისუფლების პირობებში აღნიშნული კანონის გაუქმება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო და, საერთოდ, სასამართლოები ბუტაფორულია, ინსტიტუტები არ მუშაობენ. ამიტომ ხელისუფლების დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების გასანეიტრალებლად არანაირი ბერკეტი არ არსებობს. თქვენც ასე ფიქრობთ?

***— არა, რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, წონასწორობა ხელისუფლების შტოებს***

— სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო — შორის დარღვეულია, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული შტოები თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის რაიმეს მაინც არ გააკეთებენ. თუ ამ საზოგადოებას ექნება ძალიან მკაფიო და საშიში ფორმით გამოხატული პროტესტი, ყველა იძულებული იქნება მას ანგარიში გაუწიოს. არ არის საჭირო საზოგადოების მოთმინების გამოცდა. ეს არის ჩემი აზრი.

***— ითქვა, რომ წმინდა სინოდის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ვნებათაღელვა ჩააცხრო.***

— მომავალში განვითარებული მოვლენები დაგვანახებს, ასეა თუ არა.

***— რამდენიმე ფაქტი დაემთხვა ერთმანეთს. რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ კანონის მიღება, ფოტოკორესპონდენტების დაპატიმრება და ა.შ. ხელისუფლება ცეცხლს ხომ არ ეთამაშება?***

— ვერ გეტყვით. ერთია საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოების პოზიცია რაღაც საკითხზე, მეორეა ეკლესიის პოზიცია, მესამე კი — ხელისუფლების. ეს პოზიციები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, მაგრამ საზოგადოება და ხალხია ძალაუფლების წყარო. ამიტომ ყველა ვალდებულია მას მოუსმინოს. თუ არ მოუსმენს, მაშინ ხალხს აქვს შესაძლებლობა, აიძულოს ხელისუფლება, მას მოუსმინოს. ამასთან თამაში, უბრალოდ, საშიშია.

***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ რატომ გადაწყვიტა, რბილად რომ ვთქვათ, ეკლესიის განაწყენება? ფაქტობრივად, არ დარჩა არც ერთი ფენა ამ ქვეყანაში, რომ არ შეხებოდა ხელისუფლების უხეში ხელი.***

— იმდენად მიეჩვია ჩვენი ხელისუფლება თვითნებობას, რომ არ უსმენს საკუთარ ხალხს, ანგარიშს არავის უწევს. ვფიქრობ, ახლა კი ნამდვილად შეეშალა. იგნორირების პოლიტიკა, საბოლოოდ თავის უარყოფით შედეგს მოიტანს.

***— ეკლესიასთან ჭიდილში ხელისუფლებას არ გაუვა?***

— ეკლესიასთან — არა. არსებულ პროტესტს მაინც ეკლესიასთან ნუ გავაიგივებთ. ეს არის საზოგადოების პროტესტი იმიტომ, რომ ეკლესია შეიძლება იყოს პროტესტის ნაწილი, შეიძლება — არა, მაგრამ თუ საზოგადოება აჯანყდება, მაშინ ხელისუფლების მდგომარეობა ძალიან ცუდად იქნება. ვფიქრობ, ეს მომენტი არის.

***— თვითონ კანონი ცალსახად უვარგისია?***

— ჩემი აზრით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ, ცალსახად უვარგისია.

## გერმანიის ელჩს ჟურნალისტების მიმართვა გადასცეს

გერმანიის საელჩოსთან, ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტორეპორტიორების სოლიდარობის აქცია დასრულდა. აქციის ორგანიზატორმა „ალია ჰოლდინგის“ საპასუხისმგებლო რედაქტორმა დიმიტრი ტიკარაძემ საელჩოს ჟურნალისტების და საზოგადოების წარმომადგენლების მიმართვა გადასცა.

— მიმართვაში დაფიქსირებულია, რომ ჩვენ გერმანიის ელჩს ვთხოვთ დაკავებულ ფოტოგრაფებს უშუამდგომლოს ხელისუფლებასთან, რათა მოხდეს მათი თავდებით გათავისუფლება, საქმეს მოეხსნას „საიდუმლო“ გრიფი. ვთხოვთ ელჩს, რომ გამოიყენოს რაიმე მექანიზმი იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს ამ საქმეზე, — განაცხადა ტიკარაძემ და დასძინა, რომ მიმართვის ტექსტს 100-ზე მეტი ადამიანი აწერს ხელს.

მისი თქმით, მომდევნო აქციის დეტალების შესახებ ინფორმაცია უახლოეს ხანში გავრცელდება.

მედიანიუსი

## დაკავებულ ფოტოგრაფებს თავდებით დეპუტატები და პოლიტიკოსებიც უდგებიან

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის საპარლამენტო და საკრებულო ფრაქციების წარმომადგენლები ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თავდებად უდგებიან და სასამართლო პროცესების დაწყებამდე მათ გათავისუფლებას მოითხოვენ. ამის შესახებ განცხადებები პარასკევს თბილისში, გერმანიის საელჩოსთან გამართულ სოლიდარობის აქციაზე ქრისტიან-დემოკრატებმა: ინგა გრიგოლიამ და გიორგი ახვლედიანმა გააკეთეს.

— საზოგადოებას ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული აქვს კატასტროფულად მცირე ინფორმაცია. გასაგებია, რომ იქ საიდუმლო დოკუმენტებით თავის მართლების საშუალება არსებობს, მაგრამ საზოგადოება დარწმუნებული არ არის ამ ადამიანების დანაშაულში. ამიტომ, მათი თავდებით არ გათავისუფლება, ჩემი აზრით, გაუგონარი ძალადობაა. ჩვენ მზად ვართ, თავდებად დავუდგეთ ამ ადამიანებს, ვართ იმის გარანტორები, რომ ისინი სასამართლომდე ქვეყნიდან არ გაიქცევიან და გამოძიებას არ დაიმალებიან. ეს არის საზოგადოების მოთხოვნა და ამის განხორციელება ხელისუფლებას ნამდვილად შეუძლია. ეს იქნებოდა ლოგიკური ნაბიჯი, — განაცხადა პარლამენტარმა გიორგი ახვლედიანმა.

საკრებულოს წევრ ინგა გრიგოლიას თქმით კი, თავდებობასთან დაკავშირებით ქრისტიან-დემოკრატები მზად არიან ხელი შესაბამის დოკუმენტსაც მოაწერონ.

მედიანიუსი

## თბილისში საცხოვრებელ სახლს ხანძარი გაუჩნდა

თბილისში, გაზაფხულის ქუჩაზე სახლის სახურავი დაიწვა.

როგორც „მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ცეცხლი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე დაახლოებით დღის პირველ საათზე გაჩნდა. სახლში ამ დროს რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა.

ადგილზე მობილიზებული იყო ხუთი სახანძრო მანქანა და ერთი სამაშველო ბრიგადა, ასევე სასწრაფო დახმარების მანქანა. მეხანძრეებმა სახლს სახურავი ახადეს და ცეცხლის ჩაქრობა მალევე მოახერხეს.დამწვარია სახლის სახურავის 50 კვადრატული მეტრი ფართობი.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხანძრის გამომწვევ წინასწარ ელექტროგაყვანილობის გაუმართაობა სახელდება.

მედიანიუსი

## ნინო ბურჯანაძე ავსტრიაში შეხვედრებს მართავს



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე და სახალხო კრების„ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე ევროპული ტურნეს ფარგლებში ავსტრიაში შეხვედრებს მართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, ნინო ბურჯანაძე ავსტრიის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და პრეზიდენტის მრჩეველს საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ბრუნო აონერს შეხვდა და მას 26 მაისის მოვლენების ამსახველი დოკუმენტები, ფოტო და ვიდეო მასალა გადასცა.

— შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყანაში მმართველი რეჟიმის მიერ გატარებულ იმ არადემოკრატიულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც პრაქტიკულად აკანონებს ერთი კაცის დიქტატურას მთელ ქართველ ხალხზე, ასევე ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხსა და იმ ტერორზე, რომელსაც რეჟიმი 26 მაისის სადამსჯელო სპეცოპერაციის შემდეგ გაათმაგებული სიძლიერით ახორციელებს, — აცხადებენ პრესსამსახურში.

შეხვედრები გაიმართა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე პრეზიდენტ ბროსრუკთან, ავსტრია-საქართველოს მეგობრობის ჯგუფთან, პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრებთან და ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ნინო ბურჯანაძემ დოკუმენტთა პაკეტი, ფოტო და ვიდეო მასალა ყველა მათგანს გადასცა.

მასალა მეტად შთამბეჭდავი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ავსტრიელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისთვის. ნინო ბურჯანაძემ ყველა შეხვედრაზე მოითხოვა 26 მაისის მოვლენების საერთაშორისო გამოძიება, ავსტრიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებთან კი დააყენა საკითხი პარლამენტში, საქართველოში დემოკრატიის ხარისხის დამატებით განხილვის შესახებ„ - აღნიშნავენ პარტიაში.

ნინო ბურჯანაძე საქართველოში 17 ივლისს დაბრუნდება.

ინტერპრესნიუსი

# პრეზიდენტის დაცვამ პატრიარქი გაჩხრიკა

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, რა პროცესები შესაძლოა მოჰყვეს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად ექმნება ამით საფრთხე მართლმადიდებლურ ეკლესიას?***

— ეს ის თემაა, რომელზეც ღრმა კომენტარის გაკეთებას ალბათ გარკვეული კატეგორია პოლიტიკოსებისა მოერიდება და მათ შორის ვარ მეც. იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, სახეზეა სრული უპასუხისმგებლობა და უპატივცემულობა ხელისუფლების მხრიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ და მეორე მხრივ, სახეზეა ეკლესიის დამთმობი პოზიცია უკვე მერამდენედ და გასაგებია, ეს რის გამოც, ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად. განცხადებები, რომელიც თავის დროზე საპატრიარქომ გააკეთა, საკმაოდ კატეგორიული განცხადებები, ძალიან მოულოდნელად რამდენიმე დღეში, ვინმე ლაშა თორდიას კომენტარზე დაყრდნობით, შეიცვალა უფრო რბილი განცხადებით. ანუ რეალურად შეიცვალა დათმობით. აბსოლუტურად გასაგებია ჩემთვის, რომ ეკლესიის დაპირისპირება ხელისუფლებასთან უმძიმეს კრიზისს გამოიწვევდა ქვეყანაში. ერთი რამ იწვევს ჩემ შეშფოთებას, რომ თუნდაც ეკლესიის კომპრომისზე წამოსასვლელად, ამ შემთხვევაში სააკაშვილსაც კი არ შეუწუხებია თავი და ის რამდენიმე ადამიანი, რომელმაც თითქმის ღამე გაატარა ეკლესიაში და შემდეგ ლაშა თორდიას განცხადება გახდა ამ დათმობის საფუძველი, ამ განცხადებამ, შესაძლოა ითქვას, რომ ხალხი შოკში ჩააგდო, რადგან ამას არავინ ელოდა. ახლა როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქმე ეხება ეკლესიას და ამდენად, მაქსიმალურად ფრთხილები უნდა ვიყოთ თუნდაც პროგნოზშიც კი, მაგრამ კარგი არაფერი ამ ხელისუფლებისგან მოსალოდნელი არ არის, ესეც ფაქტია. ხელისუფლება რომ ებრძვის მართლმადიდებლობას და პატრიარქის სახით ებრძვის ამ მართლმადიდებლობას, ეს ფაქტია. რამდენჯერმე პატრიარქი იძულებული გახდა, სხვადასხვა მოტივაციით და მე ამ მოტივაციას შეგნებულად არ დავასახელებ, იძულებული გახდა ძალიან არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიეღო. მათ შორის ერთ-ერთი არაპოპულარული გადაწყვეტილება არის ეს გადაწყვეტილება. ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს არაპოპულარული გადაწყვეტილება გახდეს თვითონ ეკლესიის რეიტინგის დაცემის დასაწყისი, ან გაგრძელება. იმიტომ, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენ გავხდით ძალიან „უცნაური" სოციალური გამოკითხვის შედეგების მომსწრე, როცა გამოგვიცხადეს, რომ ეკლესიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეიტინგი თითქმის ერთნაირია. თვითონ საკითხის ასე დასმა, ანუ, როცა უკვე ეკლესიისა და შს სამინისტროს ერთმანეთთან შესადარებელ რეიტინგებზეა საუბარი, უკვე მავნებლობაა. ეს გააკეთა სწორედ ხელისუფლებამ და ამ ხელისუფლებასთან მოთამაშე პარტიებმა. მე შემიძლია ზოგადი პროგნოზი გავაკეთო, რომ რაც გაუკეთა ხელისუფლებამ პოლიტიკურ ოპოზიციას, დაახლოებით იგივეს გაკეთებას ცდილობს მართლმადიდებლობის მქადაგებლების მიმართ, რომ შემდგომ ეს ზოგადად მართლმადიდებლობას შეეხოს. ისევ და ისევ უნდა გავიხსენოთ ბჟეზინსკის ცნობილი გამონათქვამი, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო აქ და რომელმაც დაუფარავად თქვა, რომ ჩვენი გეგმა ახალი მსოფლიოს წესრიგის დამყარებისთვის ძალიან წარმატებულია და ერთადერთი მტერი, რომელიც დაგვრჩა დასამარცხებელი, ეს არის მართლმადიდებლობა.

***— რატომ მიდის ამხელა დათმობებზე ქართული ეკლესია, სიტუაციის გამწვავებას ერიდება?***

— მე მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ მე, როგორც თითოეულ მოქალაქეს ამ ქვეყანაში, ჩემი მოსაზრება მაქვს. ჩემი უკმაყოფილებაც და გარკვეული ახსნაც მაქვს. უბრალოდ, თემა არის იმდენად საშიში და იმდენად ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ზედმეტი კომენტარებიც არ არის სასურველი. ჩვენ ყველანი ერთ რამეზე ვთანხმდებით, რომ ეს ხელისუფლება ებრძვის ეკლესიას. ეს ხელისუფლება პატრიარქის სახით ებრძვის ამ ეკლესიას და ნებისმიერი ვერსის დონეზეც კი მოსაზრების გამოთქმა, რატომ უწევს საქართველოს პატრიარქს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელს ასეთი წამგებიანი ნაბიჯების გადადგმა და გადაწყვეტილებების მიღება, ნებისმიერი ამისი ახსნა შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან არასასურველი პროცესებისთვის ნაპერწკალი. მე ვცდილობ მაქსიმალურად ფრთხილი ვიყო, თუმცა, რა თქმა უნდა, მე მრჩება ერთი შეკითხვის უფლება, არა როგორც ვთქვათ პოლიტიკოსს, უბრალოდ, როგორც ერთ-ერთ რიგით ადამიანს, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს. რა შეიცვალა ამ რამდენიმე დღეში. ანუ ამ კანონის მიღების შემდეგ ეკლესიამ გააკეთა სრულიად ადეკვატური რეაგირება და რადიკალური განცხადება ხელისუფლების ამ ნაბიჯებთან დაკავშირებით. რანაირად შეიძლება მე, ამ ქვეყნის მოქალაქემ, ერთნაირად აღვიქვა საპატრიარქოს მაშინდელი განცხადება და შემდგომ სულ რამდენიმე დღეში ვინმე ლაშა თორდიას ახსნა-განმარტების საფუძველზე აბსოლუტურად შეცვლილი სხვა განცხადება. მე, როგორც ჩვეულებრივ რიგით ადამიანს, მორწმუნეს, მაგრამ რა თქმა უნდა, ცოდვილს და ა. შ. და ა. შ. გამიჩნდება ასეთი შეკითხვა და ალბათ დიდი პატივისცემით და მოწიწებით ვამბობ ამას, მაგრამ საპატრიარქომ ჩემნაირ ადამიანებს ეს უნდა გაგვაგებინოს



იმიტომ, რომ უკვე ჩვენც ძალიან გვიჭირს რაღაც-რაღაცეების ახსნა. ძალიან ვწუხვარ იმაზე, რომ აი ამ ყველაფრის ფონზე სალაპარაკო თემა ხელში უნდა ჩაუვარდეს თეა თუთბერიძეს და ამ კატეგორიის ადამიანებს. აი ამ უსქესო, ურელიგიო და უყველაფრო ადამიანების საჯიჯგნი ნამდვილად არ უნდა გახდეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და ეს რომ ეს არ მოხდეს, ამისათვის ჩვენთან ერთად უნდა იზრუნოს ქართულმა ეკლესიამ.

***— სააკაშვილი ორიოდე დღის წინ სვეტიცხოველში იმყოფებოდა, მან დაუჩოქა კიდეც პატრიარქს, რით ახსნით ამას, მადლიერების ნიშნად გააკეთა ეს?***

— ვერ გეტყვით, არ ვიცი. სააკაშვილის ფიზიკური მოძრაობები იმდენად შოკში ჩამგდებია ყველასთვის, ახლა კონკრეტულად დაჩოქება მისთვის რას ნიშნავს, ვერ გეტყვით. მე ამ დაჩოქებამდე ვიცი ძალიან ბევრი სხვა რამ და ისიც ვიცი, რომ ერთხელ, სამებაში შესვლის წინ, პატრიარქი გაჩხრიკა სააკაშვილის დაცვამ. ამიტომ, რომელი უფრო ხაზგასასმელია ჩემთვის, გასაგები უნდა იყოს, ის რომ პატრიარქს უნდა დაუჩოქო, ვინც არ უნდა იყო და თუნდაც ღრმად პატივცემული პრეზიდენტი. ეს ბუნებრივია, მაგრამ ის, რომ პატრიარქი არ უნდა გაჩხრიკოს პრეზიდენტის დაცვამ საკუთარ სამფლობელოში და ხალხის სამფლობელოში შესვლის წინ, ესეც გასაგებია. მე არა მგონია, რომ დაჩოქება, რომელიც ჩვეულებრივი რიგითი საქციელია ყველა მორწმუნესი, წონიდეს იმ ამაზრზენ საქციელს, რაც სააკაშვილის ხელდასმით მისმა დაცვამ ჩაიდინა, როცა გაჩხრიკეს პატრიარქი.

***— ისიც ცნობილია, რომ სინოდის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე სამების ტაძარში გიგი უგულავა და მამუკა ახვლედიანი იყვნენ, როგორ ფიქრობთ, ზეწოლას ჰქონდა ადგილი?***

— ეს კანონი რომ არ მოეწონა ეკლესიას და სწორედ ამიტომ ცდილობდა, რომ ეთხოვა ხელისუფლებისთვის, გადაედოთ ამაზე მსჯელობა, ეს ფაქტია. ის, რომ ეს კანონი გარეგინ მეორის ვიზიტის შემდგომ ძალიან საეჭვოდ ჩაჯდა ამ ჯაჭვში, ესეც ფაქტია, ხომ? ეკლესიას რომ შეშფოთება არ ეგრძნო და არ დაენახა საფრთხე ამ კანონში, მაშინ არც ის რადიკალური განცხადებები არ გაკეთდებოდა. ფაქტია, რომ რაღაცამ შეაცვლევინა ეკლესიას თავისი პოზიციის გამოხატვა, თორემ ახლა ეს კანონი რომ ძალიან დიდი საფრთხის შემცველია, მე მგონი ამასთან დაკავშირებით ეკლესიას პოზიცია შეცვლილი არ უნდა ჰქონდეს. აქ ლაპარაკია იმაზე, რამდენად მოახდენდა რეაგირებას ეკლესია ამ ეტაპზევე იმ თავხედობაზე, რომელიც ჩაიდინა საქართველოს ხელისუფლებამ. ძალიან ძნელი სათქმელია ჩემთვის, რომ ახლა პატრიარქი ვინმეს გავლენის ქვეშ არის. მე ცოტა ძნელად წარმომიდგენია, ვინმემ პატრიარქზე გავლენა შეძლოს. ერთადერთი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პატრიარქზე, ეს არის მოსალოდნელი არეულობა ეკლესიის შიგნით. ამ საფრთხემ შეიძლება იქონიოს გავლენა და თან საამისო პროცესები ეკლესიაში რომ დაწყებულია, მე მგონი შინაურმაც და გარეულმაც ყველამ ძალიან კარგად იცის. შეიძლება გავლენა იქონიოს საფრთხემ იმისა, რომ შეიძლება ეკლესიას ბზარი და განხეთქილება დაემუქროს. აი ამ გავლენით შეიძლება პატრიარქი დგამდეს რაღაც ნაბიჯებს, თუმცა მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მიჩნდება კითხვა, როდემდე შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა და უკან დახევა?! ერთ მშვენიერ დღეს ყველას გაუჩნდება ეს შეკითხვა, რომ თუ ამ ერთიანობას შეიძლება მოყვეს ის, რომ ეკლესიამ თავისი სახე დაკარგოს, მაშინ ვის რაში სჭირდება ასეთი ერთიანობა?! არ ვიცი, რა გითხრათ, ეს ძალიან მძიმე თემაა ჩემთვის და შეიძლება ახლაც იმაზე მეტს ვამბობ, ვიდრე უნდა ვამბობდე, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცა ზომები ეკლესიას მისაღები აქვს.

***— რაც შეეხება სომხურ-ქართულ ურთიერთობებს, რამდენად არის საფრთხე, რომ ვითარება დაიძაბოს?***

— არ ვიცი ახლა, სომხებთან, აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, ვითარების გამწვავება პრობლემა არასოდეს არ ყოფილა. ანუ როგორც კი ამის საჭიროებას ან რუსეთი, ან საქართველოს რომელიმე ხელისუფლება დაინახავდა, ეს უპრობლემოდ ხდებოდა. ერთადერთი, ასეთ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ეს მათ სასახელოდ უნდა ითქვას. ის რომ ჩვენს ტერიტორიაზე სომხეთი იღებს საკუთარ ეკლესიებზე უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას, ეს გასაგებია, თუ სად არის სომხეთის ინტერესი, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, ჩვენ რომ დაგვთანხმებოდნენ სომხეთის ტერიტორიაზე ჩვენ აგვეგო ჩვენი ტაძრები, აქ უკვე საქართველოს ინტერესი არის აბსოლუტურად გაუგებარი იმიტომ, რომ არა მგონია სომხეთში ქართველების ის რაოდენობა ცხოვრობდეს, რომ ეს ტაძარი საჭირო იყოს. ამიტომ გამწვავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის ჩვენი ძვიფასი ხელისუფლება, რუსეთის ხელისუფლებასთან ერთად. თუ არ ჩათვლის საჭიროდ, მაშინ არ მოხდება გამწვავება. ის რომ ქვეყანა გეგმაზომიერი დაშლის პოლიტიკით მიდის, ესეც ფაქტია. კიდევ ერთს დავამატებ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც და რომელზეც უკვე მოლაპარაკება მიმდინარეობს სააკაშვილთან, არსებობს გეგმა, რომ აფხაზეთის ტერიტორია უნდა დასახლდეს ყარაბაღში მცხოვრები სომხებით. რამდენადაც ჩვენთვის არის ამ გეგმის პროექტი ცნობილი, აზერბაიჯანის სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს ყარაბაღის პრობლემა და იქიდან ევაკუირებული სომხები წამოიყვანონ აფხაზეთში საცხოვრებლად. ეს, არა მგონია, არა თუ ქართველისთვის, არამედ იქ მცხოვრები აფხაზების ინტერესებშიც შედიოდეს. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ ეს თემა უნდა გახდეს ძალიან ფართო, ხმაურიანი და თუნდაც სკანდალური მსჯელობის საგანი. ძალიან ჩუმად და შეფარულად ხდება ამაზე შეთანხმება და პირველი ნიშანი ამაზე შეთანხმების იყო სხვადასხვა პოლიტოლოგის თუ ექსპერტის მხრიდან გაჟღერებული აბსურდული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ თურმე უნდა ვცნოთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმის სანაცვლოდ, რომ აფხაზეთიდან გაიყვანონ რუსეთის ჯარები. ეს ამ გეგმის ნაწილია და ამ გეგმაზე ხელის მომწერი უნდა გახდეს თვითონ სააკაშვილი. ერთ-ერთი მძიმე შედეგი ამ ყველაფრის, შესაძლოა გახდეს ეს, თუ ეს ხელისუფლებას გაუვიდა, ანუ ყარაბაღელი სომხების დასახლება აფხაზეთში.

***— ფაქტია, რომ სააკაშვილი სომხურ ინტერესებს ატარებს ჩვენს ქვეყანაში...***

— რასაკვირველია, სააკაშვილი ამით ძალიან ბევრ კურდღელს იჭერს. ერთი მხრივ, თავის პოზიციებს იძლიერებს და ასრულებს ხუთიანზე ყველა დავალებას. მეორე მხრივ, გეგმაზომიერად ანადგურებს ავტორიტეტებს, რომელი სფეროდანაც არ უნდა იყვნენ ისინი ჩვენს საზოგადოებაში. თუ ასე გაგრძელდა, გარკვეული პერიოდის შემდგომ საქართველოში არც ერთ სფეროში აღარ იარსებებს ავტორიტეტი საზოგადოებისთვის, რომელმაც შეიძლება საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა მოახდინოს.

***— ასევე, მეორე თემასაც მინდა რომ შევეხოთ, ფოტორეპორტიორების თემაც ერთ-ერთი აქტუალურია დღეს. ითქვა, რომ ისინი პირადი შურისძიების და შესაძლოა პოლიტიკური მოტივების მსხვერპლნი იყვნენ. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— მეც რამდენიმე ვარიანტი ვიცი ამასთან დაკავშირებით. ერთი არის, რომ ეს უკავშირდება 26 მაისს. მეორე ვერსიით, ეს ვერა ქობალიას ჯანმრთელობის შერყევის ამბავს და იმ წვეულებას უკავშირდება, თუმცა არ ვიცი, რამდენად დასაბუთებულია. ერთი რამ ფაქტია, არც ერთი მათგანი რომ ჯაშუში არ არის და ფოტოგრაფის საქმიანობა სახელმწიფოებრივ საფრთხეს რომ ვერ შექმნის საქართველოში, ესეც ფაქტია. აქ უფრო პირადი ანგარიშსწორების მოტივი ჩანს და თან ამით ფოტოჟურნალისტების დატერორებაც სცადს, რადგან რეალურად ამ ადამიანების სახელს უკავშირდება 26 მაისს გავრცელებული ყველაზე სკანდალური ფოტოები და მათ შორის გარდაცვლილზე გავრცელებული. ამ ვერა ქობალიას სკანდალსაც ამ ფოტოგრაფებიდან ერთ-ერთის ფოტოები დაედო საფუძვლად. ფაქტია, რომ ის მიზეზი, რა მიზეზითაც ეს ადამიანები დააკავეს, საერთოდ არაფერ შუაში არ არის. ეს არის ის საფრთხე, რომლის შესახებაც ჩვენ ძალიან დიდი ხნის წინ ვაფრთხილებდით საზოგადოებას. მაშინ, როცა ექვსი წლის წინ იგივე ჩვენი მხარდამჭერები დააპატიმრეს, მათ შორის მაია თოფურია და სხვები. აი ასე, უაპელაციოდ, აბსოლუტურად დაუდასტურებელი ცრუ მოწმეების მიერ შეთითხნილი და გამაგრებული ბრალდებით. ჩვენ სულ ვაფრთხილებდით საზოგადოებას, რომ ეს არის უბედურება, ეს არის საფრთხე, რომელმაც შეიძლება ყველა ოჯახის კარზე მიაკაკუნოს. ხვალ შეიძლება დააპატიმრონ ექიმები, იმ ნიშნით, რომ მათ უმკურნალეს, ან კარგად ჩაუტარეს ოპერაცია ოპოზიციის მომხრეებს. ზეგ შეიძლება ეს შეეხოს მასწავლებლებს, რომლებიც კარგ ნიშნებს დაუწერენ ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგეების შვილებს და ასე შემდეგ. არ დარჩება საქართველოში არც ერთი ფენა, რომელსაც არ შეეხება ეს ტერორი და მე მგონი, დროა, რომ ამას თითოეული ჩვენგანი მიხვდეს.

## სტუდენტები მონასტრების აღდგენით სამუშაოებზე მიდიან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერითა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუ-ის სტუდენტებით დაკომპლექტებული 6 რაზმი დღეს საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში მონასტრების აღდგენით სამუშაოებზე გაემგზავრება.

სტუდენტები 10 დღის განმავლობაში ლასურიაშის, ცაგერის, აბასთუმანის, თეთრიწყაროს და მანგლისის მონასტრებში იმუშავებენ. აღნიშნული ღონისძიება ტრადიციული ხასიათისაა და მსგავსი პროექტების განხორციელება მომავალშიც იგეგმება.

**პირველი**

## ალასანია განათლების ახალ რეფორმას გვპირდება

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში განათლების რეფორმის ხელახალი განხილვა მისი პრიორიტეტი იქნება. ამის შესახებ ალასანიამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქ"-ზე ონლაინ-კონფერენციისას განაცხადა.

ამასთან, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი წინასწარ ვერ ასახელებს, თუ გაიაფდება სწავლა მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში.

— ვფიქრობ, რომ სტუდენტის აკადემიური წარმატების დაფასების სისტემა უნდა არსებობდეს — სისტემა, რომელიც არა მხოლოდ დააფასებს, არამედ ახალგაზრდა ქართველებს მომავალი სამსახურებისათვის მოამზადებს. დღეს სწავლის ღირებულებასთან დაკავშირებით რამის დაპირება სერიოზული არ იქნება, თუმცა შემიძლია, დაგპირდეთ, რომ საგანმანათლებლო რეფორის ხელახალი განხილვა ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება, — განაცხადა ალასანიამ.

**პირველი**

# სამშობლოს სადღეგრძელოს ყანწით ვსვამ

## დეპუტატ კოპალიანს თამადობა არ უჭირს

ნანა მიშელაშვილი

**ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი ამბობს, რომ ფიცხი ადამიანი არ არის და მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია. კოპალიანი ამბობს, რომ 52 წლის მანძილზე ბოდიში არავისთვის მოუხდია, რადგან საბოდიშო საქმე არ ჰქონია. თუმცა, მიაჩნია, რომ ბოდიშის მოხდა ტრაგედია არ არის და როდესაც დამნაშავე ხარ, ბოდიშის მოხდა უნდა შეგეძლოს.**

რატომ დაკბინა რამდენჯერმე ძაღლმა, უყვარს თუ არა ნადირობა და როგორი თამადაა ცაგერის მაჟორიტარი?

„ახალი თაობა" კარლო კოპალიანს ესაუბრა.

***— საიდან ხართ კოპალიანები?***

— პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდება გვარების დალოცვა. ჩვენ ახლა ამისთვის ვემზადებით. 13 ნოემბერს დაილოცება ჩვენი გვარი. ჩვენ შევქმენით საგვარეულო კავშირი და პირველ რიგში დავინტერესდით, საიდან ვართ. სხვადასხვა ლიტერატურა არსებობს და ასეთი მოსაზრებაა, რომ ჩვენი გვარი წამოვიდა მითიური პიროვნება — კოპალასაგან, რომელიც თავის პატიოსანი ცხოვრებით, გმირული თავდადებითა და მტრებთან ბრძოლით იყო ცნობილი. შემდეგ მისი შთამომავლობა გაიბნა სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, სვანეთში. მესტიაში იყო ჩვენი გვარი, რამდენიმე საუკუნის წინ კოპალიანები გადმოსახლდნენ ლეჩხუმში. რამდენად სწორია ეს ვერსია, ვერ გეტყვით. ახლა კოპალიანების გვარს სხვაგან თითქმის ვერსად ნახავთ, გარდა ცაგერის რაიონისა. კოპალიანები 1948-52 წლებში გადასახლებული იყვნენ აფხაზეთში. ახლა ისინი დევნილები არიან.

***— დიდი გვარი ხართ?***

— 6 ათასი ადამიანი ვართ.

***— ადრე საგვარეულო შეკრებები გქონდათ?***

— მცირე, ლოკალური შეკრებები გვქონდა.

***— იმ შეკრებების დროს თამადა თქვენ იყავით?***

— არა. ისე, თამადობა ჩემთვის უცხო არ არის. მეხერხება ეგ საქმე.

***— დიდ სუფრებზე თამადა ყოფილხართ?***

— რა თქმა უნდა, ქორწილის, ჭირის სუფრებზე თამადა უამრავჯერ ვყოფილვარ.

***— ქორწილის სუფრის გაძღოლა უფრო მარტივია თუ ჭირის?***

— რთული არც ერთი არ არის. ლხინია თუ ჭირი, თავისებური გაძღოლა უნდა. ჩვენ ტრადიციული ერი ვართ და ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციებს.

***— განსხვავებული სასმისით შეგისვამთ?***

— რამდენიც გინდათ.

***— კრამიტით დაგილევიათ?***

— არა. კრამიტით ჩვენთან არ სვამენ, ეს უფრო აღმოსავლეთში იციან.

***— თქვენთან განსხვავებული სასმისი რა არის?***

— ყანწი, ბოკალი, თიხის ფიალები.

***— სიყვარულის სადღეგრძელოს როგორი სასმისი უხდება?***

— ძალიან თხელი, სიფრიფანა, მაღალი ბოკალი.

***— სამშობლოს სადღეგრძელოს რითი სვამთ?***

— ყანწით, თიხის ფიალით.

***— ამბობენ, რომ ყველაზე რთული ჭინჭილით დალევაა...***

— მართალია. ქართველებმა ბევრი რამ გადამეტებული ვიცით. ამაშიც გამოვამჟღავნეთ ეს ნიჭი, რომ საოცარი ჭინჭილები მოვიგონეთ: ექვსსასმისიანი, ცხრასასმისიანი. გულბაათი რომ სვამდა, ის სხვა ჭიქჭილა იყო, მზადდებოდა სპეციალური მწარე გოგრისგან. დღეს რომ არის ათასი თიხის ჭინჭილა, ეს სულ სხვაა.

***— ღვინო დაგიყენებიათ?***

— კი. ვაზი გამისხლავს, ყურძენი დამიკრეფია და დამიწურავს.

***— როგორ ღვინოს აყენებთ?***

— საკმაოდ კარგს.

***— ლეჩხუმში არის განსაკუთრებული ჯიშის ყურძენი, რომელიც მარტო თქვენთან მოდის, ხომ ასეა?***

— კი, უსახელაურის ჯიშის ყურძენი მხოლოდ ერთ მიკრორეგიონში ხარობს, ერთ სოფელში მთლიანად არ ხარობს, სოფლის ნახევარში მოდის, ნახევარში — არა. ეს არის სოფელი ოყურეში და სოფელი ზუბი, მარტო დაბლა ტერიტორიებზე ხარობს, ანუ ერთ გლეხს შეიძლება ჰქონდეს ეს ვაზი, მეორეს — არა.

***— ამ ყურძნისგან ძვირადღირებული ღვინო დგება?***

— ძალიან ცოტა მოდის ეს ყურძენი. მთლიანობაში უსახელაური შეიძლება მოვიდეს 30 ტონა, მეტი არ მოდის. არის უიშვიათესი ჯიში და მისგან დამზადებული ღვინო ძვირადღირებულია. თბილისის მარკეტებში ერთი ბოთლი 150 ლარიდან 170 ლარამდე ღირს.

***— თქვენ როგორ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?***



— თეთრ ღვინოს, ლეჩხუმურ ცოლიკაურს.

***— არაყთან დაკავშირებით რას იტყვით?***

— არაყი არ მიყვარს. ცოტა შეიძლება დავლიო, შეიძლება ითქვას, რომ არაყი დიდი დოზით 20 წელია არ მიმიღია.

***— ისე დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გახსოვთ, წინა დღეს რა მოხდა?***

— არა.

***— თამადა როდესაც ყოფილხართ, სუფრიდან ვინმე გაგიძევებიათ?***

— არასოდეს!

***— თამადას რომ არ უსმენენ სუფრის წევრები და ამის გამო თამადა ცხარობს, ეს რის მანიშნებელია?***

— საკუთარი თავის შეურაცხყოფაა, როდესაც სუფრის წევრებისთვის იმის თქმა დაგჭირდება, მომისმინეთო. თუ ღირსეული თამადა ხარ, სუფრა თავიდანვე უნდა აიყვანო ხელში, საინტერესოდ უნდა ისაუბრო. ჩვენ, საერთოდ, ხმაურიანი ერი ვართ. ეს უკულტურობა არ არის. ჩვენს ერს რომ კულტურა აქვს, ბევრმა ვერ დაიტრაბახოს.

***— სუფრასთან სიმღერა შეგიძლიათ?***

— სიმღერაში ცოტა მოვიკოჭლებ.

***— მუსიკალური განათლება არა გაქვთ?***

— არა. სამაგიეროდ, თუკი ლექსი გიყვარს, საქართველოს ისტორია იცი და უხვსიტყვიანი ხართ, თამადობა არ უნდა გაგიჭირდეთ.

***— რამდენიმე ჭიქის შემდეგაც ვერ აჰყვებით მომღერლებს სუფრაზე?***

— ეგ შემიძლია.

***— მერე, სიმღერას არ ჩაშლით?***

— არა. თუ სიმღერა არ იცი, ისე არ უნდა მოიქცე, რომ სხვას ხელი შეუშალო. მეგობრები მყავს, რომლებიც კარგად მღერიან. თუკი სიმღერა არ იცი, დაჯექი და მოუსმინე, ისიამოვნე.

***— ძირითადად როგორ სიმღერას უსმენთ?***

— მე 16 და 18 წლის შვილები მყავს და, ისინი რომ უსმენენ მუსიკას, ჩემს ნერვებზე მოქმედებს. ძალიან მიყვარს ჩემი თაობის სიმღერები. ქართულ ხალხურ სიმღერებზე ვგიჟდები. მრავალხმიანი ქართული სიმღერები საოცრებაა. არ მიყვარს რეპი, არც გარემიქსებული სიმღერები. ასევე მიყვარს ჩემი სტუდენტობის დროინდელი სიმღერები, „ბიტლზები"...

***— შვილებს შენიშვნებს ძირითადად რაზე აძლევთ? მუსიკას ხმამაღლა რომ უსმენენ, არა მგონია, ამის გამო შენიშვნებს იმსახურებდნენ...***

— არა, მაგაზე შენიშვნებს არ ვაძლევ, უბრალოდ, ვეუბნები, ცოტა დაუწიონ. სხვათა შორის, არასდროს არც ერთი არ მიცემია.

***— დამჯერი ბავშვები არიან?***

— კი, რასაც ეტყვი, ესმით. სამი წლის წინ დედა გარდაეცვალათ და მას შემდეგ არც დამჭირვებია ხმამაღლა რაიმეს თქმა.

***— ხასიათის თვისებებით რომელი გგავთ?***

— ალბათ, ორივე, თუმცა, უფრო პატარა მგავს.

***— ფიცხი ადამიანი ხართ?***

— არა.

***— ძნელია თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?***

— ძალიან ძნელია. ამის გამო სულ მომიგია. ჩემი დევიზია — ვინც ითმენს, ის იგებს. შემიძლია, ადამიანს გარკვეული შეურაცხყოფაც მოვუთმინო, თუ ის არაფხიზელ მდგომარეობაშია. დარწმუნებული ვარ, მეორე დღეს ასეთი ადამიანი თავად მიხვდება და ბოდიშს მოიხდის.

***— თქვენ როდესაც დამნაშავე ყოფილხართ, ბოდიში მოგიხდიათ?***

— შემთხვევა არ მქონია 52 წლის მანძილზე, რომ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, ბოდიში მომეხადა. ბოდიშს იმ შემთხვევაში იხდი, თუ რაღაცას დააშავებ. თუ ასეთი შემთხვევა მექნება, ტრაგედია არ არის, ბოდიშის მოხდა შემიძლია.

***— სკოლის პერიოდში თავი გაგიტეხიათ?***

— არა.

***— ხელ-ფეხი მოგიტეხიათ?***

— არა. ამაში არ დამემსგავსნენ ჩემი შვილები. ლევანმაც და ლექსომაც — ორივემ მოიტეხა ხელი. სამაგიეროდ, ბავშვობაში 4-5 ძაღლს ვყავვარ დაკბენილი.

***— პირველად ძაღლმა რომ დაგკბინათ, რამდენი წლის იყავით?***

— 3-4-ის წლის ვიყავი, სახეზე მიკბინა. მერე სხვადასხვა ასაკში კიდევ 4-5-ჯერ დამკბინა ძაღლმა. გადავრჩი. მადლობა ღმერთს, რომ ცოფიანი ძაღლი არც ერთი არ იყო, თორემ ერთი ოპოზიციონერი დააკლდებოდა დღევანდელ პარლამენტს.

***— ასეთს რას უშავებდით ძაღლებს, რომ ამდენჯერ დაგკბინეს?***

— არ ვიცი, არაფერს. სხვათა შორის, არც ახლა მეშინია ძაღლების, შემიძლია, მივიდე და მოვეფერო.

***— ეტყობა, ძაღლებს აბრაზებდით, თორემ უმიზეზოდ ხომ არ გიკბენდნენ?***

— სულ მოფერების დროს მკბენდნენ. 3-4 წლის როდესაც ვიყავი, მაღალმთიან კურორტზე ვიყავით დასასვენებლად, ვთამაშობდი და მეზობლის ძაღლმა მიკბინა. ამ ძაღლის პატრონმა როდესაც გაიგო, მოვიდა და ძაღლი ხეზე ჩამოკიდა, ბავშვს უკბინა და ასეთი ძაღლი სახლში რად მინდაო. დედაჩემს და მამაჩემს ძალიან შესცოდებიათ ის ძაღლი, პატრონისთვის უსაყვედურიათ, ძაღლს რა ჭკუა აქვს, ასე რატომ გააკეთეო. როდესაც წამოვიზარდე, ის ძაღლი მეც ძალიან შემეცოდა.

***— ახლა სახლში ძაღლი გყავთ?***

— ლეჩხუმში ძაღლი მყავს.

***— ნადირობა გიყვართ?***

— ნანადირევი უფრო მიყვარს, ვიდრე ნადირობა.

***— რაიმე გყავთ მონადირებული?***

— მხოლოდ ფრინველი — მწყერი, ტყის ქათამი, იხვი. მეგობრები მყავს, რომლებიც გიჟდებიან ნადირობაზე და კარგი მონადირეები არიან.

***— გარეული ცხოველის ხორცი გემრიელია?***

— მე არ მომწონს. ბევრი გარეული ცხოველის ხორცი გამისინჯავს, მაგრამ შინაური ცხოველის ხორცი უფრო მომწონს. ბევრისთვის ნადირობა აზარტია.

***— თევზაობაზე რას იტყვით?***

— ბადის გაშლა არ მეხერხება.

***— ანკესით გითევზავიათ?***

— ბავშვობაში მითევზავია. ახლა ამის დრო არ არის. ჩვენს რაიონში მთის კალმახია, რომელიც უგემრიელესია.

***— ბავშვობაში კალმახი დაგიჭერიათ?***

— რა თქმა უნდა, დამიჭერია და ძალიან გავხალისებულვარ.

***— სკოლაში რომელი საგნები არ გიყვარდათ?***

— ნაკლებად მიყვარდა ასტრონომია, ნერვებს მიშლიდა ფიზიკა.

***— რომელი საგანი გიყვარდათ?***

— ქართული ენა და ლიტერატურა და ისტორია.

***— ფიზიკაში ორიანი მიგიღიათ?***

— არა.

***— არა მჯერა, თითქმის ყველა ბავშვს მიუღია სკოლაში ორიანი...***

— მე არ მიმიღია. ორიანი კი არა, სამიანიც კი არ მიმიღია.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— კი.

***— რის გამო?***

— სიცელქის გამო. ჩემს პედაგოგებსა და დირექტორს ხშირად უთქვამთ: შენ რომ საუკეთესო მოსწავლე არ იყო, აქამდე 9 სკოლა გექნებოდა გამოცვლილიო.

***— „დიმაუშკა" აგიფეთქებიათ კლასში?***

— არა, მაშინ სად იყო „დიმაუშკა"? ჩვენთვის ასეთი რამ ხელმიუწვდომელი იყო. მაშინ მხოლოდ პატარა შუშხუნები იყო. მასწავლებლისთვის ჭიკარტი არ დამიდია და არც წებო დამისხამს სკამზე. მაგის გამკეთებლები სხვები იყვნენ ჩემს კლასში.

***— კლასში შეშის ღუმელში რაღაც არ შეგიგდიათ, რომ გაკვეთილზე აფეთქებულიყო?***

— მსგავსი რამ არ გამიკეთებია, თუმცა, მაგის გამკეთებელი ხალხიც იყო ჩვენს კლასში. პატარა კაფსულებს ყრიდნენ ღუმელში და გაკვეთილზე ფეთქდებოდა. მასწავლებლები უკვე არ კითხულობდნენ, ეს ვინ გააკეთაო. თავად იცოდნენ, ამის ჩამდენი ვინც იყო.

***— სკოლა ცაგერში დაამთავრეთ?***

— თავიდან ცაგერის სკოლაში სწავლობდი, შემდეგ სოფელ ლასურიაში გადავედი. იქ სწავლობდნენ ჩემი უფროსი ძმები და მეც იქ გადამიყვანეს.

***— „შატალოზე" სად მიდიოდით?***

— სოფელში სად წავედოდით? ხან ფეხბურთის სათამაშოდ მივდიოდით, ხან მეზობელ სოფელში გადავდიოდით. კაფე იქ არ იყო და ბარი, სხვა გართობის საშუალება იქ არ იყო.

***— გოგონას გამო, მეგობრის შეყვარებულის გამო გიჩხუბიათ?***

— არა. თუ ვინმეს შეყვარებული ჰყავდა, ყველამ იცოდა და ხელშეუხებელი იყო.

***— სტუდენტობის პერიოდში ლექციებიდან იპარებოდით?***

— კი. მე გეპეიში ვსწავლობდი. ეს ითვლებოდა მამაკაცურ სასწავლებლად. კურსზე 100 სტუდენტი ვსწავლობდით და აქედან მხოლოდ 3-4 გოგონა იყო, დანარჩენი ბიჭები ვიყავით.

***— რა ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული?***

— ჰიდროტექნიკური მშენებელი ვარ, ანუ კაშხლების მშენებელი. ამდენი მამაკაცი რომ იქნება კურსზე, ძალიან ხშირად მივდიოდით „შატალოზე", რესტორანში. ახლოს ლუდის ბარი იყო — „შატილი", რომელსაც გეპეის მე-8 კორპუსს ვეძახდით.

***— ლუდის ბარში, რომელსაც ხუმრობით გეპეის მერვე კორპუსს ეძახდით, ლუდი იაფი იყო?***

— რა თქმა უნდა, ერთი კათხა ლუდი 40 კაპიკი ღირდა. სტუდენტები 5 მანეთს თუ ავკრეფდით, ყველაფერში გვყოფნიდა. ცოტა არაყსაც დავარტყამდით და კარგ ხასიათზე ვდგებოდით.

***— მაშინ სტუდქალაქში ცხოვრობდით თუ ნაქირავებში?***

— ნაქირავებში ვცხოვრობდით ერთად მე და ჩემი ორი მეგობარი.

***— სადილების მომზადება თქვენ გიწევდათ?***

— არა.

***— აბა, მეგობრები ამზადებდნენ?***

— კი, ლობიოს თუ მოვხარშავდით, ეგ იყო. ჩვენი დროის სტუდენტობა იყო ძეხვი და პური, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ნივრის გემო თუ არ იცი, ზუსტად ეგ იყო. მშობლები კი გვიგზავნიდნენ საჭმელს, მაგრამ ერთ კვირა არ გვყოფნიდა, შემდეგ ვიყავით, ძეხვზე, ნიორსა და ხახვზე. ლობიოს თუ მოვამზადებდით, დელიკატესი იყო. შეგვეძლო კვერცხის შეწვა.

***— ახლა ისწავლეთ სადილებს მომზადება?***

— არა, მაგ საქმეში დილეტანტი ვარ. ერთადერთი, შემიძლია კვერცხისა და ძეხვის შეწვა.

***— მარტო რომ დარჩეთ, სადილს ვერ მოამზადებთ?***

— ახლა მარტო ვცხოვრობ თბილისში, მხოლოდ ძეხვეულის შეწვა შემიძლია. ბავშვები თუ ჩამოვლენ თბილისში, გამიჭირდება მაგ საკითხთან გამკლავება, ან მე მომიწევს სადილების შესწავლა, ან — მათ. მე მგონი, ჯობია, მათ შეისწავლონ, ახალგაზრდები არიან და ყველაფერს უცბად ითვისებენ.

***— თქვენი შვილები რით არიან დაკავებული?***

— უფროსი აბიტურიენტია, წელს აბარებდა. იმედი მაქვს, ჩააბარებს უმცროსი ფეხბურთზე დადის და ბურთის გარდა ახლა არაფერი აინტერესებს.

***— როგორი ფეხბურთელი გამოვა?***

— ძალიან ნიჭიერია, თუმცა, სწავლისთვის დრო აღარ რჩება. თუ რაიმეს ვსაყვედურობ, მხოლოდ ამას, რომ ფეხბურთზეც იაროს და თან კარგად ისწავლოს. მისი მწვრთნელები მეუბნებიან, რომ კარგი ფეხბურთელი გამოვა. ვაპირებ, თბილისში სპეციალისტებს ვაჩვენო, თუ კარგი ფეხბურთელი დადგება, გაჰყვეს, თუ „დაბრაკეს", მერე წიგნს უნდა მიხედოს.

***— ძმებში დამთმობი რომელია?***

— კატა-თაგვივით არიან, თან ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. ხშირად დედმამიშვილებში ასეა, მხოლოდ ჩემი შვილები რომ იყვნენ ასე, ალბათ, გავგიჟდებოდი. ვეუბნები: ორნი ხართ და ერთმანეთში არ უნდა იკინკლაოთ-მეთქი, თუმცა, იმასაც ვხედავ, რომ ძმები ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ.

# სიწმინდეებს მოწიწებით უნდა მივეახლოთ



ნათია ხურცილავა

**15 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ლაქერნის ღვთისმშობლის დღეს აღნიშნავს.**

ეს დღე განსაკუთრებულად სამეგრელოში, ზუგდიდში აღინიშნება, რადგან სწორედ იქ არის დაბრძანებული ეს სიწმინდე.

ლაქერნის ღვთისმშობელს, როგორც მამა გიორგი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, უდიდესი სასწაულმოქმედი ძალა აქვს.

ნებისმიერ სიწმინდეს, ხატს, ადამიანი თუ რწმენით მიეახლება, იმ შემთხვევაში სასწაულმოქმედი ძალაც არ დააყოვნებს.

ინტერვიუ სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზ გიორგი სანამაშვილთან.



— ლაქერნის ღვთისმშობლის დღესასწაული განსაკუთრებით აღინიშნება სამეგრელოში, ზუგდიდში. გვითხარით ამ დღესასწაულის შესახებ...

— საქართველოს ეკლესია ახალი სტილით 15 ივლისს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელის დადებას აღნიშნავს. ლაქერნის ღვთისმშობლის დღესასწაული განსაკუთრებულად ზუგდიდში აღინიშნება. სწორედ ზუგდიდის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი, რომელიც წლების განმავლობაში ინახებოდა დადიანების სასახლეში. შემდეგ უკვე, როგორც გითხარით, ზუგდიდის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. 15 ივლისს, ლაქერნობას გამოაბრძანებენ ხოლმე ამ სიწმინდეს და თითოეულ მორწმუნე მრევლს აქვს საშუალება, ამ უდიდეს სიწმინდეს ემთხვიოს.

— დედა ღვთისმშობელს განსაკუთრებული როლი აქვს მართლმადიდებლურ სწავლებაში. მარიამ ღვთისმშობელი გამორჩეული წმინდანია ქართველებისთვისაც და მას გამორჩეული ადგილიც უჭირავს...

— ღვთისმშობლის შესახებ სწავლებას მყარად იცავს სამოციქულო წმინდა ეკლესია, რადგან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არის უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული, მართლმადიდებლური სწავლებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულმა ადამიანმა იცოდეს ღვთისმშობლის უბიწოების დოგმატი. საინტერესოა ერთ-ერთი საგალობელი, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ეძღვნება: „უპატიოსნესსა ქერუბინთასა და აღმატებით უზეშთაესსა სერაფიმთასა“. ქერუბინები და სერაფიმები ძალიან აღმატებული ანგელოზები არიან. ღმერთთან ყველაზე ახლოს მყოფი ანგელოზები, რომლებიც ექვს-ექვსი და რვა-რვა ფრთით იფარავენ სახეს, ღვთის სრული ნათელის ხილვა მათთვისაც, ამდენად, შეუძლებელია. მათზე აღმატებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. უპატიოსნესია ქერუბიმებზე და აღმატებით უზესშთაესი სერაფიმებზე. „განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა“, რაც ნიშნავს ღვთის სიტყვის

**საქართველო იმ კუთხითაც არის სასწაული, რომ აქ უამრავი სიწმინდეა, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული. სასწაულებრივად აღმოჩნდა საქართველოში ილია თეზბიტელის, წინასწარმეტყველის ხალენი (მანტია), რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული. შემდეგ, როდესაც პირველ საუკუნეში მაცხოვარს ჯვარს აცვამენ, სასწაულებრივი წილისყრით უფლის კვართი მცხეთელ ებრაელებს შეხვდებათ და სწორედ ისინი ჩამოიტანენ საქართველოში მაცხოვრის კვართს. ამ კვართს სიდონია ჩაიხუტებს გულში და მასთან ერთად არის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლული.**

განხორციელებას. დედა ღვთისმშობელმა ღვთის სიტყვა, „ლოგოსი“ შვა. მაცხოვარი, იესო ქრისტე განუხრწნელად შვა ანუ მის ქალწულებას ბიწი არ შეხებია. როდესაც მარიამ ღვთისმშობელს უმამაკაცოდ მიუდგა სულიწმიდის მადლი, განუხრწნელად შვა ღვთის სიტყვა ანუ მაცხოვარი. „მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ“, ანუ ეს ღვთისმშობელი ერთადერთია. ყველაზე დიდი სიახლე, რომელიც არსებობს მზის ქვეშეთში — ეს არის სწორედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის შობა უმამაკაცოდ. ამ წუთისოფელში ღმერთი იშვა ადამიანის სახით. ამიტომაც არის დედა ღვთისმშობელი აღმატებული. ჩვენ ვიცით ღვთისმშობლის ცხოვრება, მისი მოღვაწეობა, თუ რატომ გამოირჩია უფალმა სწორედ ღვთისმშობლად მარიამი, რომ მისი წიაღიდან შობილიყო უფალი.

***— რატომ გამოირჩია?***

— ვიცით, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მშობლები, ანა და იოაკიმე, ღრმად მორწმუნეები იყვნენ, მაგრამ პირმშო არ უჩნდებოდათ, არ ჰყავდათ შვილი. ეს დიდ ცოდვად, ღვთის სასჯელად, ერთგვარ ღვთის რისხვად ითვლებოდა ძველ აღთქმაში. მრავალი ხნის განმავლობაში ანა და იოაკიმე ლოცულობდნენ, რომ შვილი ჰყოლოდათ. ღმერთმა ისმინა მათი და ეს ნანატრი დღეც დაუდგათ, ღვთის წყალობით ქალიშვილი შეეძინათ. მარიამის დედას, ანას, აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ შვილს აუცილებლად ტაძარს შესწირავდა. ერთი საოცარი რამ მოხდა: ჯერ კიდევ ყრმა მარიამი სანამ ფეხს აიდგამდა, დედამ როდესაც ბავშვი ხელიდან ძირს ჩამოსვა, ბავშვმა მიირბინა, აიარა წმიდათა წმიდას კიბეები და წმიდათა წმიდაში ანუ საკურთხეველში შევიდა, სადაც მხოლოდ წელიწადში ერთხელ შედის მღვდელმთავარი. საკურთხეველში მხოლოდ მამაკაცი შედის, თანაც მხოლოდ მღვდელმთავარი. წლითიწლად ანუ ყოველ წუთს იქ შესვლის უფლება არავის ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეს სასწაული თავად მღვდელმთავარმაც ნახა, მაგრამ მარიამისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით, ღვთისმშობელმა აიარა საფეხურები და საკურთხეველში შევიდა. ეს უკვე იყო სასწაულის ნიშანი. ეს იყო ერთგვარი წინასწარმეტყველება, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი აღმატებული იქნებოდა სხვა დანარჩენ ქმნილებებზე. როდესაც მარიამს ქალწულების ასაკი დაუდგება, ის გადაწყვეტს, დანარჩენი ცხოვრება მონასტერში გაატაროს და მონასტრული ცხოვრებით იცხოვროს, რათა ღმერთს შესწიროს თავისი პატიოსანი ცხოვრებით თავი. მონასტრული ცხოვრება ქვრივ-ობლების, ღატაკების მოვლა-პატრონობას ითვალისწინებდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს დაახლოებით 85-86 წლის კაცისთვის უნდა მოევლო და ეპატრონა. მარიამ ღვთისმშობელი მართალ იოსებთან ფიქტიურ ქორწინებაში იყო. მისთვის უნდა მოევლო. ღმერთმა ეს სასწაული დაუშვა. რატომ უწოდებს მართალ იოსებს? იმიტომ, რომ რჯულზე მაღლა დადგა. როდესაც მან მიდგომილი, დაორსულებული ღვთისმშობელი ნახა, კი არ ჩაქოლა, კი არ გასცა, პირიქით, გააპარა. ებრაული რჯული ითვალისწინებდა, როგორც ახალ აღთქმაშია გადმოცემული, მრუშობაში მყოფი ქალი ქვებით ჩაექოლათ. როდესაც მართალმა იოსებმა შეიტყო, რომ მარიამი ფეხმძიმედ იყო, გაუკვირდა, რადგან მისგან არ იყო და ვისგან შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. გაიფიქრა, რომ უღალატა, მაგრამ კრებულში გაცემისთვის და ჩაქოლვისთვის არც უფიქრია. პირიქით, ფიქრობდა, რომ როგორმე ჩუმად გაეპარებინა სახლიდან. სწორედ ამიტომ დადგა იოსები რჯულზე მაღლა. მართალ იოსებს ანგელოზი გაბრიელი ეჩვენა და უთხრა: ნუ გეშინია, იოსებ, შენი ცოლის სახლში მიყვანებად, ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდის მადლით არის, შობს ძეს და უწოდებენ ემანუელს, რაც ნიშნავს ჩვენთან არს ღმერთი. ამით უკვე ცნობილი გახდა, რომ იესო ქრისტე იშვებოდა. სწორედ ასე მოხდა მაცხოვრის შობა წუთისოფელში. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ სანამ ღვთისმშობელი მიუდგებოდა, ის ქალწულებას იცავდა, ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული. მას მთავარანგელოზი გაბრიელი ეჩვენა და უთხრა: გიხაროდენ, მარიამ! მარიამ ღვთისმშობელი ფიქრობს, რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვა ანგელოზისგანო. შენ რომ მიუდგები, შობ ძეს, რომელიც დიდი იქნება და კაცთა მოდგმას ცოდვის ტყვეობისგან გამოიხსნისო. კი მაგრამ, საიდან მოხდება ეს, როდესაც მე მამაკაცი არ ვიცი? — ამბობს ღვთისმშობელი. — სულიწმიდა მოვა შენზე და ძალი მამისა დაგიფარავსო. ამით დაედო დასაბამი ხარების დღესასწაულს.

***— მართალი იოსებისთვის ცნობილი გახდა, რომ უბიწოდ შობდა ძეს?***

— დიახ, დედა ღვთისმშობელი ყველაზე აღმატებულია. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი უფლის, იესო ქრისტეს შობამდე ქალწული გახლდათ, შვა ძე და კვლავაც ქალწული დარჩა. მის ქალწულობას ბიწი არ შეხებია.

***— საქართველოში უამრავი წმინდანის სანაწილებრივი ნაწილები ან სამოსია. ესეც ერთგვარი ნიშანია ქვეყნის?***

— საქართველო იმ კუთხითაც არის სასწაული, რომ აქ უამრავი სიწმინდეა, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული. სასწაულებრივად აღმოჩნდა საქართველოში ილია თეზბიტელის, წინასწარმეტყველის ხალენი (მანტია), რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული. შემდეგ, როდესაც პირველ საუკუნეში მაცხოვარს ჯვარს აცვამენ, სასწაულებრივი წილისყრით უფლის კვართი მცხეთელ ებრაელებს შეხვდებათ და სწორედ ისინი ჩამოიტანენ საქართველოში მაცხოვრის კვართს. ამ კვართს სიდონია ჩაიხუტებს გულში და მასთან ერთად არის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლული.

***— რომლის საფუძველზეც აღიმართა სვეტიცხოვლის ტაძარი...***

— დიახ, უამრავი სასწაული იყო დაკავშირებული მაცხოვრის კვართთან. ასევე სასწაულებრივად არის მოხვედრილი საქართველოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესამოსელი. საოცარია ეს ქვეყანა სწორედ ამ სიწმინდეებით, რომლებიც მართლაც მრავლად არის.

***— ეს რაზე შეიძლება მეტყველებდეს?***

— იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანას ეს წმინდანები მფარველობენ, ასევე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ არის ჩვენი სამშობლო. საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

***— სასწაულებრივი ძალა ისევ აქვს ლაქერნის ღვთისმშობლის სამოსს?***

— რა თქმა უნდა, აქვს. თუ რწმენით მიეახლება ადამიანი ამ სიწმინდეს, თუ ღრმა შეგნებით მიეახლება და გააცნობიერებს, რას ეხება, რა უნდა მისგან გამოითხოვოს, რასაკვირველია, რომ ეს სასწაულებრივი ძალა ამოქმედდება. ერთ-ერთ სასწაულს მოგიყვებით: როდესაც მაცხოვარი ხალხში ირეოდა, ის ქადაგებდა მრავალ ქალაქში, ეს იცოდა ერთმა ქალმა, რომელიც დაავადებული იყო, 12 წელი სისხლი სდიოდა. ამ ქალს სჯეროდა, თუ ის მაცხოვრის კალთის ბოლოს შეეხებოდა, განიკურნებოდა. ერთ-ერთი ასეთი ქადაგების დროს მართლაც შეეხო და განიკურნა. წმინდა სახარება გადმოგვცემს: მაცხოვარმა მისგან გასული ძალა რომ იგრძნო, მოციქულებს ჰკითხა, ვინ შემახო ხელიო. მოციქულები გაოცდნენ — უფალო, აქ ისე ირევა ხალხი, რომ ხან აქეთ გვაგდებენ, ხან იქით ხელს გვკრავენ და იმას კითხულობ, ვინ შემახო ხელიო? არა, მე ჩემგან განსული ძალა ვიგრძენიო — ამბობს მაცხოვარი. ეს სასწაული მაცხოვარმა დაფარულად არ დატოვა. შემდეგ ეს ქალი მიდის უფალთან და თავად აღიარებს, ეუბნება, მე შეგახეთ ხელიო და განვიკურნეო. მაშინ უფალი პასუხობს, შენმა რწმენამ გიშველა შენო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენას. სწორედ რწმენით უნდა მივეახლოთ თითოეულ ხატს, თითოეულ სიწმინდეს და ასევე უნდა ვიცოდეთ, რას ვითხოვთ ამ სიწმინდისგან, რა გვინდა. ეს უნდა გვქონდეს გაცნობიერებული. თითოეულ სიწმინდეს ადამიანი მოწიწებით, მორიდებითა და დიდი სიყვარულით უნდა მიეახლოს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ლაქერნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მადლი, მისი სარტყლისა და შესამოსლის მადლი ჰფარავდეს ჩვენს ქვეყანას, სრულიად საქართველოს!

ეკა ირემაშვილი

# „არტ-გენის“ ფესტივალზე სიგარეტი და სასმელი არასდროს გაიყიდება

საქართველოს რეგიონებში სტუმრობის შემდეგ რიგით მერვე ფესტივალი „არტ გენი“ დასკვნით საფესტივალო ტურს უკვე თბილისში ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მართავს. 24 ივლისის ჩათვლით ფესტივალზე ტრადიციულად წარმოდგენილი იქნება ქართული რეწვისა და ეთნოგრაფიული გამოფენები, საუკეთესო ფოკლორული ნომრები რეგიონების მიხედვით, ქართული საბრძოლო ხელოვნების თეატრის საჩვენებელი გამოსვლები და ცნობილი ჯგუფებისა და შემსრულებლების სოლო კონცერტები.

არტ-გენზე მაყურებელი დაესწრება სუხიშვილების, 33ა-ს, ნინო ქათამაძის და ინსაითის, გორდელას, ფრანის, ჩვენებურების, ზუმბალენდის, რეგიონის, დეციშის, აუტსაიდერის კონცერტებს. ქართული ჯგუფებისა და მომღერლების გარდა, წელს ფესტივალში ჩართულია ჯგუფები საფრანგეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, შრი-ლანკიდან, ავსტრიიდან, კატალონიიდან და სენეგალიდან.

„არტ-გენი 2011“ წელს სამ რეგიონს ესტუმრა — კახეთს სოფელ მირზაანში და კულტურული ტურებით მოიარა საქართველოს რეგიონები — ქვემო ქართლი, რუსთავი, სამეგრელო, ფოთი.

წელს ფესტივალი და ფონდი „კოალიცია სამართლიანობისთვის“ უმასპინძლებს 500 დევნილ ბავშვს სხვადასხვა კომპაქტური ჩასახლებიდან. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ქართული ფოლკლორისა და თვითშემოქმედების ყოველწლიურ ფესტივალში „არტ-გენი“. დევნილ ბავშვებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. ისინი დაჯილდოვდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

ფესტივალი „არტ-გენის“ ფარგლებში კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართება — ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ფოტოგამოფენა „ჩემი ისტორია მომავალში“, რომელზეც წარმოადგენილი იქნება „კოალიცია სამართლიანობისათვის“ ფეისბუქის გვერდის ერთგული მომხმარებლების მიერ მოწოდებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ომამდელი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა საოჯახო ფოტოალბომებიდან.

კიდევ რა სიახლეებია წლევანდელ „არტ-გენზე“, როგორ არჩევენ ფესტივალის მონაწილეებს, ვისთვის არის „არტ-გენის“ კარი ღია და ვინ ვერ მოხვდება ვერასდროს ხალხისთვის გამორჩეულად საყვარელ ღონისძიებებზე, ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ფესტივალის ერთ-ერთ დამაარსებელ ზაზა კორინთელს (ზუმბას) ესაუბრა.

**ზაზა კორინთელი, ზუმბა:**

— „არტ-გენი“ უკვე რვა წლის არის. წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში გვქონდა სამი გასლვა რეგიონებში. ეს იყო მირზაანში, რუსთავსა და ფოთში. ახლა უკვე დასკვნითი ფესტივალი გვაქვს თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები. ისინი ქართულ ხალხურ კულტურას ღია ცის ქვეშ ყველა მიმართულებით გაშლიან. „არტ-გენის“ სტუმრები იქნებიან მომღერლები, მოცეკვავეები, რეწვის ოსტატები, ზეპირსიტყვიერება, სახალხო მედიცინა, კულინარია, საბრძოლო ხელოვნება, თუკი რამე შეიძლება იყოს ქართული კულტურის საგანძური — ყველაფერი იქნება წარმოდგენილი.

***— უცხოელი სტუმრებიც გეყოლებათ?***

— დიახ. ჩვენ გვყავს უცხოელი სტუმრები, რომლებიც რამდენიმე ქვეყნიდან არიან წარმოდგენილი. ძალიან საინტერესო ფრანგი ქალების ჯგუფი ჩამოვა ჩვენთან. ისინი მოწამლული არიან ქართული მუსიკით, კარგი გაგებით, რა თქმა უნდა. ძალიან ფრთხილად ეკიდებიან ამ საქმეს, დიდი ხანია ემზადებიან და მათი დებიუტი იქნება ქართველი საზოგადოების წინაშე. ისინი ქართული პროგრამით წარდგებიან „არტ-გენის“ მაყურებელთათვის. მათ გარდა, გვყავს სტუმრები ავსტრიიდან, რომლებიც უფრო თანამედროვე ხასიათის მუსიკას უკრავენ, ეს არის ეთნოჯაზი სოფთფოლკის მიმართულებით. მათ ჯგუფს „ჭაობის მეკობრეები“ ეწოდება. არიან სტუმრები შრი-ლანკიდან, სამი მუსიკოსი ჩამოვა. არიან ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან.

***— „არტ-გენი“ თბილისში ასეთი ხანგრძლივი რატომ არის?***

— წელს ფესტივალის დასკვნითი ეტაპი თბილისში გავხადეთ ათდღიანი, იმიტომ რომ დრო არასოდეს ჰყოფნიდათ არც მონაწილეებს და არც მაყურებელს. იმხელა პროგრამები იყო, ფოლკლორის კონცერტი რომ დაიწყებოდა საღამოს, პირველის ნახევრამდე გრძელდებოდა და ჩამოსული ჯუგფები ორ სიმღერაზე მეტს ვერ ასრულებდნენ. ეს ჩვენც გვაწუხებდა, ადამიანი რეგიონიდან რომ ჩამოდის, ორი სიმღერის შესრულება ნამდვილად უხერხულია, ამიტომ ფესტივალი ათ დღემდე გავზარდეთ. ახლა უკვე გვაქვს საშუალება, რეგიონებს მეტი დრო ჰქონდეთ, პროფესიონალ ჯგუფებს მინიმუმ ნახევარ საათს დავუთმობთ, ზოგს სოლოკონცერტსაც კი მოვუწყობთ.

***— „არტ-გენისთვის“ მონაწილეებს როგორ არჩევთ?***

— საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, ამხელა ფესტივალისთვის არ არის პრობლემა მონაწილეების შერჩევა. ის ჯგუფები, რომლებიც პირველ ფესტივალში მოვიწვიეთ, „არტ-გენში“ დღემდე მონაწილეობენ. მათ კი ემატებიან ახალ-ახალი ჯგუფები. ამ ყველაფერს წინ უძღვის მთელი წლის განმავლობაში შეუჩერებელი ჩვენი ნამუშევარი, სულ ექსპედიციებში დავდივართ, ვხვდებით ხალხს, ვპოულობთ საოცრად ნიჭიერ ადამიანებს. ახლა ჟურნალი გამოვეცით „არტ-გენი“, სადაც რეწვის ოსტატები, მომღერლები, მუსიკოსები, ვინც კი რამე ფასეულს ქმნის, ამ ჟურნალშია გაერთიანებული. ასევე ვიღებთ არქივს, დოკუმენტურ მასალას, აუდიოჩანაწერებსაც ვაკეთებთ. პირადად ვნახულობთ ამ ხალხს და ვეპატიჟებით ფესტივალში მონაწილეობისთვის. ჩვენ სულ ვმოძრაობთ, ისინი კი უკვე „არტ-გენზე“ ჩანან. თვითონ ფესტივალი გახდა მოძრავი, რეგიონებში რომ გავდივართ. ხელოვან ხალხს, ვისაც ფოლკლორთან აქვს ცხოვრების წესი ნაზიარები, ისეთი ბუნება აქვთ, რომ თავის გამოჩენით დიდად არ იწუხებენ თავს. მათ სახლში უნდა ესტუმრო. ადგილობრივი ფესტივალები ძალიან კარგი საშუალებაა ასეთი ხალხის გამოსავლენად. როცა ვიღაც თბილისში ვერ მოდის, რეგიონის ფესტივალში უკვე იღებს მონაწილეობას. როცა ვნახულობთ, უკვე თავად ვეპატიჟებით. მათი უბრალოებიდან გამომდინარე, მათ არ აქვთ სურვილი, რომ გამოვიდნენ და პოპულარულები გახდნენ. ეს ყველაფერი მათი ცხოვრების წესია, მათი ხელსაქმეა და არც ფიქრობენ, რომ რამე განსხვავებული და ღირებული უჭირავთ ხელში, რომელიც რეალურად ძალიანი მნიშვნელოვანია როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი ხვალინდელი დღისთვის.

***— რეგიონებში გასვლით კმაყოფილი ხართ?***

— ფესტივალმა წელს ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა რეგიონებში. მრავალრიცხოვანი დასწრება გვქონდა მირზაანშიც, რუსთავშიც და ფოთშიც. პირდაპირი საზომი არ გვქონია, მაგრამ მინიმუმ 10 ათასი ადამიანი მაინც იქნებოდა.

***— თბილისიდან რამდენად აქტიურად დაგყვებიან გულშემატკივრები რეგიონებში?***

— ჩვენ ჩვენი ძალებით რასაც ვახერხებთ, როცა რეგიონებში მივდივართ, მარტო მონაწილეები გვყავს 100-120 ადამიანი. წელს ბანკმა „კონსტანტამ“ ავტობუსები გამოყო, კონკურსები ჩაატარა „არტ-გენის“ თემაზე. ორი ავტობუსით ისინი დადიოდნენ მარტო და დანარჩენი ხალხი, ვინც 8 წელია ერთგულია ჩვენი ფესტივალის, ერთად იკრიბებოდნენ და დიდი კოლონით დადიოდნენ ერთად.



გაისად გვინდა, ამ ფესტივალში ტუროპერატორები ჩავრთოთ, რომლებიც კიდევ უფრო ორგანიზებულად და მასშტაბურად გაუწევენ თადარიგს ჩვენს მოძრაობას. ყველაფრის ერთად კეთება ჩვენთვის ნამდვილად შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი ვართ.

***— რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?***

— „არტ-გენის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება ის არის, რომ ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში. მაყურებელთა 80 პროცენტი არიან სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ფესტივალის პირველი დღიდან მონაწილეობენ. ბევრი ანსამბლია, რომლებიც პირველ წლებში გაიცნეს ერთმანეთი, დღეს კი პროფესიონალური ანსამბლები არიან. ბევრი ოჯახებია, რომლებიც „არტ-გენზე“ შეიქმნა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შვილებთან ერთად არიან და უკვე ბავშვებიც კი მღერიან. წელს რამდენიმე ასეთი ოჯახი იქნება ფესტივალზე წარმოდგენილი. ძალიან მინდა ,დიდხანს გაგრძელდეს ეს ფესტივალი და არ დაკარგოს ის ძალა და მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ერთადერთი ფესტივალია, რომელსაც არასდროს დაუბეჭდავს მოსაწვევები, არ ჰყოლია ჟიური, არ ჩაუტარებია არანაირი კონკურსი. ჩვენ, რა თქმა უნდა, სასწორზე არ ვდებთ იმ პროფესიონალებს, ვინც მთელი ცხოვრება შესწირეს ამ ამბავს, მათ ცალკე თავისი ადგილი აქვთ.

***— მეორე სცენა რატომ დადგით ეთნოგრაფიულ მუზეუმში?***

— ჩვენი მეორე სცენა მოყვარულ და დებიუტანტ მონაწილეებს დაეთმობათ. ამით ჩვენ კიდევ არაერთ საინტერესო სახეებს აღმოვაჩენთ არა მარტო ტრადიციულ, არამედ თანამედროვე ფასეულ ხელოვნებაშიც. ვნახოთ, მეორე სცენა როგორ დაიტვირთება. იმედი მაქვს, ამ სცენაზე გამომსვლელთა რიცხვიც არ იქნება ცოტა.

***— თქვენი ოჯახიც არის ჩართული ამ ფესტივალში?***

— ძალიან აქტიურად არის ჩემი ოჯახიც ჩართული „არტ-გენში“. თუკი სცალიათ, ყველა მოგზაურობს ჩემთან ერთად. ჩემი ცოლ-შვილიც სულ ჩემ გვერდშია. ჩემი ნათესავები, ჩემი დის მეგობრებიც ძალიან ბევრნი არიან „არტ-გენის“ ერთგულები.

***— თქვენს ოჯახშიც მღერიან?***

— კი, ჩემი შვილი დაჩიც მღერის და ცეკვავს კიდეც. როდესაც ასეთ გარემოში იზრდება ადამიანი, ეს ჩვეულებრივი ცხოვრების წესი ხდება.

***— თუ დარჩა რეგიონები, საიდანაც ვერ ან არ ჩამოგყავთ მონაწილეები?***

— მოდით, ასე ვიტყვი, ძალიან ბევრი რეგიონი დარჩა, სადაც ფესტივალით არ ჩავსულვართ. მონაწილეების ჩამოყვანა უფრო ადვილია, ვიდრე ფესტივალის იქ ჩატანა.

***— რა გიშლით ხელს?***

— უფრო ფინანსების არქონა. თუ იქნება საშუალება, სიამოვნებით ჩავალთ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. ეს არ არის მილიონები, მაგრამ, ხარისხიანად რომ გააკეთო „არტ-გენი“ რეგიონებში, უნდა დაიცვა ელემენტარული მოთხოვნები, თუნდაც გქონდეს ხმის სისტემის ნორმალური აპარატურა. ამ ყველაფრისთვის სახსრები გვჭირდება. რამდენი სპონსორიც გვყავს, იმდენ გასვლას ვგეგმავთ ხოლმე. წელს ჯერ ეს ფესტივალი არ დამთავრებულა და გაისად დაგეგმილი ფესტივალის კონტურები უკვე გამოკვეთილია.

***— რამდენად ძვირი პროექტია „არტ-გენი“?***

— „არტ-გენის“ საერთო ბიუჯეტი შეიძლება ხანდახან ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული ერთი ღონისძიების ფასიც ღირდეს. სიმართლე რომ გითხრათ, რაც უფრო მეტი ბიუჯეტი ექნება „არტ-გენს“, ის მით უფრო მეტ საქმეს გააკეთებს. უძირო ქვევრივით არის — ფესტივალი გაკეთდება 200 ათასადაც და გაკეთდება 5 მილიონადაც. რაც მეტი იქნება ფინანსები, მით მეტის გაკეთებას შევძლებთ. ყველაზე მეტად გული მწყდება, რომ არ ვყოფილვართ რეგიონებში და არ დაგვიფიქსირებია ისეთი ხალხი, ვინც უნიკალურ რაღაცებს ქმნიან. გარდა იმისა, რომ უშიკიშვილის ცენტრიც მუშაობს და კონსერვატორიის სტუდენტები, სხვა ორგანიზაციებიც, არ არის საკმარისი ამ ეპოქის დასაფიქსირებლად. რაც უფრო მეტი სპეციალისტები იქნებიან, მით უკეთესია, თან ამ ეპოქაში, როცა გაქვთ ვიდეოც, აუდიოც, ფოტოც, ამის არდაფიქსირება, უბრალოდ, ღალატიც არის საკუთარი ქვეყნის. ძალიან გული მწყდება იმაზე, რომ ისეთი მონაწილეები გვყავდა წინა წლებში, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, ჩვენ კი ვერ შევძელით მათი შემოქმედების საკადრისად შემონახვა. ეს ფესტივალი კი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ რაც უფრო მეტი ექნება ბიუჯეტი, მეტი აქტიურობები იქნება მთელი წლის განმავლობაში.

***— რას ნიშნავს „არტ-გენი“?***

— როცა ფესტივალს ვხსნიდით, ბევრი ვიფიქრეთ, რა სახელი დაგვერქმია. „არტ-გენი“ ერთხმად ავირჩიეთ, გენი — გენეტიკაა, არტი — ხელოვნებაა. გენეტიკური არტი, მგონია, რომ ყველასთვის გასაგებია, თან საერთაშორისოც რომ არის ფესტივალი, სტუმრებისთვის ფესტივალის სახელწოდების ბევრი თარგმნა არ დაგვჭირდება.

***— ვის არ მიაღებინებთ მონაწილეობას „არტ-გენში“?***

— არ ვიცი, როგორ შევაფასო, მაგრამ ვინც იტყუება სცენაზე და ვისთვისაც ხელოვნება მარტო ფულის შოვნის წყაროა და ერთჯერადია, ისინი „არტ-გენზე“ ვერ მოვხდებიან. საუბარი მაქვს პოპკულტურაზე, რომელიც ფესტივალის დაბადების დღიდან ვერ გაეკარა „არტ-გენს“. ცეკვის ანსამბლებსაც კი არ ვართვევინებთ ფონოგრამას, გვირჩევნია, თუნდაც ორი კაცი იყოს, მაგრამ მათ დაუკრან საცეკვაო მუსიკა. ერთადერთი, რაც მოეთხოვებათ მონაწილეებს, გემოვნებისა და ხარისხის გარდა, ეს არის ცოცხალი მუსიკა. ფესტივალის ფორმატია ასეთი და სხვანაირად არაფერი გამოვა.

***— ამის გამო განაწყენებულან?***

— არ ვიცი, ჩემთან პრეტენზიები არავის გამოუთქვამს. როცა ცეკვის ანსამბლსაც არ ართვევინებ ფონოგრამას, მომღერალზე ზედმეტია ლაპარაკი. მგონია, რომ ცუდი შეზღუდვა არ არის. თუ ვიღაც მოვა და საინტერესოს რაღაცას შექმნის, თუნდაც ცნობილი პოპმომღერალი იყოს და იტყვის, რომ ჯგუფთან ერთად წარდგება და სიახლე აქვს, მისთვის ფესტივალის კარი ღიაა. მთავარია, იყოს, ცოცხალი, ნამდვილი შემოქმედება და ეთნოფესვებიდან წამოსული. ელექტრონული მუსიკას, როკს, „არტ-გენზე“ ფორმატის გამო ვერ ვპატიჟებთ, იმიტომ რომ ის სულ სხვა ფორმატის მუსიკაა. ასევე ვერ ვპატიჟებთ პოპს, იმიტომ რომ ერთჯერადი ინდუსტრიაა, ის ყველანაირად ამოვარდნილი იქნება ფორმატიდან.

***— არც მაშინ დაპატიჟებთ, თუ დიდ შემოსავალს მოგიტანთ?***

— ანუ გაიყიდოს მაქსიმალურად მეტი ბილეთი? არ გამოვა, არა. თუ ძალიან დეტალებში მივდივართ, კიდევ გვაქვს სხვა შეზღუდვები. სპონსორების არჩევის დროსაც მაქსიმალურად ვცდილობთ, ისეთი პარტნიორები გვყავდეს, ვინც ახლოს არის ფესტივალის თემატიკასთან. ქართული წარმოების კომპანიებს, სამწუხაროდ, არ აქვთ ისე აწყობილი ბიზნესი, რომ ჯანმრთელ რეკლამაში ჩადონ ფული და ჩვენც დავუდგეთ მხარში, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. მარტო ფული არ წყვეტს ყველაფერს, ჩვენ ყველანაირად დავუდგებით გვერდში, თუნდაც ქართულ წვენებს, ქართულ პროდუქტებს. ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხომ არის წარმოდგენილი გამოფენები, სადაც იყიდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მგონია, რომ კარგი შედეგები ნამდვილად მოაქვს.

***— კიდევ რა შეზღუდვები გაქვთ?***

— ზუსტად ვიცი, რომ ჩვენს ფესტივალზე არასოდეს გავყიდით სიგარეტს, არც მატონიზირებელ სასმელებს, ასეთი შეზღუდვები გვაქვს. ხშირად მოდიან და იხდიან დიდ ფულს, მაგრამ მაინც უარს ვამბობთ. ჩვენს ფესტივალს ფული კი სჭირდება, მაგრამ პრინციპებს ვერ ვუღალატებთ.

***— ალკოჰოლსაც ზღუდავთ?***

— კი, სპირტიანი სასმელები აკრძალული გვაქვს. მარტო ლუდი და ღვინოა წარმოდგენილი. არყის გაყიდვა ამ რვა წლის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. სხვა მიმართულების ჟანრია არაყი. იქ საუბარი არ არის კონიაკზე, ჭაჭაზე და ღვინის პროდუქტზე. არაყი, სიგარეტი და ქიმიური ნაერთები კი ვერასდროს მოხვდება „არტ-გენზე“.

***— ფესტივალის ასაკის მატებასთან ერთად გემოვნებით, მოთხოვნილებით იზრდება მაყურებელი?***

— რა თქმა უნდა. მაყურებელთა ასაკიც გაახალგაზრდავდა, რაც პროგრესის მანიშნებელია. წლების შემდეგ ვხედავ მაყურებელს სცენაზე, რომელიც ადრე რიგითი მაყურებელი იყო. როცა 8 წელი ადამიანი ამ სიტუაციაში ტრიალებს, ცოტა ნამდვილად არ არის. შეიძლება სიმღერა და ცეკვა ვერ ისწავლოს, მაგრამ სიყვარული აუცილებლად გაუძლიერდება. შეიძლება პროფესიონალი ოსტატი ვერ დადგეს, მაგრამ შვილს მაინც ასწავლის. „არტ-გენში“ მოსიარულე მაყურებელში მოსმენის კულტურაც არ არის ცუდ დონეზე.

***— თქვენ რას დაუკრავთ?***

— ჩვენ უკვე ვამზადებთ ახალ ალბომს, ბოლო თვეებია აქტიურად ვმუშაობთ. მის ჩაწერას ვილნიუსში ვაპირებთ. „არტ-გენზე“ გვინდა რამდენიმე კომპოზიცია შევასრულოთ და თან ძველი სიმღერებიც გავიხსენოთ. ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვანებივრებთ ხშირად კონცერტებით მაყურებელს, ამიტომ „არტ-გენზე“ შერეული პროგრამა გვექნება — ძველი და კარგად ნაცნობი და ახალი სიმღერებიც.

საუბრის დასასრულს მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა. ბევრი არ არიან ის ორგანიზაციები და კომპანიები, ვინც „არტ-გენს“ მხარში უდგას — ეს არის კულტურის სამინისტრო, თბილისის მერია, ევროკავშირი და ბანკი „კონსტანტა“. ძირითადად ჩვენ ხალხი გვეხმარება. ხალხი გვიდგას მხარში. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ — კვების პროდუქტების გაყიდვა რომ მიდის, საღამოს კონცერტებზე ვინც გამოგვყავს და უფულოდ ვერ დაუკრავს, შემოსული ბილეთებიდან და გაყიდვებიდან ვიხდით მათ ჰონორარებს. გამოდის, რომ ვინც რამეს ფესტივალის განმავლობაში ყიდულობს, ყველას წვლილი შემოაქვს „არტ-გენის“ არსებობაში. დიდი მადლობა მათ. არ დაგვითვლია, მაგრამ პროცენტულად შეიძლება ხალხისა და სპონსორების დახმარება ერთი და იმავე ზომის იყოს. ვიცი, რომ „არტ-გენს“ წლიდან წლამდე ელოდებიან. ეს ცოტა ნამდვილად არ არის. ყველაზე დიდი მადლობა იმ ხალხს, ვისაც „არტ-გენი“ უყვარს და მცირედი შემოწირულობით — ბილეთის ყიდვით და იქ ყოფნით ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სახალხო დღესასწაული და ფესტივალია და ჩვენ ყველანი „არტ-გენის“ სპონსორებიც ვართ, სტუმრებიც და მასპინძლებიც. ეს ყველაფერი კი გვაძლევს სტიმულს, არ გავჩერდეთ და სულ უფრო მეტი და მეტი ვაკეთოთ.

# ვივიენ ლიმ თავისი სხეულის კრემაცია იანდერძა



მის ვიტამინ ბ — ასე ეძახდა მაყურებელი ვივიენ ლის, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალად არის აღიარებული. მისი ცხოვრება და სიკვდილი არარეალური ჩანს და უფრო რომელიმე რომანის სიუჟეტს წააგავს.

ორი ოსკარის მფლობელმა სცენაზე ლედი ჰამილტონის, კლეოპატრას, ოფელიას, ჯულიეტას როლები ითამაშა. მსახიობმა მაშინ დატოვა ამქვეყნიურობა, როდესაც მისი ტალანტი ჯერ კიდევ გაფურჩქვნის ხანაში იყო.

## ბავშვობა

ვივიენ მერი ჰარტლი თითქმის 100 წლის წინ, 1913 წლის 5 ნოემბერს დაიბადა ინდოეთის ქალაქ დარჯილინგში.

დედამისი, ჰერტრუდა რობერტსონ იანგჯი ძალიან ლამაზი ქალი იყო. მის სისხლში ნახევრადინდური ერია და ამას მალავდა. თუმცა, როდესაც ბრიტანელ ბიზნესმენ ერნსტ რიჩარდ ჰარტლის ეგზოტიკური ლამაზმანი შეუყვარდა, გოგონა კალკუტაში სახლიდან გააგდეს. ამის მიუხედავად, საყვარელ ადამიანთან სიახლოვე არჩია. გარდა ამისა, უკვე ფეხმძიმედ იყო და მოუთმენლად ელოდა მის დაბადებას. პატარა ვივიენი ქვეყანას მთიანი ჰიმალაის პატარა ქალაქში მოევლინა, სადაც იმ პერიოდში ეპიდემია მძვინვარებდა. თავისი სამშობლო მამის მხრიდან, ვივიენმა პირველად 6 წლის ასაკში იხილა, როდესაც უკვე დასრულებული იყო პირველი მსოფლიო ომი.

სამსახიობო ზეწოლა გოგონას მამისგან ჰქონდა, რომელმაც ჯერ კიდევ 3 წლის ასაკში გაიყვანა სცენაზე სამოყვარულო თეატრის ჯგუფთან და ლექსი წააკითხა. ჰერტრუდა ჰარტლი კი წინააღმდეგი იყო ბავშვის მსახიობობის და უფრო ლიტერატურისკენ აძლევდა მიდრეკილებას. უკითხავდა ლუის კეროლის, ჰანს კრისტიან ანდერსენისა და რედიარდ კიპლინგის ნაწარმოებებს. აჩვევდა ბერძნული მითოლოგიის კითხვას.



7 წლის გოგონა დედამ წმინდა გულის მონასტერში მიაბარა. იქ გამეფებული ასკეტიზმი კი ძალიან არ ხიბლავდა გოგონას, მაგრამ სწორედ იქ ყოფნამ გამოუმუშავა იმუნიტეტი, რომ დასახული მიზნისკენ, ყოველთვის მტკიცედ მიებიჯებინა. იქვე გაიცნო და დაუმეგობრდა მომავალში ასევე მსახიობ მორინ ოსალივანს.

მონასტირიდან წამოსვლის შემდეგ გოგონამ სწავლას საფუძვლიანად მიჰყო ხელი. შესანიშნავად სწავლობდა ისტორიას, მუსიკას, ფერწერას, ლიტერატურას და საბოლოოდ ძალიან კარგი განათლება მიიღო.

18 წლის ასაკში კი, დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, ვივიენმა სამეფო აკადემიის დრამატულ კურსებზე გააგრძელა სწავლა.

## 30-იანი წლები

მეგობრები ვივიენს ურჩევდნენ ბედი ეცადა მცირე როლზე ფილმში „საქმე კარგად მიდის“, რომელიც ეკრანებზე 1935 წელს გამოჩნდა. მისმა აგენტმა, ჯონ გიდონმა დაარწმუნა გოგონა, რომ მისი სახელი და გვარი არ შეეფერება მსახიობისას და ფსევდონიმად აირლიპ მორნი ურჩია, თუმცა ვივიენმა ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და ვივიენ ლი არჩია.

იმავე წელს გოგონა კომედიებში — რეიჯინალდ დეკხამის „სოფლელი სკვაირი“ და ბეიზილ დინის „შემომხედე და გაიღიმე“□ გადაიღეს.

პირველი წარმატება მაინც თეატრიდან მოვიდა —□ 1935 წელს ვივიენმა ითამაშა სპაექტაკლში „კეთილისმსურველის ნიღაბი“. მსახიობმა მართლაც დიდი გამოძახილი ჰპოვა და მისი ინტერვიუებით აჭრებული იყო ბრიტანული პრესა. მათ შორის იყო გაზეთი დეილი ექსპრესი, რომლის ჟურნალისტმა აღნიშნა, თუ როგორ ელვასავით შეეცვალა სახე ვივიენს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც პუბლიკამ ვივიენის ხასიათის ცვლილება შეამჩნია.

და მაინც, მისთვის კინოში მთავარმა როლებმა ცოტა დააგვიანეს. 1937 წელს ვივიენმა მეორეხარისხოვანო როლები ითამაშა ფილმებში „ინგლისი ცეცხლში“, „ქარიშხალი წყლიან ჭიქაში“ და „ბუნდოვანი მოგზაურობა“. მხოლოდ ამის შემდეგ, 1938 წელს, როგორც იქნა, ეღირსა მთავარი როლი ტიმ ვილანის რომატიულ კომედიაში „ლონდონის ბორდიურები“. ვივიენის სილამაზემ და ახალგაზრდობამ ფილმს განსაკუთრებული შარმი შემატა, რამაც მაყურებელს ფილმის რამდენჯერმე ნახვის სურვილი გაუმძაფრა. სამწუხაროდ, ეს ფილმი გადარებიდან რამდენიმე წლის შემდეგ არც კინოთეატრებში და არც ტელევიზიით არ უჩვენებიათ და მხოლოდ პრესისა და მოგონებებით შემორჩა კინემატოგრაფიას.

## ქარწაღებულნი — პირველი ოსკარი

ჯეკ კონუეის მელოდრამაში „იანკები ოქსფორდში“ გადაღებების დროს გოგონა ცოტა არ იყოს რთული მოსათოკი იყო, ამიტომაც ვივიენის აგენტს შემპარავად უთხრეს, რომ ლის არ ექნებოდა დიდი არჩევანი, თუ თავის ხასიათს არ გამოასწორებდა. თუმცა, მოხდა ის, რასაც ნებისმიერი მსახიობი ინატრებდა — ვივიენს შესთავაზეს როლი, რომელმაც მთელ მსოფლიოში უცნობილეს ქალად აქცია.

იმ დროისთვის მარგარეტ მიჩელის რომანი „ქარწაღებულნი“ ამერიკის ნაციონალურ ღირსებად იქცა და როდესაც ცნობილი გახდა, რომ უნდა მომხდარიყო მისი ეკრანიზაცია, მთელი ქვეყანა ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუ ვის უნდა ეთამაშა მთავარი როლი.

მთავარი გმირის, სკარლეტ ოჰარას როლზე კი პრეტენზიას 1.500 მსახიობი აცხადებდა, მათ შორის ჰოლივუდის აღიარებული მსახიობები. როდესაც პროდიუსერმა არჩევანი ვივიენ ლიზე გააკეთა, ყველა გაოგნებული დარჩა, რადგან მაშინ მსახიობს ინგლისის გარეთ ცოტა ვინმე თუ იცნობდა.

— ჩემი თავი სკარლეტ ოჰარას როლში დავინახე, — უთხრა ჟურნალისტებს ვივიენმა, ხოლო კინოკრიტიკოსმა ლეჟონმა გაიხსენა რამდენიმე დღის წინანდელი საუბარი, სადაც ვივიენი ამტკიცებდა, რომ ის ითამაშებდა ოჰარას როლს, ხოლო ლოურენს ოლივიეს არ შეხვდებოდა რეტ ბატლერის როლი. არადა, იმ პერიოდში ვივიენისა და ლოურენსს შორის საიდუმლო რომანი იყო გაჩაღებული.

ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა და 1939 წელს ეკრანებზე გამოსული „ქარწაღებულნი“ მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო, ხოლო ვივიენმა იმდენად ბწყინვალედ შეასრულა როლი, რომ ამერიკელებმა მისიანად მიიღეს.

„ქარწაღებულნი“ ოსკარის რამდენიმე ნომინაციაზე იყო წარდგენილი და 10 პატარა ქანდაკების მფლობელი გახდა. მათ შორის ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ვივიენიც მოხვდა.

ამ გრანდიოზული წარმატების შემდეგ ვივიენი მაინც თავდაჭერილად იქცეოდა.

— მე კინოვარსკვლავი არ ვარ, მე მხოლოდ მსახიობი ვარ. იყო უბრალოდ კინოვარსკვლავი, ეს სიყალბეა, რომელიც სახელის საფასურია და მხოლოდ ცნობადს გხდის. მსახიობობა კი ხანგრძლივია და ყველას ოდესღაც შეგვხდება დიდებული როლი, რომელიც უნდა ვითამაშოთ, — აცხადებდა ვივიენი.

და მაინც, ვივიენის წარმატება უკვე ატლანტიკის ოკეანის ორივე ნაპირს მოედო. კინოკრიტიკოსები მასზე უმაღლესი შეფასების იყვნენ, ხოლო მოთხოვნა ვივიენზე საგრძნობლად გაიზარდა.

1940 წელს ლოურენს ოლივიესთან ერთად ვივიენმა ბეიზილ დინის დრამაში „21 დღე„ ითამაშა, მაგრამ მასზე უფრო წარმატებული გამოდგა მისი მომდევნო ფილმი, მერვინ ლეროის საომარი დრამა „ვატერლოოს ხიდი“□, რომელიც რობერტ შერვერდის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღეს.

სკარლეტის როლის შესრულების შემდეგ მაყურებელი იმდენად იყო აღფრთოვანებული, რომ ვივიენის ყველა ახალ როლს აღმერთებდა. მართალია, მსახიობი ცუდად არ თამაშობდა და ყველაფერს ზედმიწევნით კარგად ასრულებდა, მაგრამ სკარლეტის დონემდე მაინც ვერ მიდიოდა, თუმცა უკვე ეტყობოდა, რომ ეს ყველაფერი დროის ამბავი იყო.

უკვე 1941 წელს ფილმში „ლედი ჰამილტონი“, სადაც ვივიენმა და ოლივიემ ისევ წყვილად ითამაშეს, ჩვენი გმირი ისევ შეუდარებელი იყო. დიდებული დეკორაციები, რეჟისორის შესანიშნავი ნამუშევარი და ვივიენის ერთ-ერთი საუკეთესო როლი — მან მოახერხა და შექმნა ნამდვილი ინგლისელი ლედის სახე. ამ ფილმის ეკრანიზაცია კიდევ ორჯერ მოხდა, თუმცა ვერც შემდეგში მოხერხდა მისი უკეთესად შესრულება.

ამ როლმა ვივიენს უკვე ჰოლივუდის ვარსკვლავობა მიანიჭა. მისი თამაშით აღფრთოვანებული იყო ყველა — დაწყებული მაყურებლით, დამთავრებული კინოკრიტიკოსებით. „ლედი ჰამილტონი“ გახდა უინსტონ ჩერჩილის საყვარელი ფილმი და როგორც ამბობენ, 83-ჯერ ჰქონდა ნანახი. ხოლო ვივიენი და ოლივიე უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ ჩერჩილის თვალში და სიცოცხლის ბოლომდე მსახიობებს სადღესასწაულო სადილზე იწვევდა.

## „სურვილების ტრამვაი" — მეორე ოსკარი

ვივიენი პარალელურად სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. ის ყოველთვის ოცნებობდა თავისი ძალები ტრაგიკულ როლებში მოესინჯა და ერთ-ერთი ასეთი იყო „ანტიგონე“. მალევე ვივიენს ბლანშ დიუბუას როლი შეხვდა ტენესი უილიამსის დადგმაში „სურვილების ტრამვაი“. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც პიესის ავტორმა და პროდიუსერმა მისი სხვა სპექტაკლები ნახეს და მოწონება დაიმსახურეს.

სპექტაკლში ვივიენის თამაშს მაინც და მაინც აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ეს როლი მისთვის შეუსაბამო იყო. ბრიტანელი მსახიობები კარგად არიან აღზრდილები და მსგავსი ემოციების გამოხატვა სცენაზე არ შეუძლიათ — ასეთი იყო კრიტიკოსების აზრი. ცხადია, ოლივიე, რომელიც სპექტაკლის რეჟისორი იყო, და თავად ვივიენი გულდაწყვეტილი იყვნენ ასეთი რეცენზიების შემდეგ. თუმცა, მაყურებელში მაინც მოთხოვნადი გახდა და სპექტაკლმა დიდი კომერციული მოგება მოიტანა.

ვივიენს 326-ჯერ ჰქონდა ნათამაშები ეს სპექტაკლი, რის შემდეგ მსახიობი უკვე მის კინოვერსიაზე მიიწვიეს. ის კარგად შეეწყო მის პარტნიორ მარლონ ბრანდოს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა რეჟისორ ელია კაზანს, რომელიც ვივიენს მსახიობად არ მიიჩნევდა და მის ტალანტშიც ეჭვი ეპარებოდა. თუმცა, რეჟისორმა მალევე შეიცვალა აზრი და ვივიენის შეუპოვრობით აღფრთოვანებული დარჩა.

— დამსხვრეულ შუშებზეც კი ფეხშიშველი ივლიდა, თუ ეცოდინებოდა, რომ ეს დაეხმარებოდა ამ როლის საუკეთესო შესრულებაში. ასეთი მიზანდასახული ადამიანი ჯერ არ შემხვედრია, — აცხადებდა მოგვიანებით კაზანი.

ფილმი დიდ ეკრანებზე 1951 წელს გამოჩნდა და უმალვე დიდი წარმატება მოიპოვა. კრიტიკოსების მიერ ფილმის რეცენზია მხოლოდ და მხოლოდ დადებითი იყო და ვივიენიც მეორედ წარადგინეს ოსკარის ნომინაციაზე საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის — ჯილდო ამჯერადაც ჩვენს გმირს ერგო. ამის გარდა, ამ როლის თამაშისთვის ვივიენს „ბაფტას“ პრემიაც ხვდა წილად.

## ბოლო ნამუშევრები

ვივიენს ავადმყოფობა მიეძალა, რამაც მის ფსიქიკაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია. თუმცა, მსახიობი მაინც აგრძელებდა სპექტაკლებში თამაშს. პარალელურად ითამაშა ფილმში „ტომი“ და მიუზიკლში „მეგობრები“. ის ცდილობდა ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ ჯერ ისევ ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანღონით სავსეა.

— თეატრსა და კინოში 90□წლამდე ვითამაშებ, — გაიძახოდა ვივიენი, მაგრამ ავადმყოფობა თავისას შვებოდა. ხშირად თვით სპექტაკლების დროს ექიმის გამოძახება სჭირდებოდა, ხოლო ლონდონში გასტროლების დროს სულაც საკაცით მიიყვანეს.

მისი ბოლო ფილმი საომარი დრამა „დებილების ხომალდი“ იყო.

## პირადი ცხოვრება — დიდი მსახიობის ტრაგედია

ადრეული ქორწინება ადვოკატ ლი ჰოლმანზე, რომელიც მასზე 14 წლით უფროსი იყო, წარუმატებელი გამოდგა. იმ დროს ვივიენის საყვარელი მსახიობი ლესლი ჰოვარდი იყო, ამიტომაც საქმრო ისე შეარჩია, რომელიც მას გავდა. ერთი წლის შემდეგ წყვილს გოგონა შეეძინა, თუმცა ვივიენი არ აპირებდა კარჩაკეტილ დიასახლისობას და გული სცენისკენ მიუწევდა. მეუღლე ამის წინააღმდეგი იყო და ყველაფერი მათი გაშორებით დასრულდა.

ლეგენდარულმა ლოურენს ოლივიემ ვივიენი პირველად ტრიუმფალურად ნათამაშებ სპექტაკლში „კეთილის მსურველთა ნიღაბი“ იხილა, წარმოდგენის შემდეგ მივიდა, წარმატება მიულოცა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. თუმცა, მოგვიანებით ოლივიე მიხვდა, რომ მისი გრძნობა მეგობრობას შორდებოდა. წინააღმდეგი არც ვივიენი წასულა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ორივე მათგანი ქორწინებაში იმყოფებოდა და ერთმანეთს ჩუმად ხვდებოდნენ. მხოლოდ 6 წლის შემდეგ მოახერხა წყვილმა დაქორწინება — მაშინ უკვე ვივიენს მთელი მსოფლიო იცნობდა.

1944 წელს ვივიენს ავადმყოფობის პირველი სიმპტომები აღმოაჩნდა — ხველება და ციებ-ცხელება. ერთი წლის შემდეგ დიაგნოზიც დაუსვეს — მარცხენა ფილტვის ტუბერკულოზი. თუმცა, საავადმყოფოში რამდენიმე კვირა გაატარა და თავი უკეთესად იგრძნო. მსახიობმა იფიქრა, რომ გამოჯანმრთელდა. ამის შემდეგ ვივიენმა ითამაშა ფილმში „ცეზარი და კლეოპატრა“. ამ დროს გაირკვა, რომ ვივიენი ორსულად იყო, თუმცა მსახიობს მუცელი მოეშალა. ავადმყოფობას თანდართულმა პრობლემებმა ფეხმძიმობასთან, საშინლად იმოქმედა მსახიობის ფსიქიკაზე. ხშირად ვივიენი ცნობადაკარგული მივარდებოდა ქმარს და მუშტებს უშენდა, შემდეგ კი არაფერი ახსოვდა. ერთხელ თვითმფრინავიდან გადმოხტომასაც კი ცდილობდა.

ვივიენს მკურნალობდნენ როგორც ტუბერკულოზზე, ასევე ფსიქიკურ აშლილობაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ მის სამკურნალოდ უკვე ელექტროშოკსაც იყენებდნენ, მაგრამ ყველაფერი მაინც უარესობისკენ მიდიოდა.

უიმედობით დაღლილმა ლოურენს ოლივიემ რომანი ახალგაზრდა მსახიობ ჯოან პლოურაიტთან გააბა. ვივიენს კი 45-ე დაბადების დღეს „როლს როისი“ აჩუქა და იქვე დაუსვა საკითხი გაშორების შესახებ. ეს ვივიენის უმძიმესი დარტყმა გამოდგა. თუმცა, არც შემდეგში არავის აძლევდა უფლებას ლოურენსზე ცუდი ეთქვა. ვივიენს თაყვანისმცემლები ბლომად ჰყავდა, მაგრამ არავისთან ურთიერთობაზე არ წავიდა — ის კიდევ იმედოვნებდა, რომ ლოურენსი დაუბრუნდებოდა.

ვივიენი დიდხანს ებრძოდა ავადმყოფობას ღიმილით, ხუმრობით, მეგობრებით, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული — მისი წინააღმდეგობა ავადმყოფობასთან უძლური იყო.

1967 წლის მაისში მისმა პირადმა ექიმმა განაცხადა, რომ ტუბერკულოზი ორივე ფილტვს მოედო და სასწრაფოდ საჭირო იყო ჰოსპიტალიზირება, თუმცა ავადმყოფობით დაღლილმა და გაწამებულმა ვივიენმა უარი განაცხადა... ერთი თვის შემდეგ, 1967 წლის 7 ივლისს მე-20 საუკუნის გამოჩენილი მსახიობი გარდაიცვალა. მისივე ანდერძით სხეული დაწვეს და აღმოსავლეთ სუსექსში მისივე სახელობის ტბაში გადააგდეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ყაზახები დაუძლეველ ბარიერად გვექცნენ

**მეტალურგი (საქართველო)— ირტიში (ყაზახეთი) 1:1**

**1:0 კვახაძე (73), 1:1 დასკალოვი (79)**

*მეტალურგი:* ბედიაშვილი, კვახაძე, ჯაფარიძე, ორბელაძე, მახვილაძე, გეწაძე (ქავთარაძე 78) მაისურაძე, რაზმაძე, მიქაბერიძე, ქობალია (ტატანაშვილი 64) მოდებაძე

*ირტიში:* ცირინი, ჩერნიშოვი, დანაიევი, კულიბალი, ტლეშევი (მალცევი 46), ივანოვი, ბალაჟიჩი, დასკალოვი, სიმინიდი (ზარეჩნი 70), სერგიენკო (ასანბაევი 88), გოვედარიცა

კიდევ ერთი ქართულ-ყაზახური დაპირისპირება და უპირატესობა ისევ შუა აზიელთა მხარეს არის. მართალია, ორრაუნდიან მატჩში მეორე შეხვედრა ჩასატარებელია, მაგრამ „ირტიში“ შინაური კედლების წყალობით უფრო მოიაზრება ფავორიტად, ვიდრე — „მეტალურგი“.

საერთოდ კი, ეს იყო მორიგი მატჩი, რომელშიც ქართველები მეტოქეს სჯობდნენ, მაგრამ ვერ მოიგეს. ეს პირველი შემთხვევა არაა და გულდასაწყვეტია, როცა ამხელა უპირატესობას ვერ იყენებ. საყაიმო თავისივე მოხვეჭილი კუთხური ჩააწოდა და კვახაძემ გაიტანა... ბურთი სწრაფად მიფრინავდა, კაპიტანი გამართულად თავის დახვედრებას ვერ მოასწრებდა და სახე მიუშვირა — 1:0.

ამას მოჰყვა კვახაძის მაისურის გამოცვლა, რადგან სისხლით დაესვარა. „მეტალურგის“ მცველმა 4-ის ნაცვლად 8-ნომრიანი მაისურით გააგრძელა თამაში და თუ რატომ გავამახვილეთ ამ ფაქტზე ყურადღება, ამაზე — ცოტა ქვემოთ.

პირველ გოლს მალევე შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეორე, თუმცა მოდებაძის შორიდან ეფექტურად დარტყმულმა ოდნავ ჩაუარა ძელს.

და დასანანი ბურთი „მეტალურგის“ კარში: ყაზახებმა ჯარიმა ჩააწოდეს, მასპინძლებმა ბურთი ვერ გამოიტანეს საჯარიმოდან და გეორგი დასკალოვს მიუვიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან ფეხით შეაგდო 1:1.

დარჩენილ წუთებში გამუდმებით უტევდა „მეტალურგი“, ოღონდ ყაზახები მიღებული უპირატესობის დათმობას იოლად



ანგარიში მაქსიმუმი იყო „ირტიშისთვის“, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ამაზე უკეთეს ანგარიშს ვერც ინატრებდნენ ყაზახები.

სიცხის მიუხედავად, საყურებლად მოსაწყენი თამაში ნამდვილად არ ყოფილა, მომენტებიც უხვად შეიქმნა და პირველ ტაიმში ირაკლი მოდებაძემ ორი იდეალური შანსი გაანიავა: 27-ე წუთზე, ალექსანდრე კვახაძის კარგი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სუსტად დაარტყა და მეკარე ანტონ ცირინს აღება არ გასჭირვებია. ზედ შესვენების წინ ირაკლი კიდევ ერთხელ შეეყარა მეკარეს პირისპირ, მაგრამ ამჯერად დაუფიქრებლად დაარტყა, კუთხეს ვერ დაუმიზნა და ცირინმაც მოიგერია. მიუხედავად ამ გაფუჭებული მომენტებისა, მოდებაძე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მინდორზე, სიღრმეშიც ჩამოდიოდა და იქიდან იწყებდა შეტევებს.

რუსთაველთაგან ყველაზე წინ ირაკლი ქობალია თამაშობდა, რომელმაც პირველ ტაიმში მძლავრი შორეული გასროლით დაგვამახსოვრა თავი — ბურთი ოდნავ ასცდა კარს, ხოლო ყველაზე მეტად სტუმრებს მაინც რევაზ გეწაძე აწუხებდა. მისი ფლანგური გარღვევები ეფექტური იყო და პროდუქტიულიც, თუმცა გოლი არ ჩანდა.

31-ე წუთზე გეწაძემ ცენტრიდან აკრიფა სიჩქარე, გზად ორ ირტიშელს გასცდა და საჯარიმოში შესული წააქციეს. თითქოს პენალტს ჰგავდა და ტრიბუნებიც ამას ითხოვდნენ, მაგრამ ავსტრიელმა მსაჯმა რენე აისნერმა სიმულაციისთვის გააფრთხილა გეწაძე. ვიდეოფირზე ვნახეთ ეს მომენტი, თუმცა, დანამდვილებით იმის თქმა, იყო თუ არა კონტაქტი რევაზსა და მცველს შორის, ძნელი სათქმელია. თუმცა, ობიექტურობა არ გვაკლია და ამ შემთხვევაში მსაჯი უფრო მართალი ჩანდა.

ყაზახები ყრუ დაცვაში არ მდგარან, თუმცა წინ წასვლას მაინც ერიდებოდნენ. ერთადერთხელ, მე-5 წუთზე სტუმრებმა გრიგოლ ბედიაშვილის კარს ოდნავ სახიფათოდ შეუტიეს, თუმცა, ედუარდ სერგიენკოს უაზრო პასით დაასრულა — მის ჩაწოდებას საჯარიმოში ვერავინ შესწვდა და მომენტი განიმუხტა.

მასპინძლებმა უპირატესობა იგრძნეს და შესვენების შემდეგაც უტევდნენ, თუმცა კინაღამ კონტრშეტევაზე დაისაჯნენ. 58-ე წუთზე სერგიენკო გაეპარათ და ბედიაშვილს მისი დარტყმულის მოგერიება მოუხდა. ერთ წუთში „ირტიშიც“ ითხოვდა პენალტს, როცა სერგეი ივანოვი დაეცა საჯარიმოში, მაგრამ აქაც ობიექტურობა გვაძლევს თქმის უფლებას, რომ პენალტი არც ამჯერად ყოფილა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ბოლოსკენ დაიწყო. 73-ე წუთი იყო, გეწაძემ სულაც არ აპირებდნენ. შორიდან დარტყმები არ გამოსდიოდათ რუსთაველებს, ახლოდან კი მხოლოდ ერთხელ, შეცვლაზე შესულმა დიმიტრი ტატანაშვილმა დაარტყა თავით და მეკარისთვის იოლი ნადავლი გამოდგა.

1:1 ნამდვილად არაა მასპინძლებისთვის კარგი ანგარიში, მაგრამ „ირტიშიც“ არაა იმ დონის, რომ მათთან სტუმრად გამარჯვება შეუძლებელი იყოს.

რატომ ვახსენეთ კვახაძის მაისურის გამოცვლა? უბრალოდ, უხერხულ შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც ევროპის ლიგაზე მოთამაშე გუნდს ერთი მაისურის მეტი არა აქვს სათამაშოდ გამოყოფილი და მოხდა ისე, რომ კვახაძე მოედანზე სხვადასხვა ნომრიანი მაისურებით გაისარჯა. და კიდევ, ერთი ფორმაა და ისიც იმდენად უხარისხო, რომ ფეხბურთელებს ნომრები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ასძვრათ. ასეთი დონის ტურნირზე კი არა, ასეთი ფორმებით, ალბათ, არსად თამაშობენ.

მატჩის შემდეგ:

ტალგატ ბაისუფინოვი, „ირტიშის“ მთავარი მწვრთნელი:

— ვულოცავ ქალაქ რუსთავს ევროფეხბურთს. მადლობა მშვენიერი მასპინძლობისთვის. ფეხბურთი მთელ მსოფლიოში უპირველესი სპორტია. ჩვენ მის გარშემო უნდა გავერთიანდეთ. იმედი მაქვს, მაყურებელს ორივე გუნდის თამაში მოეწონა. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ, მათ ალექსანდრე ჩივაძის, დავით ყიფიანის, რამაზ შენგელიას ქვეყნის გუნდთან ფრედ ითამაშეს. ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან და ინდივიდუალურად შეუძლიათ გაბრწყინება. ასეც მოხდა. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები 50/50-ზეა და მე ვიტყოდი, უფრო „მეტალურგს“ აქვს უპირატესობა, რადგან ჩვენ გადატვირთული კალენდარი მოგვიწია. 21 ივლისამდე კიდევ ერთ მატჩს ვატარებთ ყაზახეთის ჩემპიონატში. „მეტალურგზე“ კიდევ იმას ვიტყვი, რომ იმ თბილისის □დინამოს□ სტილში ითამაშა, რომელიც საბჭოეთში გამორჩეული იყო.

არმაზ ჯელაძე, „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი:

— ჩემს გუნდს მადლობას ვუხდი. შემტევი, კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, თუმცა, დასკვნით ფაზებში არ გვიმართლებდა. მისაღები შედეგის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ ერთი შეცდომა გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. საწყენია, რომ საგოლე შანსები ვერ გამოვიყენეთ, თუმცა, სულაც არ ვფიქრობ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგულია. ყველანაირად ვეცდებით. რაც შეეხება „ირტიშს“, ნამდვილად არ იყო სუსტი გუნდი. გახსნილი ფეხბურთიც ითამაშა.

# ქართული ფლაგმანი უელსში შერცხვა

**ლანელი (უელსი) — დინამო (საქართველო) 2:1**

**1:0, 2:0 ფოლოუსი (8, 51), 2:1 ოდიკაძე (81 პ).**

***ლანელი:*** მორისი, ტომასი (ლეგი 67), ს.ჯოუნსი, შურმანი, ბოუენი, კორბისიერო, ფოლოუსი (რ.ჯოუნსი 72), ევანსი, უილიამსი, გრისტი (ბეტლი 89), ბონდი

***დინამო:*** ლორია, ჰომოლა, ჯიღაური (თექთურმანიძე 65), კოშკაძე, კახელიშვილი (იაგუე 70), ოდიკაძე, კოტო (ლეკვთაძე 57), რეხვიაშვილი, კაკუბავა, ხისკო, კვეკვესკირი

„მილსამის“ დამაჯერებელი ძლევის შემდეგ ძალიან დიდი იმედი გვქონდა, რომ „დინამო“ ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე გასვლის საკითხს უელსშივე გადაწყვეტდა და ნახევრად პროფესიულ „ლანელის“ სოლიდურად მოუგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევრად პროფესიონალების დონეზე სწორედაც რომ ჩვენებმა ითამაშეს და მოედანზე ისეთი ამბები დატრიალდა, ერთბურთიანი სხვაობით წაგებაც კი სანატრელი გაგვიხდა.

კარგად გვესმის, რომ ევროპაში კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას საკმაო დრო სჭირდება და „დინამო“ სულ ახლახან დაადგა ახალ გზას, მაგრამ ალექს გარსიას გუნდმა გუშინ იმ დონეზეც კი ვერ ითამაშა, „მილსამისთან“ რომ ვნახეთ. შეიძლება, ქართულ საკლუბო ფეხბურთს საამაყო ბევრი არაფერი ჰქონდეს, მაგრამ „ლანელის“ კატეგორიის გუნდთან წაგება მაინც ნამეტანია.

კიდევ კარგი, დავით ოდიკაძის მიერ გატანილმა პენალტმა „დინამო“ გვარიანი სირცხვილისგან იხსნა და წყვილის ფავორიტის სტატუსი დაუბრუნა, მაგრამ უელსური ბარიერის გადალახვის შემთხვევაშიც კი გუშინდელი მარცხი მაინც მწარე მოგონებად დაგვრჩება. სხვა რომ არაფერი, ეს შეხვედრა თუნდაც იმიტომ უნდა მოგვეგო, რომ ევროპის საკლუბო რეიტინგში დამატებითი ქულები ჩაგვეწერა.

არაერთი ხელსაყრელი მომენტის განიავების მიუხედავად, ცუდად ითამაშა მთელმა „დინამომ“, განსაკუთრებით დაცვის ხაზმა, არ იგრძნობოდა კავშირი რგოლებს შორის, ხშირი იყო ტექნიკური წუნი და თბილისელები ვერც გარსიას მიერ ნაქადაგევი კომბინაციური თამაშით გამოირჩნენ. კიდევ კარგი, გიორგი ლორიამ შეინარჩუნა კონცენტრაცია, თორემ გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს ვერ გადავურჩებოდით.

თუკი „ლანელის“ სწრაფი გოლი შემთხვევითობად მივიჩნიეთ და გამარჯვების იმედიც შევინარჩუნეთ, მეორე ტაიმის დასაწყისში ვინმე ჯორდან ფოლოვსმა დუბლი შეასრულა და „დინამო“ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

მეტოქეს არც „ლანელის“ მოთამაშე-მწვრთნელი ენდი ლეგი მოერიდა და 67-ე წუთზე დაცვა საკუთარი თავით გააძლიერა. მოკლედ, რაც დრო გადიოდა, ჩვენი გაოგნება უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენდა და კიდევ კარგი, 81-წუთზე უელსელებმა საკუთარ საჯარიმოში ირაკლი ლექვთაძე წააქციეს...

სამაგიეროდ, ყოჩაღობდნენ „ლანელის“ ფეხბურთელები, რომელთაც ასევე უამრავი ტექნიკური წუნი ჰქონდათ, თუმცა, დინამოელთა მცველების გულუხვობის წყალობით სახიფათო მომენტებს მრავლად ქმნიდნენ.

მათ აღწერას არ შევუდგებით, ფაქტი კი ისაა, რომ თბილისელები კიდევ უფრო დიდი სირცხვილისგან მეკარე გიორგი ლორიამ იხსნა. რომ არა მისი თავგანწირული თამაში, შესაძლოა, ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი უელსშივე გადაწყვეტილიყო.

თბილისელი ესპანელები კი კინაღამ დაგვავიწყდა — როგორც შემადგენლობიდან ხედავთ, ხისკომ და კოტომ „დინამოში“ სადებიუტო შეხვედ-



რა სასტარტოში დაიწყეს, იაგუე კი შეცვლაზე შევიდა. თანაგუნდელებისა არ იყოს, ვერც ამ სამეულმა გაიბრწყინა და, იმედია, „დინამოსთვისაც“ და მისი ესპანელებისთვისაც მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ერთადერთი გამონაკლისად შესაძლოა ხისკო მივიჩნიოთ, რომელსაც აშკარად ეტყობა კლასი.

ლექვთაძესა და გიორგი კახელიშვილს უელსში მიღებული გაფრთხილებები თბილისში თამაშის საშუალებას არ აძლევს, სამაგიეროდ, „დინამოს“ რობერტინიო დაუბრუნდება.

რადაც უნდა დაუჯდეს, თბილისში „დინამომ“ სულ სხვა ფეხბურთი უნდა ითამაშოს და ეს ბარიერი უნდა გადალახოს, შემდეგი ეტაპისთვის კი იქნებ პროგრესიც შეეტყოს, თორემ ძალიან დიდი სირცხვილი იქნება იმ კლუბთან ბრძოლაში გავარდნა, რომლის 44 წლის მოთამაშე-მწვრთნელიც შენ წინააღმდეგ მოედანზე გასვლას არ უფრთხის.

# „გაგრას“ დებიუტი მწარე გამოდგა

**ანორთოსისი (კვიპროსი) — გაგრა (საქართველო) 3:0**

**1:0 ვუჩიჩევიჩი (9), 2:0, 3:0 რეზეკი (35, 71)**

***ანორთოსისი:*** კოზაჩიკი, ლეივაკაბესუ, სპროკელი, ტომაშიჩი, კოლინი, ჟანისიო, ოკასი (ანდიჩი 88), რეზეკი, ვუჩიჩევიჩი, ევანდრო რონკატო (ლაბანი 37), ლაბორდე (სიელისი 65)

***გაგრა: სეფიაშვილი,*** ტყეშელაშვილი, სიჭინავა (კობერიძე 60), კალანდაძე, ჩხეტიანი, ჯიშკარიანი, ხურციძე, შარიქაძე (ჭკუასელი 86), ნაკონეჩნი (გაბედავა 66), კვანტალიანი, ორდინსკი

ქართული გუნდებისთვის ძალზე წარუმატებელ საფეხბურთო დღეს ყველაზე დიდი ანგარიშით „გაგრა“ დამარცხდა. თუმცა, მართლები ვიქნებით, თუ იმასაც ვიტყვით, რომ „გაგრას“ 0:3 მარცხი ფეხბურთის ქართველი ქომაგისთვის ყველაზე იოლად გადასატანი წაგებაა. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველოს პირველ ლიგიდან ახლახან აღზევებული „გაგრისგან“ ევროასპარეზზე წარმატებას არავინ ელოდა, მით უმეტეს, არცთუ სუსტ „ანორთოსისთან“, რომელიც მცირე ხნის წინათ ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობდა. რა თქმა უნდა, თემურ ქეცბაიას გუნდიდან წამოსვლის შემდეგ „ანორთოსისი“ მნიშვნელოვნად დასუსტდა, მაგრამ, არა იმდენად, რომ გამოუცდელ „გაგრასთან“ ფავორიტი არ ყოფილიყო.

მიუხედავად აუტსაიდერის სტატუსისა, ლარნაკაში გამართული შეხვედრის პირველი წუთები „გაგრას“ ფეხბურთელებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს. სტუმარმა ფეხბურთელებმა შექმნეს მატჩის პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც. მე-4 წუთზე შეტევის მარცხენა ფლანგზე ძალიან კარგად ითამაშა ჯიშკარიანმა, რომელმაც ერთი მოძრაობით 2 მეტოქე ჩამოიშორა, მაგრამ საჯარიმოში შესულმა ახალგაზრდა ნახევარმცველმა არაზუსტად დაარტყა. ეს იყო „გაგრას“ მიერ შექმნილი ერთადერთი მომენტი, რომელსაც შეგვიძლია, სახიფათო ვუწოდოთ.

და ყველაფერი აქ მორჩა: ფავორიტის სტატუსით მოთამაშე მასპინძლებმა თამაშის სადავეები ხელთ მალევე იგდეს და რამდენიმე არაზუსტი დარტყმის შემდეგ კვიპროსელებმა ანგარიშის გახსნაც მოახერხეს. მე-8 წუთზე საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზთან ძალიან ცუდად ითამაშა ქართველმა მცველმა, რის შემდეგაც ბურთი რონკატოს მიუვიდა. მასპინძელთა ბრაზილიელი შემტევის დარტყმის შემდეგ სეფიაშვილმა ბურთი კართან ძალზე ახლოს მოიგერია და დამატებაზე მოთამაშე ვუჩიჩევიჩს გოლის გატანაში ხელი ველარავინ შეუშალა. „გაგრას“ მეკარის გასამართლებლად იმის თქმა შეიძლება, რომ მას რიკოშეტის შემდეგ უწევდა ბურთის მოგერიება, მაგრამ დარტყმა იმდენად სუსტი იყო, რომ მას უკეთ თამაში მართებდა.

პირველ ტაიმში „გაგრას“ ფეხბურთელები მეტოქის საჯარიმოს იშვიათად უახლოვდებოდნენ. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში ნაკონეჩნიმ ბურთი პირდაპირ მეტოქე ფეხბურთელს მოარტყა და მასპინძელთა კონტრშეტევაც დაიწყო, რომლის დროსაც მოედნის ცენტრში ბურთი ლაბორდემ მიიღო. „ანორთოსისის“ კოლუმბიელმა შემტევმა ერთი მეტოქე ბურთის დამუშავების დროს იოლად მოატყუა, მეორეს კორპუსით კარგად თამაშის ხარჯზე გასცდა და, მარჯვნიდან საჯარიმოში შეჭრილმა, მახვილი კუთხიდან ბურთი საპირისპირო ძელს მოარტყა. ბურთის სიახლოვეს მყოფი 2 ქართველი მცველიდან მის მოგერიებას არც ერთი შეეცადა და შედეგად, დამატებაზე მოთამაშე რეზეკმა ძალზე იოლი გოლი გაიტანა.

პირველ ტაიმში მეტოქის აშკარად დაჯაბნის შემდეგ, მე-2 ნახევარში, კვიპროსელებმა თამაშს ცოტათი უკლეს და „გაგრას“ სტატისტიკური მაჩვენებლების მცირედით გაუმჯობესების შანსი მიეცა. შესვენების შემდეგ ქართველი ფეხბურთელები ოდნავ უკეთესად ფლობდნენ ბურთს და სწორედ მე-2 ტაიმში მოუწია მასპინძელთა კიპერს თამაშში ერთადერთხელ ჩართვა — 65-ე წუთზე, კალანდაძის შორეული დარტყმულის შემდეგ კოზაჩიკი ბურთს იოლად დაეუფლა.

კალანდაძის დარტყმიდან ხუთიოდე წუთში „გაგრას“ კარში მე-3 გოლიც გავიდა. მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ლაბანმა ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ტყეშელაშვილს რეზეკმა დაასწრო და ეფექტური თავურით ჩეხმა შემტევმა დუბლი გაიფორმა.

მე-3 ბურთის გასვლის შემდეგ, თუ ვინმეს გოლის გატანაზე მართებდა ზრუნვა, ეს უპირველესად „გაგრა“ იყო, მაგრამ ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილების არმქონე ქართველმა ფეხბურთელებმა აღსანიშნავი მომენტის შექმნაც კი ვერ მოახერხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ კვირაში გასამართი განმეორებითი მატჩის წინ ისინი შეუსრულებელი მისიის წინაშე დგანან.

***მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა***

# ესპანურ ლიგას ორი დომინანტი ჰყავს

ვაგრძელებთ ევროპის წამყვანი ჩემპიონატების გასული სეზონის მიმოხილვას და ამჯერად ესპანეთის პრიმერა დივიზიონის რიგი დადგა.

ტოპ-ხუთეულებში ძირითადად „ბარსელონასა“ და „რეალის“ ფეხბურთელები რომ იქნებიან, ალბათ, ამაში გასაკვირი არაფერია.

**ტოპ-5 მეკარე**

*1. ვიქტორ ვალდეს არიბასი — ბარსელონა*

იყო ბარსელონას მეკარე, ძალიან სარისკო საქმეა. შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ დიდი ხნის მანძილზე ვალდესს საქმეში ჩაბმა არ მოუწიოს, მაგრამ მეტოქის ერთადერთმა დარტყმამ, ან მცველების გაუთვალისწინებელმა შეცდომამ, მისგან სერიოზული და მომენტალური მუშაობა მოითხოვოს.

ვალდესის დახასიათებისთვის საკმარისია მისი მოქნილობა, დარტყმების ტექნიკურად მოგერიება და მეკარის საჯარიმოში ტაქტიკურად სწორი მდებარეობის არჩევა. გასულ სეზონში მან აშკარად მოუმატა და გასაკვირიც არ იყო, რომ ზამორას თასი, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის საუკეთესო მეკარისთვის გადასცეს. ვალდესმა ეს პრიზი თავის კარიერაში მეოთხედ მიიღო.

*2. იკერ კასიალიას ფერნანდესი — რეალი*

თავისი კარიერის მანძილზე კასილიასმა თავს ზემოთ ყველა ის ჯილდო აღმართა, რომელზეც ოცნებობს ყველა პროფესიონალი ფეხბურთელი. აღსანიშნავია, რომ იკერი ყველაზე კარგად ფინალებს თამაშობს. უფრო ზუსტად, იმ მატჩებს, სადაც ყველაფერი ერთ შეხვედრაში წყდება.

გასულ სეზონში კი კასილიას ხელთ მხოლოდ ერთი ჯილდო შერჩა — სამეფო თასი, ხოლო საუკეთესო მეკარისთვის ბრძოლაში ვალდესმა აჯობა. ეს გასაკვირიც არ არის — იკერმა ხომ 34 მატჩში, 32 ბურთი გაუშვა.

*3. დავიდ დე ხეა კინტანა — ატლეტიკო*

მეორე მადრიდული კლუბის კანტერის აღზრდილს, 19 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ ეს შანსი ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიეცა „პორტუს“ წინააღმდეგ. მისმა თამაშმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მალე დე ხაე გუნდის პირველი მეკარე გახდა. მისი ყველაზე საუკეთესო თვისებაა დაცვას ორგანიზება გაუკეთოს.

კასილიასის აზრით, 20 წლის დე ხეა ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე ჩამოყალიბებული მეკარეა და ამბობს, რომ სულ მალე ნაკრების პირველი მეკარეც გახდება.

აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, რომ დე ხეაზე ნადირობა გაჩაღდა. მისი გადაბირების მსურველი რამდენიმე კლუბი იყო. თუმცა, ყველას „მანჩესტერ იუნაიტედმა“ აჯობა და ახალგაზრდა მეკარის სანაცვლოდ „ატლეტიკოს“ 20 მილიონი ევრო გადაუხადა.

*4. დიეგო ლოპეს როდრიგესი — ვილიარეალი*

„რეალის“ კანტერის აღზრდილი, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. სწორედ მისი დიდი დამსახურებაც არის, რომ „ვილიარეალმა“ მესამე ადგილი დაიკავა ლა ლიგაში, რაც „ბარსელონსა“ და „რეალის“ ყოფნაში ჩემპიონობის ტოლფასია.

ლოპესი მაღალია, ამიტომაც ძალიან კარგად თამაშობს გამოსვლებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სიმაღლე სულაც არ უშლის ხელს იყოს მოქნილი.

მოთხოვნა უკვე ამ მეკარეზეც გაჩნდა და ესპანური თუ სხვადასხვა ევროპული საინფორმაციო საშუალებები მასაც აქტიურად მიაქანებენ ნისლიანი ალბიონისკენ.

*5. ვისენტე გუაიტა პანადერო — ვალენსია*

ამ მეკარის გამოჩენა ხუთეულში, ნამდვილი სიურპრიზია. გუაიტა ვალენსიას□ კანტერის აღზრდილია და იღბალს უნდა უმადლოდეს, რომ პირველ გუნდში მოხვდა. ერთი წლის წინ გუაიტა სეგუნდა დივიზიონში ზამორას თასის მფლობელი გახდა, მაგრამ ადგილი ძირითად გუნდში მხოლოდ სესარის ტრავმის გამო დაიკავა. არადა, იმდენად დამაჯერებლად ითამაშა, რომ ახლა მწვრთნელებს ვერ გადაუწყვეტიათ, თუ ვის ანდონ ადგილი კარში მომავალ სეზონში.

— ვისენტე შესანიშნავია და დამაჯერებელია, როდესაც მასთან პირისპირ რჩებიან. მას აქვს ყველა ის თვისება, რომ პირველი მეკარე გახდეს, — ამბობს თვით გუაიტას კონკურენტი სესარი.

**ტოპ-5 მცველი**

*1. ხერარდ პიკე — ბარსელონა*

კატალონიელთა მცველმა სეზონი ჩავარდნის გარეშე განვლო. განსაკუთრებით შესანიშნავი ურთიერთგაგება გამოამჟღავნა მის მეწყვილე კარლეს პუიოლთან, ხოლო ბოლო ტურებში კაპიტნის გარეშე დარჩენილ ხავიერ მასკერანოსთან. მან კიდევ ერთხელ დაამატკიცა, რომ ბარსელონაში□ შეუცვლელი ფიგურაა. გასულ სეზონში ჩატარებულ 31 მატჩში პიკემ 3 გოლის გატანაც მოახერხა.

— ძალიან მომწონს, როდესაც მეტოქე გუნდების გულშემატკივრები ყოველგვარ სიბინძურეს გაიძახიან ჩემი მისამართით. ეს უფრო დიდ სტიმულს მაძლევს და გაცილებით მოტივირებული ვთამაშობ, — განაცხადა პიკემ.

სპეციალისტთა დიდი ნაწილით, პიკე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველია.

*2. დანიელ ალვეშ და სილვა — ბარსელონა*

კატალონიელთა მარჯვება ფლანგელი გუნდისთვის ფილტვებივით არის. ძალიან ხშირად მას რობერტო კარლოსს ადარებენ. მასავით ფიზიკურად ძლიერი არ არის, მაგრამ უფრო სწრაფია და ფლანგზე დაფრინავს.

პეპ გვარდიოლას სათამაშო სქემაში ალვეში ერთ-ერთი საყრდენი ფიგურაა. წარმოუდგენლად სწრაფი რეაქცია და დაყენებული დარტყმა აქვს, რისი წყალობითაც გოლები არა მარტო კატალონიურ კლუბში გააქვს, არამედ ბრაზილიის ნაკრებშიც. მართალია, გასულ სეზონში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, მაგრამ 15 საგოლე პასი გააკეთა, რაც ძალიან ბევრია მცველისთვის.

იმის გარდა, რომ ალველში ბრაზილიური ტექნიკა აქვს, გუნდის თამაშში წარმოუდგენელი დინამიკა შეაქვს და ყოველთვის გამწვავებაზე მიდის. მას აქვს ყველა თვისება, რომ ექსტრაკლასის ფეხბურთელი იყოს და თავის პოზიციაზე უნიკალურია.

*3. სერხიო რამოს გარსია — რეალი*

ეს ფეხბურთელი შრომისმოყვარეობის საუკეთესო მაგალითია. ჟოზე მოურიონიოს ხელშიც რამოსი მარჯვენა ფლანგზე ირჯება, მაგრამ თუ საქმემ მოითხოვა, არც სხვა პოზიციებზე თამაშს ერიდება. ესპანელმა ფეხბურთელმა მართლაც კარგი სეზონი ჩაატარა და 31 მატჩი 3 გოლის გატანაც მოახერხა.

მის მიერ მიღებული 11 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი კი იმაზე მეტყველებს, რომ გამუდმებით შედის ორთაბრძოლებში და საკმაოდ ხისტია.

მთლიანობაში კი სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია, ხშირად ერთვება შეტევებში და განსაკუთრებით კარგად თამაშობს თავით.

ანდონი ირაოლა სარანგა — ბილბაო

ბასკმა ფეხბურთელმა თითქმის მთელი თავისი კარიერა ბილბაოში გაატარა, თუმცა გასული სეზონი მისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. ირაოლამ 36 მატჩში გაიტანა 4 ბურთი და 6 საგოლე პასსაც გამორჩა.

ირაოლა ნამდვილი მებრძოლია. მის დამახასიათებელ თვისებებში პლუსად ზის შემტევი სტილი. ის გამუდმებით მოძრაობს ფლანგზე და აკეთებს შესანიშნავ გრძელ პასებს. ამასთან ძალიან უშუალო და ესპანური მედია ამ ფაქტს აღიარებს.

შესანიშნავად ჩატარებული სეზონის შემდეგ, ირაოლა კვლავ გამოიძახეს ნაკრებში.

— ირაოლა ძალიან საჭირო ფეხბურთელია და მასთან არასდროს შემქმნია პრობლემა. ვიცი, რომ ამ ფეხბურთელზე დაყრდნობა შეიძლება, — განაცხადა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ.

*5. ალბერტო ტომას ბოტია რაბასკო — ხიხონი*

ბარსელონას კანტერის აღზრდილი იჯარის წესით იყო განათხოვრებული ხიხონში□ და მანუელ პრესიადოს გუნდში უმალვე გახდა წამყვანი ფიგურა. ბოტია მთელი ჩემპიონატის მანძილზე განიცდიდა პროგრესირებას. არის ძალიან სწრაფი და მისი სიმაღლიდან გამომდინარე დიდებულია საჰაერო ორთაბრძოლებისას.



მართალია, დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა და 28 მატჩში მხოლოდ 1 ბურთი გაიტანა, მაგრამ გუნდისთვის შეუცვლელ ფიგურად იქცა.

**ტოპ-5 ნახევარმცველი**

*1. ხავი ერნანდეს კრეუსი — ბარსელონა*

უკვე მერამდენე წელია ხავი სტაბილურად თამაშობს და ყველანაირი გაგებით ბარსელონას□ ნახევარდაცვის ცენტრალური ფიგურაა. სწორედ მისი მოქმედებები ქმნის ჰარმონიას მოედანზე. ძალიან ბევრი თვლის, რომ ხავის გარეშე ლეო მესის ტალანტი ისე ვერ გაიხსნებოდა, როგორც ახლაა.

იმის მიუხედავად, რომ დიდი შედეგიანობა არ ახასიათებს — 3 გოლი 31 მატჩში, გუნდისთვის წარმოუდგენელი ძალაა. თავად ფეხბურთელები ამბობენ, რომ როდესაც ბურთი ხავის აქვს, ჩვენ მაშინ ვისვენებთო, მიშელ პლატინი კი:

— ძალიან მომწონს თვალი ვადევნო ხავის თამაშს და სრულ სიამოვნებას ვიღებ. მისი საფეხბურთო ტალანტი განხილვას არ ექვემდებარება. ასევე აღფრთოვანებული ვარ მისი ქცევით, არა მარტო თავისი თანაგუნდელების, არამედ მეტოქის მიმართაც.

*2. მესუტ ოზილი — რეალი*

22 წლის თურქული წარმოშობის გერმანელი ფეხბურთელისთვის ესპანეთის ჩემპიონატში პირველი სეზონი იყო და ჟოზე მოურინიოს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო შენაძენად ითვლება. გერმანელ ნახევარმცველს უკვე მისჯილი აქვს დიდი მომავალი. თავად გამოუცნობი ფეხბურთელი მოედანზე გამომგონებელია, შესანიშნავი ტექნიკის მქონე. 36 მატჩში 6 ბურთი გაიტანა, მაგრამ მთავარია, რომ მადრიდული კლუბის უპირველეს გამთამაშებლად იქცა და 17 საგოლე პასი გააკეთა.

მეტიც, ესპანურმა საინფორმაციო გამოშვებებმა დაითვალეს და საგოლე პასებით ოზილი ევროპაში საუკეთესო იყო. ლა ლიგაში გატანილ 17 პასს 7 ჩემპიონთა ლიგაზე დაუმატა, ორიც ესპანეთის თასზე და სულ 26 მოუგროვდა.

*3. ხაბიერ ალონსო ოლანო — რეალი*

ხაბიმ გასული სეზონი მართლაც დიდებულად ჩაატარა. ალონსომ ძალიან მალე გაიარა ადაპტირება მოურინიოს სათამაშო სტილის. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თავად ფეხბურთელი გამოირჩევა მოედნის შესაშური ხედვით, არის დისციპლინირებული და საიმედო. ამასთან, ძალიან იოლად შეუძლია შეინარჩუნოს ბურთი მისი გუნდის სასარგებლოდ.

საინტერსოა ის ფაქტი, რომ ხაბის გასულ სეზონში ორიგინალური პრიზი ერგო — ოქროს ბარაბანი□, რომელიც ქალაქ სან სებასტიანის მუნიციპალიტეტის მიერ არის დაწესებული და ესპანეთის გამორჩეულ ადამიანებს გადაეცემათ. ქალაქის მერის, ოდონ ელორსი გონსალესის აზრით, ალონსო არამარტო თავისი საქმის პროფესიონალია, არამედ ღირსეული პიროვნებაც.

*4. ანდრეს ინიესტა ლუხანი — ბარსელონა*

მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიუმფალური თამაშის შემდეგ, ინიესტა აგრძელებს სვლას მაღალ დონეზე. ხავისთან ერთად შექმნილი აქვს თითქმის სრულყოფილი და იდეალური დუეტი, რის გამოც მათ წინააღმდეგ თამაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ანდრესი ზუსტად იმსახურებს ტიტულს, რასაც საფეხბურთო დირიჟორი ჰქვია.

სეზონში გაიტანა 8 ბურთი, მაგრამ ძალიან ბევრი საგოლე პასი გააკეთა, ამასთან არ არსებობს კატალონიური გუნდის შეტევა, რომელშიც ინიესტამ მონაწილეობა არ მიიღოს. რაც ყველაზე მთავარია, გასული სეზონი ანდრესმა უტრავმოდ ჩაატარა.

*5. ბორხა ვალერო იგლესიასი — ვილიარეალი*

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც რეალი□ბარსელონას ნახევარდაცვაში ჰეგემონია□ დაარღვია. 2009-□10 წლებში, ესპანური გამოცემის დონ ბალონი□ აზრით, ბორხა წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მაშინ ჯერ კიდევ მალიორკაში□ თამაშობდა და იქვე გადაიბირა ვილიარეალმა□. ბორხა ჯუზეპე როსისთან ერთად გუნდის შემტევი ძალა გახდა. ამასთან, უნივერსალური ფეხბურთელია.

მის მიერ ჩატარებულ სეზონზე ისიც მეტყველებს, რომ ბორხა ესპანეთის ნაკრებში გამოიძახეს.

**ტოპ-5 თავდამსხმელი**

*1. კრიშტიანუ რონალდუ დუშ სანტუშ ავეირუ — რეალი*

ესპანეთის ჩემპიონატში საუკეთესო თავდამსხმელის დასახელება ყოველთვის რთულია, ბოლო დროს კი, მით უფრო, რადგან სულ ორი კანდიდატია და ორივე ღირსეული. ამჯერად პორტუგალიელის ჯერი დადგა, რომელმაც ბოლო ტურში, ალმერიას□ კარში გატანილი გოლით მისი რაოდენობა 41-მდე აიყვანა და დიდებულად დაასრულა სეზონი. რატომ? კრიშტიანუ გახდა არა მარტო ესპანეთის, არამედ ევროპის საუკეთესო ბომბარდირი და პრიზად ოქროს ბუცი ერგო. ამასთან, დაამხო ძველი რეკორდები, რომელიც ტელმო სარუსა და უგო სანჩესს ეკუთვნოდა,

— ჩვენ მხოლოდ ესპანეთის თასი მოვიგეთ, ამიტომ ბოლომდე კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები. იმედი მაქვს, ახალ სეზონში რეალი ჩემპიონატსაც მოიგებს და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირსაც, — აცხადებს ფეხბურთელი.

*2. ლიონელ ანდრეს მესი — ბარსელონა*

გენია, თავისუფალი მხატვარი მოედანზე. არგენტინელი უკვე დიდი ხანია იქცა ბარსელონას□ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად. გარდა იმისა, რომ ესპანეთის ჩემპიონატში გაიტანა 31 გილო, გამუდმებით მონაწილეობს გუნდის შეტევებში და გაკეთებული აქვს 19 საგოლე პასი, რაც საუკეთესო მაჩვენებელი გახდა ლა ლიგაში.

კატალონიური კლუბის მწვრთნელი პეპ გვარდიოლა კი მოხარულია, რომ მესი სიამოვნებასაც იღებს თამაშით და გუნდისთვის საჭირო ქულებიც მოაქვს. გასული სეზონის მიხედვით, მესი გახდა წლის საუკეთესო ფეხბურთელი და გადაეცა ალფრედო დი სტეფანოს პრიზი.

*3.სერხიო ლიონელ აგუერო დელ კასტილიო — ატლეტიკო*

მოუხელთებელი, სწრაფი და გოლის საოცარი ალღოს მქონე ფეხბურთელი. ამ დახასითების შემდეგ გასაკვირიც არ არის, რომ მას გუნდისთვის საჭირო მნიშვნელობა აქვს. აგუერომ გასულ სეზონში გაიტანა 20 ბურთი (ამდენივე გაიტანა ნეგრედომ) და ამ მაჩვენებლით მხოლოდ რონალდუსა და მესის ჩამორჩა. განსაკუთრებით დიდებულად ჩაატარა სეზონის ბოლო, როდესაც მის გუნდს საჭირო ქულები მოუტანა.

სადღეისოდ აგუეროთი რამდენიმე გრანდია დაინტერესებული — სიტი□, რეალი, იუვენტუსი□. მისი გაყიდვა უკვე გადაწყვეტილია — როგორც თავად განაცხადა, კოპა ამერიკის დასრულების შემდეგ ატლეტიკოში□ არ დაბრუნდება. სად გადავა? იქ, ვინც მასში 45 მილიონ ევროს დაუბრკოლებლად გადაიხდის.

*4. ალვარო ნეგრედო სანჩესი □ სევილია*

უკვე მეორე სეზონში გახდა ნეგრედო სევილიას□ საკვანძო ფიგურა. ის მატჩიდან მატჩამდე პროგრესირებს. ახალგაზრდა, დიდი ტალანტის მქონდე ფეხბურთელი, წარმოუდგენელ საგოლე ალღოს ფლობს, რაც საშუალებას აძლებს საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე იდგეს. ამის საშუალებით მან სეზონში 20 ბურთის გატანა მოახერხა და ტელმო სარის პრიზი გადაეცა, როგორც საუკეთესო ესპანელ ბომბარდირს. არადა, უკან მოიტოვა ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც არიან ვილია, ლიორენტე, სოლდადო და სხვები. ამის წყალობით, ნეგრედომ ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა.

— ძალიან გაწბილებული ვიყავი, რომ 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავედი. თუმცა, ეს ჩემთვის უდიდეს სტიმულად იქცა და გასულ სეზონში ყველაფერი გავაკეთე, რომ ფურია როხაში□ მოვხვედრილიყავი — ეს მე გამომივიდა, — განაცხადა ფეხბურთელმა.

*5. ფერნანდო ლიორენტე ტორესი — ბილბაო*

კლასიკური თავდამსხმელის მაგალითი — მაღალი, მკვრივი და გოლების უმეტესობა ამიტომაც გააქვს თავით. მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ პრიმერა დივიზიონი აღმაფრენით ითამაშა. თითქმის ორმეტრიანი ლიორენტე ბასკური კლუბის ლიდერი იყო და 18 ბურთის გატანა მოახერხა.

ამის წყალობით, ლიორენტე ახალწლამდე რეალის□ ინტერესთა სფეროშიც მოექცა, მაგრამ მისი სატრანსფერო ფასი ისე გაიზარდა, რომ მადრიდელებმა თავის შეკავება ამჯობინეს.

ფერნანდოს არა მარტო კლუბში, არამედ ნაკრებშიც აფასებენ. ამის დასტურია მისი მუდმივი გამოძახება ფურია როხაში.

და ბოლოს, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გასული სეზონის სიმბოლური ნაკრები:

სქემა 4 3 3 სათამაშო სისტემით არის შედგენილი და აქაც ბარსელონა□რეალის დომინანტობაა. ტოპ□ხუთეულებიდან კი მხოლოდ ორი უცნობი□ ფეხბურთელია — რიკარდუ კარვალიუ და ერიკ აბიდალი. ამ უკანასკნელმა დიდებულად ითამაშა და არა მარტო საფეხბურთო მეტოქეები, არამედ სიმსივნეც დაამარცხა.

მეკარე: ვიქტორ ვალდესი;

მცველები: დანი ალვეში, რიკარდუ კარვალიუ, ხერარდ პიკე, ერიკ აბიდალი;

ნახევარმცველები: ხავი, ინიესტა, ხაბი ალონსო;

თავდასმხმელები: სერხიო აგუერო, კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

ქეთი ხომერიკი

# რატომ არის გაჩუმებული პოლიტიკური ექვსიანი



ბოლო პერიოდია, არ წყდება საუბრები ყოფილ რვიანსა და ხელისუფლებას შორის შემდგარ ფარულ გარიგებაზე. ბოროტი ენები ამბობენ, რვიანი ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყების დღიდანვე გარიგებული იყო, დიდი ფულიც ჩაახუტა მმართველმა გუნდმა, თუმცა, ბოლო მომენტში ხელისუფლებამ პირობა დაარღვია და რვიანი გადააგდოო.

ოჰ, ეს ბოროტი ნაციონალები... ცნობილია, რომ ის პარტიები, რომლებიც ბარიერს გადალახავენ, 1 მილიონს მიიღებენ, ჩვენი რვიანი კი 5 მილიონს ითხოვდა, თუმცა, ვერ მიიღოო. აი, ამას გამოუწვევია უკმაყოფილება. ეს რომ არა, ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს ექვსიანიც ხელს მოაწერდაო. მოკლედ, ორიანი მილიონს დასჯერდა, ექვსიანი კი — არაო. ჩვენთან საუბრისას მანჯავიძე აცხადებს, რომ ეს სიმართლეა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას" წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.

**სოსო მანჯავიძე:**

— გეთანხმებით, ყველაფერი ეს ნამდვილად იყო. აი, მანდ კიდევ ერთი ნიუანსი იყო, ასე ვთქვათ, ყველაზე საინტერესო, თუმცა, მანამდე ერთ რამეს შეგახსენებთ. გაიხსენეთ, რა თქვა ნიკა ლალიაშვილმა თავის „ისტორიულ საუბარში" ერთ-ერთ ჟურნალისტთან. „კარგი, ჩვენ, დავუშვათ, გამყიდველები ვართ, ხელისუფლებას დავთანხმდით, თუმცა, ძალიან საინტერესოა, ერთ წელიწადში რას იზამს ექვსიანიო, ანუ მაშინ, როცა ვერაფერს მიაღწევს და იგივე, არჩევნებში მოუწევს მონაწილეობის მიღება და, ფაქტობრივად, იმას დათანხმდება, რასაც ჩვენ ერთი წლით ადრე დავთანხმდითო". აი, ამაზე უნდა ეფიქრა და იფიქროს ექვსიანმა. დიახ, იფიქროს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ერთი და მეორე. ახლა შევხედოთ, რა გააკეთა დუეტმა, ამ ე.წ. ორიანმა. ხელი რაზე მოაწერა? — დეპუტატთა რაოდენობის გაზრდაზე. ახლა ეს ადასტურებს იმას, რომ, ამ პარტიების აზრით, ქართველი ერი აღარ არსებობს. მათ კულუარებში, სეპარატისტული მოლაპარაკების დროს გადაწყვიტეს ეს საკითხი. აი, ამაზეც კი არ გამოგვიხატავს აღშფოთება. ჩვენ უკვე აღშფოთების გამოხატვის ინსტრუმენტებიც აღარ გვაქვს, თუმცა, გამოხატვასაც აღარ აქვს არანაირი შედეგი. მათ რაც არ უნდა ჩაიდინონ და გავაპროტესტოთ, ამას, სამწუხაროდ, არანაირი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე. აი, აქამდე დავიდა ყველაფერი, საქართველო გადაიქცა ზნეობის უდაბნოდ, დიახ, ზნეობრივ-სამართლებრივ უდაბნოდ გადაიქცა. წარმოიდგინეთ, რა გააკეთეს — თავის დროზე რეფერენდუმი შედგა, ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება და პარლამენტში მივიღეთ დეპუტატთა ის რაოდენობა, რომელიც ხალხს სურდა, თუმცა, ამათ ამ ნაბიჯით ღიად, უსირცხვილოდ ქართველი ხალხის ნების უგულებელყოფა მოახდინეს.

***— ისიც კი განაცხადეს, რეფერენდუმი არ ჩატარებულაო...***

— დიახ, წარმოგიდგენიათ, რა მოხდა? იქ დასხდნენ ბიჭები, პალიკო, აკო და ძმანი მისნი. მათ მეორე მხრიდან მიუსხდნენ ეს მამუკა კაციტაძე, გამყრელიძე, გიორგი თარგამაძე და შეთანხმდნენ, აი, ჩვენ ასე გვინდა და მოდით, ამას მოვაწეროთ ხელი, მერე რა მოხდაო. ხალხის აზრი არ არის საინტერესოო, რეფერენდუმი ვითომც არ ყოფილაო, მოილაპარაკეს ბიჭებმა. ხელისუფლება რომ ამას აკეთებს, გასაგებია, მაგრამ ესენი? გამოვიდნენ მერე სრულიად ნათელი სახეებით, ვითომც არაფერი, ანუ გესმით, არჩევნებისთვის მზადება რითი დაიწყეს? რეფერენდუმს გადაუსვეს ხაზი და თქვეს, ქართველი ხალხის აზრს არავითარი მნიშვნელობა ჩვენთვის არა აქვსო. ეს არის სრულიად წარმოუდგენელი რამ. ყველაზე საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამ საკითხს მაინცდამაინც ეს ექვსიანიც არ უსვამს ხაზს და რატომ, თუ იცით? იმიტომ რომ შეიძლება მერე მათაც გამოადგეთ ეს კანონი კვოტების განაწილების დროს.

***— ანუ ექვსიანიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და არა მილიონ ამომრჩეველზე?***

— დიახ, ისინიც ხმას არ იღებენ, გატრუნულები არიან. ექვსიანიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. აი, იმ ოცწლიან უბედურებაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ეს უპრეცედენტო რამ იყო.

***— და თუ ყველაფერი გადაწყვეტილია, ხელი როგორ უნდა შეუშალოს საზოგადოებამ მათ გეგმებს, მოახერხებს ამას? თუ არადა, წავლენ ქუთაისში და იქნებიან მხიარულად...***

— ისე, ქუთაისში პარლამენტი ისეთ ადგილასაა, რომ შეიძლება ჩაიძიროს. ბაქრაძეს სიმამრი ჰყავს ქუთაისელი და პარლამენტი აუშენა იქ. პარლამენტი თუ ჩაიძირება, ბაქრაძე კაპიტანი ნემო იქნება. რაღაცით ჰგავს ისედაც. სასაცილოები არიან ფრიად, თუმცა, ქუთაისს თავი დავანებოთ. ეს საერთოდ, მეორე, ცალკე განსახილველი თემაა. ხელის შეშლას რაც შეეხება, ეს აუცილებლად მოხდება, პირდაპირ გეუბნებით.

***— და ვინ შეუშლის?***

— ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ამ თამაშებს საქართველოში ბოლო მოეღოს და საქართველო გადაიქცეს ნორმალურ სახელმწიფოდ, სადაც ხალხისათვის საკუთარ სამშობლოში ცხოვრება არ იქნება დაკავშირებული შიშთან და სოსო თოფურიძის აჩრდილი არ ივლის ყველა ოჯახში. ყველანაირად შევეცდებით, რომ ეს გავაკეთოთ საზოგადოებასთან ერთად და ჩვენ ვმუშაობთ ამაზე. ჩვენ გვაქვს შესაფერისი საერთაშორისო კონტაქტებიც, აქაც ვაქტიურობთ, მოგეხსენებათ და, რომ არ იყოს ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის, ასე ვთქვათ, მადეზორიენტირებელი მოღვაწეობა, გარკვეული შედეგი აქამდეც იქნებოდა.

***— ანუ არა მარტო მმართველ გუნდს, არამედ ოპოზიციასაც უნდა ებრძოლოთ, ბატონო სოსო?***

— დიახ, საინფორმაციო ბადეშიც ყველას რქები ამოუყვანეს თვალებში ამ ხალხის მუდმივი ფიგურირებით, თან, ყველამ იცის რეალურად, რისთვის ილვწიან და რას აკეთებენ ეს ადამიანები. ესენი რომ არა, შედეგი გაცილებით დიდი იქნებოდა.

***— რას ერჩით, არაფერში მდიდრდებიან...***

— დიახ, ყველაზე კარგი პროფესიაა.

***— ფოტორეპორტიორების დაკავებას როგორ აფასებთ, ნაციონალების გარდა, ნეტავ ვინმეს სჯერა მათი ჯაშუშობის ამბავი?***

— აქ რამდენიმე მიმართულებაა. მათი დაკავება 26 მაისთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ ეს რა იყო, იცით? აი, გეტყვით. მე მაქვს კლასიფიცირებული ამათი მოქმედება 2003 წლიდან. პიარი, რომელიც არანაირ რეალობასთან ახლოს არ არის და ჩვენ გვაქვს ამის მაგალითები, მაგალითად, ის, რომ საქართველო ყვავის და ასე შემდეგ, სინამდვილეში კი იქცევა.

***— და იყო თუ არა ეს მესიჯი თავისუფალი მედიის დასაშინებლად?***

— მესიჯი რამდენიმე მიმართულებით იყო. პირველი□პიარი, მეორე, ყურადღების გადასატანად მოხდა ეს, მესამე, რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ეს ჯგუფი? იმიტომ რომ სააკაშვილს ჰქონდა ამათი გარკვეული ბოღმა 26 მაისის გამო. ამ საქციელით ორი კურდღელი მოკლა სააკაშვილმა. ერთი — პირადული წყენის რეალიზაცია მოახდინა, აისრულა და მეორე — მისი აზრით, პოლიტიკურად ეს იყო სწორი ნაბიჯი, რადგან ამით გადაფარა ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია პარლამენტის მიერ კანონის ასეთი სახით მიღებამ. ისიც შეისრულა და ესეც, ანუ ჟინი დაიცხრო. ახლა ვუყუროთ ჩვენ ამ უზნეობასა და უსირცხვილობას.

***— ანუ, ხელისუფლებას თუ მოუნდება, ნებისმიერ მისთვის არასასურველ ჟურნალისტს დააკავებს და საქმეს შეუკერავს?***

— როდესაც სოლიდარობა არ არსებობს და როცა საზოგადოება ცხვრის ფარას ემსგავსება, შეიძლება, ზოგიერთი შეჭამოს მგელმა და ზოგი კი — არა. ეს იგივეა, რაც ველურ ბუნებაშია. ჩლიქოსნები რომ გამოეკიდებიან ანტილოპებს, გამოღადრავენ ყელს და მილიონი ანტილოპა უყურებს ამას. ეს ანტილოპები უყურებენ და ხტუნაობენ, ადგილზე შეშფოთებულები. ლომები კი ამ დროს სადილობენ მათ თვალწინ. იგივეა ახლაც და კიდევ უბედურება ისაა, რომ (5 ჟურნალისტი, რომ დაიჭირეს ეს, რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ) ათასჯერ ხუთი დაიჭირეს, 33 ათას ხუთასამდე ავიდნენ უკვე ოფიციალურად პატიმრების რიცხვით და ხმას არავინ იღებს. თუმცა, მე ვიცი, რომ რეალურად 40 ათასი პატიმარია ქვეყანაში. ვეღარ დამალეს და 33 ათას ხუთასიაო, განაცხადეს. ესენი მედიაშიც შევლენ, ურჩ მეუფეებსაც დაატერორებენ, ბიზნესი უკვე განადგურებულია და ვინ სად გარბის, კაცმა არ იცის. ერთი სიტყვით, ვისაც მოუნდება, იმას დაიჭერენ.

***— თქვენ ჩვენთან საუბრისას განაცხადეთ, სააკაშვილი საქართველოს მიზანმიმართულად ანადგურებსო. სააკაშვილის ხელით ვინ გვანგრევს, ბატონო სოსო?***

— სააკაშვილის ხელით გვანგრევენ გარკვეული საერთაშორისო ძალები, პირველ რიგში, პირდაპირ უნდა ვთქვა, რუსული იმპერია, უფრო სწორად, რუსეთში გაბატონებული ძალები, რომლებიც ასევე რუსეთსაც ანგრევენ. ესენი არიან საერთაშორისო ძალები. მე რუსებთან (რუს პატრიოტებთან, ისეთივე პატრიოტებთან, როგორიც მე ვარ) მქონია ურთიერთობა და ისინიც ისეთივე ძალების ზემოქმედების ქვეშ არიან, როგორც ჩვენ. ამ მიზნით იყენებენ ეს ძალები ჩვენი მეზობელი სომხეთის გარკვეულ წრეებს, რომლებსაც ზუსტად ისევე ანგრევენ, როგორც ჩვენ. ეს იგივეა, ძაღლებს რომ აჩხუბებენ, რომელი ძაღლი რჩება ხოლმე მოგებული, ხან ერთი იგებს, ხან მეორე, ერთ-ერთი კი დაგლეჯილია. ზუსტად ასეთი ვითარებაა. ვიმეორებ, ამას აკეთებენ საერთაშორისო ძალები.

***— რატომ, ამით რას აღწევენ?***

— საბოლოო ჯამში, ისინი ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ და ცუდად გაგებულ პოლიტიკურ ინტერესებს, ანუ ეს არის მორჩილებაში ყოფნა მესამე მსოფლიოსი. ეს არის ე.წ. ოქროს მილიარდის პროგრამა, სამასთა კომიტეტი, რომის კლუბი ანუ საერთაშორისო ძალის ცენტრებია ესენი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბატონობას, როგორც ისინი უყურებენ ამას მესამე მსოფლიოზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ვართ და მესამე მსოფლიოს მიგვაკუთვნეს. ცხადია, რომ ეს ეს ძალებია, ამ ძალებთან ბრძოლა კი შეიძლება მხოლოდ ჩვენი ეროვნული ცნობიერების ამაღლებით, ტრანსფორმაციითა და გარკვეული ჯგუფების თავგანწირული მუშაობით.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლი (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

## ორშაბათი 18 ივლისი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართ. ფილმი **"რაჭა, ჩემო სიყვარულო"** 15.00 სერ. **"დოლმენი"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 სილამაზის ფორმულა 18.30 მედ-ინფო 18.30 დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"დოლმენი"** 22.00 აუდიტორია – როგორ დავანებოთ თავი სიგარეტის მოწევას 23.00 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** (12) (ტ. კრუზი) 04.00 მოამბე 04.20 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი **"ჯაშუში პარიეტი"** 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 ძველი აფიშა 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "პირველი აპოკალიფსი" 20.00 მხ. ფილმი **"ნადირობა თაგვზე"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ამაო მცდელობა"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 22.00 მელომანია 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 შუა დღე (გან.) 03.00 პატრული 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ალადინი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 23.30 მუს. ლიგა (გან.) 01.00 მხ. ფილმი **"ქალები"** (12) (მ. რაიანი) (სუბტ.) 03.35 მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 პულსი 16.00 გადაცემა "გუნდი" 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 12.50, 19.35 სერ. **"მეგობრები"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი **"ვედრება"** 13.15 კონცერტი – ანს. "მამული" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"** 17.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.25 დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ხსოვნა"** 1-ლი ს. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საქართველოს ისტორია 22.20 დოკ. ფილმი "მზეო თიბათვისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 პერსპექტივა

## სამშაბათი 19 ივლისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"დოლმენი"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "მხეცების კვალდაკვალ" 19.45 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"დოლმენი"** 22.00, 02.25 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 მხ. ფილმი **"ლარა კროფტი- სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი"** (სუბტ.) 01.05 მოამბე 01.25 აუდიტორია 03.25 მხ. ფილმი **"მერი ბრაიანტის დაუჯერებელი მოგზაურობა"** (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "პირველი აპოკალიფსი" 20.00 მხ. ფილმი **"დრო, რომელიც გახსოვს"** 01.00 მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ვანოს შოუ (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 ვის უნდა 20 ათასი 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ალადინი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 01.00 პოკერ რინგი 02.45 მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) (სუბტ.) 04.45 მხ. ფილმი **"საბედისწერო ნიშნები"** (ნ. კეიჯი) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 იმედის ფსონი (პირდ.) 16.10 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 12.50, 19.30 სერ. **"მეგობრები"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "მზეო თიბათვისა" 11.05 საქართველოს ისტორია 11.30 დრო და ტრადიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ხსოვნა"** 1-ლი ს. 13.30 კონცერტი – ნ. მემანიშვილი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"წარსულის აჩრდილები"** 17.25 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"ხსოვნა"** მე-2ს. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი 01.20 დოკ. ფილმი "პატრიარქის სტუმრობა" 01.45 მოკ. ფილმი **"კურაპი"**

## ოთხშაბათი 20 ივლისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 მხ. ფილმი **"მოულოდნელი სიყვარული"** 15.00 სერ. **"დოლმენი"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 21.00 სერ. **"დოლმენი"** 22.00 ევროპული არჩევანი 23.30 აივანი 00.00 მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"** (დ. მური) 01.50 მოამბე 02.10 ევროპული არჩევანი 03.40 ჩვენი ეზო 04.40 მხ. ფილმი **"შეცდომა"** (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 **სვეტიცხოვლობა** 14.00 საუკუნის პორტრეტები 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "მილიონერები" 20.00 მხ. ფილმი **"გულახდილობა"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ. ფილმი **"ლარა კროფტი – სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ალადინი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 ბათუმი ლაივი 00.00 მხ. ფილმი **"იტალიური ისტორია"** (15) (მ. ბელუჩი) (სუბტ.) 03.15 მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 ფარული კამერა 16.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 12.50, 19.30 სერ. **"მეგობრები"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. **"ხსოვნა"** მე-2ს. 13.30 კონცერტი – ანჩისხატის ტაძრის ანს. "ნადი" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"მოლოდინი"** 16.30 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფ. **"მაგდანას ლურჯა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა (გაგრძ.) 01.55 დოკ. ფილმი "მცხეთა"

## ხუთშაბათი 21 ივლისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერიალი **"დოლმენი"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 მედ-ინფო 18.30 ჩვენი ფერმა 19.05 დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. მეორე საკვალ. ეტაპი. გაგრა – "ანორთოსისი" (კვიპროსი) (პირდ.) 23.00 სი ბემოლი 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი **"მედგარი გული"** (12) (ა. ჯოლი) 02.55 მოამბე 03.15 მხ. ფილმი **"ტუტანხამონის წყევლა"** 1-2 ს. (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "მილიონერები" 20.00 მხ. ფილმი **"შიმშილი"** 01.00 მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი **"ცოდვილი"** 11.00 სერიალი **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 17.00 სერიალი **"ავრორა"** 18.45 სერიალი **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** 22.00 პროფილი (გან.) 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ალადინი" 08.30 ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 10.00 სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 ბოიარის ციხესიმაგრე 16.00 სერიალი **"მეტოქეები"** 17.40 სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერიალი **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერიალი **"შუა ქალაქში"** 00.00 რემონტი (გან.) 00.45 მხ. ფილმი **"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"** (18) (პ. კრუსი) (სუბტ.) 03.10 მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 პულსი 16.00 სერიალი **"ვნებათა მიწა"** 17.00 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 00.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 02.00 ფარული კამერა 02.30 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერიალი **"დაცვის უფლება"** 12.50, 19.30 სერიალი **"მეგობრები"** 15.00 სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"მაგდანას ლურჯა"** 13.30 კონცერტი – რ. სებისკვერაძე 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ცისკარა"** 16.45 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.10 დოკ. ფილმი "ირაკლი აბაშიძე" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 მხ. ფილმი **"წკიპურტები"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 გამოყენებითი ხელოვნება 22.20 მოკ. ფილმი "გოლა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ცეკვის არისტოკრატი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – ანდრეა ბოჩელი

## პარასკევი 22 ივლისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 მხ. ფილმი **"ჩვენი სახლი"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 დამზადებულია საქართველოში 18.30 ჩვენი სამართალი 19.05 დოკ. ფილმი "მითებისა და გმირების კვალდაკვალ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერიალი **"დოლმენი"** 22.00, 01.50 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი **"ოკეანის სამოთხე"** (სუბტ.) 02.40 მოამბე 03.00 მხ. ფ. **"წყალდიდობა"** (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "მილიონერები" 20.00 მხ. ფილმი **"გამცილებლები და დამხვდომები"** 01.00 მხ. ფილმი **"მედგარი გული"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ (გან.) 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 09.15 საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 ღამის შოუ 00.30 მუს. ლიგა (გან.) 02.25 მხ. ფილმი **"როგორ შევაბათ მილიონერი"** (მ. მონრო) (სუბტ.) 04.20 მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ა. საიფრიდი) (სუბტ.)

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.20 ფარული კამერა 16.00 გადაცემა "გუნდი" 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 12.50, 19.30 სერ. **"მეგობრები"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 18.00 დოკ. ფილმი 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ცეკვის არისტოკრატი" 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"წკიპურტები"** 13.20 კონცერტი – ღიმილი მინდა 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ვინ არის მეოთხე"** 16.40 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.05 კონცერტი – ანს. "შინ" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე 02.00 მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

## შაბათი 23 ივლისი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტიბუბუ 10.00 საბ. ფილმი **"მოუსვენარი ბავშვები პარიზში"** 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.30 მხ. ფილმი **"ტერმინალი"** 14.40 სპექტაკლი **"ძველმოდური კომედია"** 16.15 ქართ. დოკუმენტალისტიკა 17.00 კონცერტი: კახა ცაბაძის შემოქმ. საღამო 18.30 ქართ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"** (დ. ბერიმორი) 00.00 მხ. ფილმი **"შეხვედრა მშობლებთან"** (რ.დე ნირო) 02.20 წითელი ზონა 03.20 მხ. ფილმი **"ოკეანის სამოთხე"** 05.10 მხ. ფილმი **"ტყუილი და ვერაგობა"** (15)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 სპექტაკლი **"განკიცხული"** 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფ. **"ჩვენი სახლი"** 21.30 კონცერტი: თ. ყვითელაშვილი 22.35 წითელი ზონა 23.35 მხ. ფილმი **"ოკეანის სამოთხე"**

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 მულტსერ. 10.00 გუნდი 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 სასაცილო ვიდეოები 13.00 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. **"ქალის მსხვერპლი"** 19.45 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** 23.00 მელომანია (გან.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.40 საბ. ფილმი "სათამაშოების ამბავი 2" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ვინი პუჰის თავგადასავალი" 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 14.30 რემონტი 15.00 ბათუმი ლაივი 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 კონცერტი 00.15 ყოფილი ცოლების კლუბი 01.30 სერ. **"გამომძიებელი ქალები"** (12) 02.45 მხ. ფილმი **"განდგომილები"** (15) (ლ. დი კაპრიო) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 ფარული კამერა 11.30 პულსი 12.00 სერ. **"მეათე სამეფო"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 17.30 მხ. ფილმი 19.30 მხ. ფილმი 21.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 05.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 13.15, 19.30 სერ. **"მეგობრები"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 დოკ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.20 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 ჟურნალისტის დღიური 10.50 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** 13.30 პერსპექტივა 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 ოპერა 17.30 დოკ.ფ."ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფილმი **"ჭრიჭინა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 მოკლ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "სათავეებთან" 00.30 სატ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები 01.15 კონცერტი – ანდრის რიე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## კვირა 24 ივლისი

08.00 პლანეტა ბასტიბუბუ 10.00 საბ. ფილმი **"შრეკი"** 12.00, 16.00, 20.00, 03.25 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"ცასა და მიწას შორის"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორს" 16.15 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 კონცერტი: "ფუჯი ბელ ბენდი" 20.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 მხ. ფილმი **"ბედის წინააღმდეგ"** 00.00 "კავკასუს ლაივი" 01.00 მხ. ფილმი **"გზათა გადაკვეთა"** (ბ. აფლეკი) 03.10 ქართული დოკუმენტალისტიკა 04.10 ვ. სანაიას რეპორტაჟი

08.00 დოკ. ფილმი "მილიონერები" 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი **"დიდოსტატის მარჯვენა"** 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი "ნიუტონი, ბნელეთის ერეტიკოსი" 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.30 მხ. ფილმი **"ტერმინალი"** 23.35 მხ. ფილმი **"შეხვედრა მშობლებთან"**

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 11.00 გუნდი 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი **"ცუდი გოგოები"** 15.20 სერ. **"სიამაყე"** 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 22.00 სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** 23.00 კონცერტი – "ცისფერი ტრიო" 00.30 მხ. ფილმი (სუბტ.) 03.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.40 მხ. ფილმი **"ჯადოქარი ტყუპები"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ვინი პუჰის თავგადასავალი" 12.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ. **"უკანასკნელი მოწმე"** 1-ლი ს. 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.45 ეტალონი 19.05 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 ღამის შოუ 00.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.45 სერ. **"გამომძიებელი ქალები"** მე-6ს. (12) 03.00 მხ. ფილმი **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 11.30 პულსი 12.00 სერ. **"მეათე სამეფო"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 მხ. ფილმი 18.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 19.00 ფარული კამერა 20.00 მზის კინოკლუბი. 23.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 05.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. **"დაცვის უფლება"** 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"მეგობრები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 მოკლ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 კონცერტი – ანდრის რიე 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი **"ჭრიჭინა"** 13.30 ქართული მულტფილმი 13.40 სატ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" 16.45 სალვთისმეტყველო საუბრები 17.30 დრო და ტრადიციები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.40 მხ. ფილმი **"შერეკილები"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 22.40 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 კინოკლასიკა **"ხანუმა"** 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 ოპერა

# შვილმა ბედნიერება მაპოვნინა



ნანის ქმარი მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაეცვალა. 25 წლის ბიჭის გადარჩენა ვერავინ შეძლო. 24 წლის გოგონა მოულოდნელმა ტრაგედიამ შოკში ჩააგდო, თუმცა, წლების გასვლასთან ერთად, ცხოვრების რიტმს ისევ აუწყო ფეხი და დღეს უკვე 5 წლის ბიჭის დედაა. მართალია, ბევრ კრიტიკას გაუძლო, ბევრი შეურაცხყოფა მოისმინა, ბევრი ლანძღვა აიტანა, მაგრამ მიაჩნია, რომ ახლა ბედნიერია და მისი განსჯის უფლება არავის აქვს.

**ნანი:**

— ჩემი სანდრო უკვე ხუთი წლისაა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის მყავს და ამ ცხოვრებაში მარტო არ ვარ. ჩემი ასაკის ადამიანისთვის, მგონია, რომ ბევრი დარტყმა მივიღე, არ ვიცი, ეს რატომ დავიმსახურე, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც გმირულად გავუძელი. ჩემი ქმარი, ლაშა, სრულიად მოულოდნელად, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. გულის შეტევა დაემართა. მისმა სიკვდილმა შოკში ჩამაგდო, თან სახლში მარტო ვიყავით და ვერაფერი ვუშველე. კარგა ხანს სერიოზული მკურნალობა დამჭირდა, ფსიქოლოგთანაც კი დავდიოდი, რომ ეს ტრაგედია გადამეტანა. ლაშას მშობლები არაფერს მაკლებდნენ, თავს მევლებოდნენ, მაგრამ მათთან ცხოვრება არ შემეძლო. ის სახლი, ის აურა, ყველა დეტალი ჩემს ქმარს მახსენებდა და კიდევ უფრო ცუდად ვხდებოდი.

ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, დროებით მათთან გადავსულიყავი საცხოვრებლად. ეს დროებითი გადასვლა სამუდამო აღმოჩნდა. აშკარად ვგრძნობდი, რომ ჩემი ქმრის სახლში თითქოს რაღაც მახრჩობდა, მთრგუნავდა, მგუდავდა. იმ სახლში მისვლა და ჩემი ცუდად გახდომა ერთი იყო. არ ვიცი, ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური ფაქტორის ბრალი იყო თუ, უბრალოდ, მე მეჩვენებოდა ყველაფერი ასე, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ქმრის სახლში ცხოვრება არ შემეძლო.

ლაშას მშობლებს სწყინდათ, მათთან რომ არ ვცხოვრობდი, მაგრამ არანაირად არ შემეძლო იქ გაჩერება, თან ასაკითაც პატარა ვიყავი და სხვანაირი მიდგომა მჭირდებოდა. საკმაო პერიოდის გავლა გახდა საჭირო, რომ გონზე მოვსულიყავი და ცხოვრების რიტმს დავბრუნებოდი. მიუხედავად ამისა, ლაშა სულ მახსოვს და მენატრება კიდეც.

***— ბავშვი ლაშასგან გყავთ?***

— არა. ამ ბავშვის გამო იმდენი რამე გადავიტანე, როგორ გადავრჩი, მიკვირს. მე და ლაშა ახალი შეუღლებულები ვიყავით, ამიტომ ბავშვი არ გვყავდა. მართლა დიდი ხანი დამჭირდა იმისთვის, რომ ლაშას გარდაცვალება გადამეტანა და იმ სტრესიდან გამოვსულიყავი, რაც მისმა სიკვდილმა მომიტანა. ლაშას შემდეგ აღარ გავთხოვილვარ. მისი ერთგული დავრჩი ბოლომდე, მაგრამ შვილი მინდოდა სასწაულად. ჩემი შვილის მამა ჩემი კარგი მეგობარია. ის ჩემი ქმარი არ არის, მისგან არაფერს ვითხოვ, უბრალოდ, მისგან ბავშვი გავაჩინე. ეს არის და ეს. ამის გაგება დღესაც კი არავის შეუძლია, ყველამ ზურგი მაქცია — მეგობრებმა, ნათესავებმა, ჩემმა მშობლებმაც კი. ლაშას მშობლებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მათ ამ ნაბიჯის გადადგმა არ მაპატიეს და ზუსტად ვიცი, რომ დღესაც ჩემზე ძალიან ცუდ რაღაცებს ლაპარაკობენ. მათთან დალაპარაკება არც მიცდია. არც მათი გამტყუნება შემიძლია, მაგრამ, არც ის შემეძლო, რომ მთელი ცხოვრება შავებში მევლო. ლაშა გულის სიღრმეში ისევ მიყვარს, მაგრამ ბავშვზე უარს არაფრის გულისთვის არ ვიტყოდი. თავიდან რომ გაიგე, ბიჭი მეყოლებოდა, ლაშას დარქმევა მინდოდა, მაგრამ მისმა მშობლებმა შემომითვალეს, მაგ ბავშვს ჩვენი შვილის სახელი არ დაარქვა, თორემ არ ვაცოცხლებთ, ჩვენი გვარი არ შეარცხვინოო. მართალია, ბავშვს ლაშას გვარი არ აქვს, ის ჩემს გვარზეა, მაგრამ, იმდენად შეგნებული ვარ, რომ მათი გაგება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც შევძელი.

ჩემმა მშობლებმა რომ გაიგეს, ორსულად ვიყავი, შოკში ჩავარდნენ. დედაჩემი ბევრს მელაპარაკა, მირჩევდა, კარგად დავფიქრებულიყავი, ხალხის ყბაში ჩავვარდებოდი და ჩემს შვილს ყველა ნაბიჭვარს დაუძახებდა, მაგრამ არავის მოსმენა არ მინდოდა. იმდენად ბედნიერი ვიყავი იმ ფაქტით, რომ შვილი მეყოლებოდა, ყველას აზრი, ბოდიში და ფეხებზე მეკიდა. ჩემს მეზობლებს ახალი სალაპარაკო თემა მიეცათ. ჩემზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, ისე მიყურებდნენ, ვგრძნობდი, რომ მათ თვალში არარაობას წარმოვადგენდი, მაგრამ არავინ და არაფერი მაინტერესებდა.

***— ახლა სად ცხოვრობთ?***

— ჩემს მეგობართან, რომელიც ჩემი შვილის მამაა. ზურამ იცის, რომ არ მიყვარს და მისი ცოლიც არასოდეს გავხდები, მაგრამ, იმდენად არის ჩემში შეყვარებული, რომ ყველაფერს იტანს. ხშირად მითქვამს, წადი, შენი ცხოვრება ნახე-მეთქი, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. მეუბნება, დაგელოდები, ვიცი, რომ ადრე თუ გვიან შენც შეგიყვარდები და ამიტომ შენგან არ წავალო. მაოცებს მისი მოთმინება. მე შვილი მინდოდა და მყავს. ახლა უკვე აღარაფერი მაინტერესებს. ისე დამთრგუნა ლაშას გარდაცვალებამ, მგონია, რომ ბედნიერი აღარასოდეს ვიქნები. თუმცა, სანდროს რომ ვხედავ, ყველაფერი მავიწყდება. ის ჩემს მეგობარს მამას ეძახის. ერთი შეხედვით, ოჯახი ვართ, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც ჭეშმარიტი ოჯახი ჰქვია.

ჩვენი ამბავი ზურას მშობლებმა რომ გაიგეს, ახლა ისინი მომივარდნენ, ჩვენს შვილს რატომ აცდუნებ, ნამდვილი სატანა ხარო. დედამისმა სასწაული სიტყვები მიძახა — რა აჭამე ჩემს შვილს, ასე რომ გამოათაყვანე, შენ გარდა არავის გაგონება არ უნდაო. მაგ ბავშვს შვილიშვილად მაინც არ ვაღიარებთ, შენი ფეხი არ იქნება ჩვენს ოჯახშიო. დამემუქრა და პირობასაც ასრულებს. მათთან არასოდეს ვყოფილვარ და არც მათ უნახავთ ჩვენი შვილი. უკვე ხუთი წელი გავიდა და არ იციან, მათი შვილიშვილი როგორია. ეს დიდად არ მაღელვებს. მთლიანად ბავშვზე ვარ გადართული. მისით ვცოცხლობ და ვარსებობ. სანდროა ჩემი სიცოცხლის აზრი და მის მეტი ამქვეყნად არაფერი მაინტერესებს. არც ჩემი მშობლები მაკითხავენ, არც ნათესავები. მეგობრებმაც კი განმიკითხეს და ზურგი მაქციეს. უკვე ყველაფერს მივეჩვიე და გული არაფერზე მწყდება. არჩევანი თავად გავაკეთე და პასუხიც პირადად უნდა ვაგო.

გულით მინდა, რომ ზურამ იპოვოს ის ქალი, ვინც მას გააბედნიერებს და ყველანაირად გვერდით დაუდგება. ის ნამდვილად არ არის ღირსი, რომ ასე იტანჯოს და მთელი ცხოვრება მელოდოს, თან როცა არაფრის პირობა არ მიმიცია.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### !).dtkfptgjgekfhekbitwljvfuf[ ljvbcfc

სხვადასხვა დიეტები და გახდომის საშუალებები ყვოელთვის აქტუალურია. ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ კი ცნობილი გახდა ის 10 ყველაზე აქტუალური და პოპულარული შეცდომა, რომელიც გახდომისა და სასურველი ეფექტის მიღწევის პროცესს აუცილებლად შეაფერხებს.

**1. ხშირი წახემსება დღის განმავლობაში**

ენდოკრინოლოგების მიერ რეკომენდებულია დღეში სამჯერ მირთმევა — საუზმე, სადილი და ვახშამი ადამიანმა აუცილებლად უნდა მიიღოს. თუ ძალიან ადრე დგებით, შეგიძლიათ ორი საუზმეც მოიწყოთ. დღის განმავლობაში მოერიდეთ ხშირ წახემსებას. როცა მადას საკვების მიღებამდე იკლავთ, ავტომატურად იმაზე ბევრად ნაკლებს ჭამთ, ვიდრე გესაჭიროებათ მომდევნო ტრაპეზამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წახემსებისას გაუმართლებლად მეტს მიირთმევთ, რადგან უკვე შიმშილი გაგიმძაფრდებათ.

**2. ზედმეტად მსუბუქი ვახშამი ან უვახშმობა**

როცა დიეტის ინსტრუქციაში წერია, რომ საკვების ბოლო მიღება საღამოს 6-7 საათზე გვიან არ უნდა მოხდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ის აუცილებლად უნდა შედგეს. ეს სრულფასოვანი ვახშამი უნდა იყოს და არა იოგურტი ან ვაშლი. უკიდურეს შემთხვევაში მსუბუქი წახემსებაც დაიშვება. დაიმახსოვრეთ: ზედმეტად მსუბუქი ვახშამი ან მისი სრული არარსებობა უფრო მოხდენილს არ გაგხდით. ასეთი მიდგომა დაამუხრუჭებს გახდომის პროცესს, რადგან საკვების მიღების დიდი დროითი წყვეტა ჩვენს ორგანიზმს აიძულებს, მირთმეული ხანგრძლივ პერიოდზე გაანაწილოს და ფერხდება ნივთიერებათა ცვლა. დაუშვებელია ხანგრძლივი შიმშილობაც. ის ადრე თუ გვიან დიეტაზე ხელს ჩაგაქნევინებთ. ამიტომ არ ღირს საკუთარი ნებისყოფის გამოცდა.

**3. ძალიან ბევრი ხილი და კენკრა**

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ხილისა და კენკრის უზომოდ მირთმევა შეიძლება, რადგან ეს წონაზე არ იმოქმედებს. ეს მცდარი აზრია. ხილი და კენკრა ფრუქტოზას შეიცავს. ის ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე რაფინირებული შაქარი, მაგრამ არანაკლებ კალორიულია. როგორც ნახშირწყლები, ისიც სისხლში გლუკოზის დონის ცვალებადობას იწვევს, ამიტომ ხილის მირთმევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ შიმშილის მძაფრი გრძნობა დაგეუფლებათ. ვაშლი, ციტრუსები, ქლიავი, კივი, ცოტაოდენი საზამთრო, ანანასი ბევრ უჯრედისს შეიცავს და ცოტა შაქარს, ამიტომ ბევრ დიეტაში დაშვებულია.

**4. პროდუქტების არასწორი შეთავსება ვახშამზე**

ხორცი, თევზი და ქათამი ვახშამზე მხოლოდ დამოუკიდებელ კერძებად შეიძლება მიირთვათ. არანაირი კომბინაციები მათი მონაწილეობით არ დაიშვება. სხვაგვარად დაძინებამდე



მირთმეულის მონელებას ვერ მოასწრებთ და ვახშამი დილით სასწორზე აისახება.

**5. სადილზე არასწორი პროდუქტების შეთავსება**

სადილზე შეიძლება ბრინჯის, წიწიბურას და ბოსტნეულის შეთავსება ხორცთან, ქათამთან ან თევზთან. არ შეიძლება ხორცის, ქათმისა და თევზის კარტოფილთან და მაკარონთან ერთად დაგემოვნება. ეს ორი გარნირი სადილზე მხოლოდ ბოსტნეულთან და ყველთან ერთადაა მისაღები. თუკი წყალზე დამზადებულ ბოსტნეულის წვნიანს მიირთმევთ კარტოფილით, მეორე კერძი ბიფშტექსი არ უნდა იყოს. ასე თქვენ ხელს შეუწყობთ საჭმლის მონელების პროცესს და დააჩქარებთ ნივთიერებათა ცვლას.

**6. საუზმეს თუ ტკბილეულს მოვაკლებ, უფრო მალე გავხდები**

კიდევ ერთი შეცდომა: როცა რაციონიდან რომელიმე პროდუქტს ამოიღებთ, იმის რისკს ზრდით, რომ ერთ დღეს რეჟიმს ველარ გაუძლებთ. როცა უარს ტკბილეულზე იტყვით, ერთხანს სწრაფად დაიკლებთ, მაგრამ დიდხანს საყვარელ პროდუქტზე უარის თქმას ვერ შეძლებთ. ადრე თუ გვიან, ლამაზი ფიგურის ოცნებას ნამცხვრის სიყვარული დაძლევს და ეს დილით კი არ მოხდება, როცა ყველაფრის ჭამა შეიძლება, არამედ — გვიან საღამოს. როცა ჩვენი ნერვული სისტემა უკვე გადატვირთულია, საკუთარი თავის გაკონტროლება ძალიან რთულია.

**7. მას შემდეგ, რაც დაქალთან სტუმრობისას „გადავაჭარბე“, ერთი დღე უნდა ვიშიმშილო**

ნუ დასჯით საკუთარ თავს განტვირთვის დღეებით იმის გამო, რომ „აიწყვიტეთ“ და ბევრი მიირთვით. ამით მხოლოდ უარესს შედეგს მიიღებთ. შიმშილის მცდელობებს იმისკენ მიყავხართ, რომ კიდევ უფრო მეტს იმატებთ. თუკი სტუმრად თავი ვერ შეიკავეთ და ბევრი მიირთვით, მომდევნო დღეს ჩვეულებრივ განაგრძეთ დიეტა და ნუ გაამკაცრებთ. იმ ერთ დღეში დაგროვილი წონა, როგორც წესი, მომდევნო რამდენიმე დღის მანძილზე ზედმეტი ძალისხმევის გარეშე იკარგება.

**8. ფიზიკური დატვირთვის გარეშეც მშვენივრად ვხდები**

გახდომას სპორტის გარეშეც მოახერხებთ, მაგრამ ზედმეტი არაა იმის ცოდნა, რომ ფიზიკური დატვირთვა კუნთებს ტონუსში ამყოფებს, ამკვრივებს კანს, სილუეტის კორექციას ახერხებს, სისხლს ჟანგბადით ამდიდრებს, ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს. თუ არ გსურთ, ფინიშთან დაკიდებული კანით, მოხრილი და მოდუნებული კუნთებით მიხვიდეთ, ვარჯიში აუცილებლად მოგიწევთ. გარდა ამისა, სპორტი მობილიზებაში გეხმარებათ და უფრო თანმიმდევრულს გხდით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, თუკი გახდომის გზის გამარჯვებით დასრულებას აპირებთ.

**9. სულ რამდენიმე კილოგრამის მოკლებას ვაპირებ და სულაც არაა კანის მოვლის პროცედურების აუცილებლობა**

შესაძლოა, საგანგებო ღონისძიებებს თქვენი კანი არ საჭიროებდეს, მაგრამ ყავის სკრაბი, მასაჟი და საკუთარი თავის მიმართ გაძლიერებული ყურადღება ნებისმიერი ქალის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თქვენი მთავარი მოტივაცია თავად თქვენ უნდა იყოთ, ამისთვის კი საკუთარი თავის შეყვარებაა საჭირო. „თქვენი გრძნობების გამოხატვა“ სწორედ იმ ძალითა და დროით გამოიხატება, რომელსაც საკუთარ თავს უთმობთ.

**10. განწყობას არა აქვს დიდი მნიშვნელობა**

ეს ყველაზე მცდარი აზრია. განწყობა დიეტის დროს ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი და გასათვალისწინებელი პირობაა. თუკი თავს განაწყობთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოინდომოთ და არასასურველი წონა დააგდოთ, ამას აუცილებლად მიაღწევთ.

ყველა ამ პოპულარული 10 შეცდომის შემდეგ კი შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა — დაიცავით ეს და გახდომა უფრო გაგიადვილდებათ!



### cfcfhut,kj vwtyfhtt,b

**პიტნა** — მისი ძირითადი კომპონენტი ეთერზეთი მენთოლია, რომელსაც სასიამოვნო სუნი და გამაგრილებელი ეფექტი აქვს. პიტნის ფოთოლი აგრეთვე მდიდარია კაროტინით, ფლავონოიდებით, ბეტაინით. მენთოლის დამსახურებით პიტნას აქვს ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმის მომხსნელი, ანტისეპტიკური, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, ნაღველმდენი ეფექტი. სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება პიტნის ნაყენი (ჩაი), ნახარში და ზეთი არომათერაპიისთვის. პიტნის ნაყენი საუკეთესო აფროდიზიაკია. სქესობრივი ლტოლვის გასაძლიერებლად სვით ნაყენი ერთი თვის განმავლობაში. პიტნის ნაყენი დაგიწევთ ტემპერატურას, დაგეხმარებათ ოფლის მოდენაში. თუ თბილ წყალში რამდენიმე წვეთ პიტნის ზეთს გახსნით და დალევთ, უკეთ ჩაგეძინებათ. ეს საშუალება დაგეხმარებათ დეპრესიის შემოტევისას, გულისცემის აჩქარებისას. პიტნის ნახარშის საფენი ეფექტურია რევმატული ტკივილის დროს, აამებს მწერის ნაკბენს, ხსნის ქავილს. თუ პიტნის ნახარშს შეურევთ ზეითუნის ზეთს, მიიღებთ საუკეთესო საშუალებას დამწვრობის დასაამებლად, თავის ტკივილის დროს კი გირჩევთ, ერთმანეთში აურიოთ პიტნისა და ევკალიპტის ზეთი და საფეთქლები დაიზილოთ. პიტნის ჩაის სმა ყველას შეუძლია, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ბავშვებისთვის კონცენტრირებული ნაყენის მიცემა არ შეიძლება — მასში მაღალია მენთოლის შემცველობა. თუ ბავშვს ნაწლავთა სპაზმი აქვს და მუცელი სტკივა, მოუმზადეთ მას პიტნის ძალიან ბაცი ჩაი. გახსოვდეთ ისიც, რომ ქრონიკული გულძმარვის დროს პიტნის ზეთის მიღება ყოვლად დაუშვებელია.

თუკი პიტნის ნაყენის მიღებას აპირებთ, დაამზადეთ ის ასე:

1. ჩაყარეთ თერმოსში 2 სუფრის კოვზი პიტნა, დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე, დააყენეთ რამდენიმე საათით. სვით ჭიქის მესამედი დღეში სამჯერ. შეგიძლიათ, დაამატოთ შაქარი ან თაფლი. ეს ნაყენი სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს. ეფექტურად ხსნის ტკივილს კუჭის არეში.

**კოწახური** — მრავალი სამკურნალო თვისებით გამოირჩევა. მის ნაყოფში უხვად არის ვაშლისა და ლიმონის მჟავები, სხვადასხვა ვიტამინი და მინერალური ნივთიერება. მისი ნაყენი მძლავრი ნაღველმდენი ეფექტით გამოირჩევა. ის მადის აღმძვრელი, სიცხის დამწევი, ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. სასარგებლოა კოწახურის ნაყენის სმა შარდკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ღვიძლის გადიდების, შარდმჟავა დიათეზის, რევმატიზმის, პოდაგრის, საშვილოსნოს მიომის, პიგმენტაციის დარღვევის, ალკოჰოლიზმის დროს.

იმისათვის, რომ კოწახურის მარგებელ ძალაში საბოლოოდ დარწმუნდეთ, კარგია მოამზადოთ კოწახურის მატონიზირებელი ჩაი: ერთ ჭიქა მდუღარეზე აიღეთ ერთი ჩაის კოვზი ფოთოლი ან ნაყოფი, დააყენეთ ნახევარი საათით და მიიღეთ დღეში სამჯერ. სასურველი ეფექტის მისაღებად კოწახურის ჩაი ორი კვირა მაინც უნდა დალიოთ.

სასარგებლოა კოწახური ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს. ამისთვის კოწახური ასე უნდა მომზადდეს — აიღეთ ნახევარი ჩაის კოვზი კოწახურის ხის დაქუცმაცებული ქერქი, დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე, დააყენეთ ერთი საათით და გაფილტრეთ. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი დღეში 2-3-ჯერ.

ნაყოფის ნაყენი კი ასე მოამზადეთ: 2 სუფრის კოვზ კოწახურს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე და ერთი საათი დააყენეთ. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი დღეში რამდენჯერმე. ორივე ნაყენს იდეალური ნაღველმდენი ეფექტი აქვს.

კოწახური არანაკლებ ეფექტურია საფენებისთვის და პირის ღრუში გამოსავლებად. ასეთ დროს მისი ნაყენი ასე უნდა მომზადდეს — აიღეთ 1 სუფრის კოვზი გამომშრალი და დაქუცმაცებული ფოთოლი, დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე, ადუღეთ 5-10 წუთი, გაფილტრეთ და ისევ წამოადუღეთ.

რევმატიზმის დროს კი კოწახური გამოგადგებათ, თუ აიღებთ ერთ ჩაის კოვზ გამომშრალ და დაქუცმაცებულ კოწახურის ფესვს, დაასხამთ 2 ჭიქა მდუღარეს, შეფუთავთ და 4 საათს გააჩერებთ, გაფილტვრის შემდეგ კი მიიღებთ ნახევარ ჭიქას 3-ჯერ დღეში.

**თიკო ნინიაშვილი**

# აბადანში 1382 ადამიანი დაიღუპა

თურქმენეთის ქალაქ აბადანის მახლობლად, სამხედრო საწყობებში მომხდარი აფეთქებების შედეგად 1382 ადამიანი დაიღუპა. მათი მესამედი ბავშვები არიან.

ეს ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის საიტმა „თურქმენეთის ქრონიკამ“ გამოაქვეყნა. ოფიციალური ცნობის თანახმად, აფეთქებების შედეგად ორი სამხედრო მოსამსახურე და 13 სამოქალაქო პირი დაიღუპა. ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების თქმით, დაჭრილების დიდი რაოდენობა უკვე სამედიცინო დაწესებულებებში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სოფელ გუნეშში, რომელიც უშუალოდ საწყობების მახლობლად მდებარეობდა, დანგრეულია 127 კერძო სახლი.

„თურქმენეთის ქრონიკის“ რედაქტორმა ფარიდ ტუხბატულინმა ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ 1382 დაღუპულის ინფორმაცია მან სანდო წყაროებისაგან მიიღო. ტუხბატულინი ავსტრიაში ცხოვრობს.

მისი თქმით, ეს ინფორმაცია მას გადასცეს ადამიანებმა, რომლებიც მთავრობის მიერ შექმნილ ოფიციალურ კომისიაში მუშაობენ. კომისიის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის დეპუტატები და მინისტრები. ინფორმაცია მათი თანაშემწეებისაგან მიიღეს, რომლებიც ინფორმაციის შეგროვებაზე მუშაობენ.

10 ივლისს, აფეთქებების მესამე დღეს, თურქმენეთის მთავრობამ 15 დაღუპულის ინფორმაცია გაავრცელა და მას შემდეგ ეს რიცხვი არ შეცვლილა. ამასთან, ქვეყნის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა განაცხადა, რომ აბადანის ადგილას ახალ ქალაქს ააშენებენ.

ფარიდ ტუხბატულინის თქმით, 15 დაღუპულის სიაში მოხვდნენ ისინი, ვინც უკვე დაკრძალეს.

მისი აზრით, ეს 15 დაღუპული აბადანში მცხოვრები რუსები არიან, რომლებიც მართლმადიდებელთა სასაფლაოზე დაკრძალეს. უცნობია, რამდენი დაკრძალეს მუსლიმანურ სასაფლაოზე ან რამდენია დაუსაფლავებელი.

აფეთქების შედეგების ლიკვიდაციის კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ მაღალმა სიცხემ პიროტექნიკური საშუალებების აალება და მისი ვრცელ ფართობზე მიმოფანტვა გამოიწვია. მიმოფანტვის რადიუსში მოხვდა იარაღის საწყობი, სადაც საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ჩამოსაწერი საჭურველი ინახებოდა.

კომისიის მუშაობის შე-



დეგების მიხედვით თურქმენეთის პრეზიდენტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა თავდაცვის მინისტრ ბეგენჩ გუნდოგდიევს და იგი პოლკოვნიკამდე ჩამოაქვეითა.

პრეზიდენტმა მომხდართან კავშირის მქონე ყველა პირის პასუხისგებაში მიცემა და მათთვის სამხედრო წოდებების ჩამორთმევა მოითხოვა, შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისა და ტრიბუნალისათვის გადაცემის ჩათვლით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ვერსია ნაწილობრივ ემთხვევა ოფიციალურს. მათი ვარაუდით, პიროტექნიკური მოწყობილობები ღია ცის ქვეშ, იარაღის საჭურვლის მახლობლად ინახებოდა.

სხვა ვერსიის თანახმად, საჭურვლის გადატანის დროს ერთ-ერთი ჭურვი აფეთქდა, რასაც ხანძარი და სხვა ჭურვების აფეთქებები მოჰყვა.

ინტერნეტ-გამოცემა „ევრაზიანეტის“ თანახმად, აბადანში ჩადიან ჯარისკაცების დედები, რომლებიც თავიანთი შვილების ცხედრებს დასაკრძალავად ითხოვენ. მათი ჩასვლა ხელისუფლებისათვის ყველაზე მკაცრი გამოცდა გამოდგა.

გ.თ.

## გაქვთ თუ არა მტკიცე ხასიათი




1. თუ ყოფილა, რომ სხვებისთვის გითქვამთ ისეთი რამ, რისიც თავად არ გჯერათ, მაგრამ, სიჯიუტის გამო სხვის ჯინაზე ამტკიცებდით ამას?

2. თუ გახასიათებთ პედანტურობა?

3. სწრაფად თუ ივიწყებთ უსიამოვნებებს?

4. გიყვართ თქვენი საქციელის გაანალიზება?

5. რთული ამოცანის გადაწყვეტის წინ თუ ცდილობთ, არ იფიქროთ მომავალი პრობლემების შესახებ?

6. ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი გარემოცვა შესაბამისად ვერ აფასებს თქვენს უნარსა და ცოდნას?

7. კამათის დამთავრების შემდეგ ცდილობთ თუ არა გონებაში მის გაგრძელებას და საკუთარი პოზიციის დასაცავად ახალი არგუმენტების მოყვანას?

8. უცხო საზოგადოებაში მოხვედრის შემდეგ ცდილობთ თუ არა საკუთარი „მეს“ წარმოჩენას?

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

***0-2 ქულა:*** ხასიათის სიმტკიცით ვერ დაიტრაბახებთ, არ ხართ საკუთარ ძალებში დარწმუნებული და ვერ ბედავთ საკუთარი პოზიციების დაცვას.

***3-5 ქულა:*** საკმაოდ მტკიცე ხასიათის ხართ, თუმცა, გაწონასწორებული საქციელი გახასიათებთ. კეთილსინდისიერი ხართ და უწევთ სხვებს ანგარიშს.

***6-8 ქულა:*** ნებისყოფის სიმტკიცით გამოირჩევით, მიზნის მისაღწევად ხანდახან უფრო პრინციპის გამო იჩენთ მიზანსწრაფულობას და შესაძლოა შედეგით იმდენად არ იყოთ დაინტერესებული. მიჩვეული ხართ პირველობას.

## მზის ბატარეა პრინტერით

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა და სტუდენტებმა შეიმუშავეს ფოტოელემენტები, რომელთა მომზადება ნებისმიერ დრეკად ზედაპირზე, ქსოვილზე, ქაღალდზე, პლასტმასზე იქნება შესაძლებელი. ასეთი მზის ბატარეა დეფორმირების დროსაც კი შეინარჩუნებს ელექტროენერგიის გამომუშავების უნარს.

ერთი წლის წინ სპეციალისტების ჯგუფმა პირველად შეძლო დაემზადებინა „ქაღალდის“ მზის ელემენტი. ჩვეულებრივ ფურცელზე სპეციალური შემადგენლობა „დაბეჭდეს“. ამჟამად კი გავრცელდა ინფორმაცია ახალი ტიპის ფოტოელემენტების მთელი „ოჯახის“ შექმნის შესახებ.

მეცნიერების თქმით, მომავალში შესაძლებელი იქნება მზის ელემენტების პრინტერის საშუალებით დაბეჭდვა, მათი ფარდების სახით განთავსება ან სულაც ტანისამოსზე დამაგრება.

ისიც აღსანიშნავია, რომ ახალ ტექნოლოგიას დახვეწა სჭირდება, რადგან ისინი მეტად მცირე ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.

ფოტოელემენტების დამზადების ტრადიციული ტექნოლოგიები მაღალი ტემპერატურების გამოყენებას გულისხმობს, რაც ცელულოზის ან პლასტმასის გამოყენებას გამორიცხავს.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შექმნილი ტექნოლოგია 120 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურას მოითხოვს.

დაბეჭდვის დროს პრინტერის საშუალებით ქაღალდზე, ქსოვილზე ან რაიმე შესაფერის მასალაზე ორგანული აქტიური ნივთიერებების ხუთი ძალიან თხელი ფენა და პოლიმერული ელექტროდები დააქვთ.

ამ მეთოდის საშუალებით მომავალში მზის ელემენტების დამზადების დროს ძვირადღირებული მასალების გამოყენება აღარ იქნება საჭირო. გარდა ამისა, გამარტივდება წარმოების პროცესი.

უფრო ადვილი იქნება მისი გამოყენება, მზის ელემენტები შეიძლება უბრალოდ დავაფინოთ სახურავზე ან სახლის კედელზე ჩამოვკიდოთ, შემდეგ კი ელექტროქსელს მივუერთოთ.

ისიც აღსანიშნავია, რომ ახალი მოწყობილობები ჭავლური პრინტერის კარტრიჯებზე ძვირი არ იქნება.

გ.თ.

## მიწისძვრა ლა-მანშის ფსკერზე



ბრიტანეთის კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით, ლა-მანშის სრუტის ფსკერზე, 3.0 ბალი სიძლიერის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი საპორტო ქალაქ პორტსმუთთან მდებარეობდა. დასავლეთ სასექსის საგრაფოს მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ დილის რვა საათისათვის ზოგიერთი შენობის ზანზარი იგრძნეს. რყევა რამდენიმე წამს გრძელდებოდა.

სასექსის პოლიციას რაიმე საგანგაშო სატელეფონო ზარი არ მიუღია.

ბრიტანეთის გეოლოგიური ინსპექციის წარმომადგენლების თქმით, 1734 წლის შემდეგ აქ მსგავსი სიძლიერის მიწისძვრა არ მომხდარა. 1734 წელს 4.5 ბალი სიძლიერის მიწისძვრა მოხდა.

ცოტა ხნის წინ, მიმდინარე წლის იანვარში, ბრიტანეთში, ქალაქ იორკშირის მახლობლად, 3.6 სიძლიერის მიწისძვრა მოხდა.

გ.თ.

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოხატავს ღრმა მწუხარებას ღვაწლმოსილი და ღირსეული მამულიშვილის, ქართული მწერლობის ბერმუხის, კოლორიტისა და სახალხო მწერლის, ხალხის მეჭირისუფლის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის

**ოტია იოსელიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### მარიამ (მაკა) ნანობაშვილი-ლაზარაშვილის ხსოვნას



ორმოცი დღე მიიწურა იმ ავბედითი დღისდან. სანთელივით ჩაილვენთა შენი ლამაზი სიცოცხლე. დაგვაკლდა შენი სითბო, შენი ღიმილი. შენ სიყვარულის სიმბოლოდ დარჩები შენი მეუღლის გულში, რომლის მწუხარებამ გააოგნა თვით სიკვდილიც კი.

ფერიასავით ლამაზი იყავი და ყვავილებით მიმოფანტულ ზღვაში ცურავდი.

ადამიანური თვისებებით გამორჩეული იყავი. უყვარდი ყველას, მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს. შენი ხანმოკლე სიცოცხლე თითქოს მზის სხივებივით ჩაიძირა ზღვის ტალღებში და ელვასავით გაქრა.

ორი ოჯახის ღრმა ჭრილობა და დიდი ტკივილი ხარ, რომელიც მოუშუშებულ იარად იქცა.

დაგრჩა შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე და შვილები, რომლებიც ყოველთვის დაგინთებენ სანთელს და გზას გაგიკაფავენ სამარადისო სასუფეველში.

ვილოცებთ ყველა. შენ ისეთი ფაქიზი და სპეტაკი სულის პატრონი იყავი, რომ დავიწყება არ გიწერია. იძინე მშვიდად, უფალი იყოს შენი სულის მფარველი. ამინ!

*ღრმა მწუხარებით, შენი მეზობლები*

### გიორგი (გია) პაპავას გახსენება



როგორ სწრაფად გაფრინდა 3 წელი. 16 ივლისი, დედიკო, ჩემთვის და შენთვის საბედისწერო რიცხვი დადგა, სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს. ეს წლები შენი დედისთვის წამებისა და ტანჯვის წლები იყო. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო. ღმერთო, წამართვი არა მარტო შვილი, გამიშრე ცრემლი, სისხლი და გონება. შვილო, ჩემო მონატრებულო, გულს მიკლავს შენი ცოლშვილის ყურება. მართალია, შენს შვილებს არაფერი აკლიათ, გარდა შენი სიყვარულისა და სითბოსი, თავს არ ზოგავს შენი საყვარელი მეუღლე, ეკა, რომ შვილებს უმამობა არ აგრძნობინოს, მაგრამ შენი მათთან ყოფნა სულ სხვა იქნებოდა. მიღალატე, შვილო, 73 წლის დედა სამუდამოდ გააუბედურე. ვიცი, ვერაფერს შეცვლი, მხოლოდ გთხოვ, შენთან წამიყვანე და ჩემი ტანჯვის ყურებისაგან გაათავისუფლე შენი და, თამილა. დედიკო, თუ რამე კარგი გახსოვს ჩემგან, შემისრულე ერთი თხოვნა: წამიყვანე შენთან. ვიტანჯები, შემიცოდე, ღმერთო!

*შენი დედიკო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 2. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 4. ჩეხური ქოფაკი; 5. მხარე ავსტრიაში; 9. წვნიანი კერძი; 10. ჯარის რჩეული ნაწილი; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. გემის ავარიის შედეგად მიყენებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 16. შავი და თეთრი შრეებისაგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 19. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 21. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 7. პირველი ქართველი მფრინავი; 8. „ფორმულა 1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 11. მონასტრის მსახური; 12. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 13. 60-იანი წლების მადრიდის „რეალში“ მოთამაშე ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 17. ერთგვარი თამაში-გამოცანა; 18. კიდული რკინიგზა; 22. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 23. ეკლესია-მონასტერი; 24. აყალმაყალის, ჩხუბის, დუელის ამტეხი ადამიანი; 25. ებრაული სამლოცველო.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოქო; 2. ვეკუა; 3. ფლირტი; 5. რუმბა; 6. დილიჟანი; 8. კრაკოვიაკი; 10. აზნაური; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. მარინა; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ჟენევა; 4. ორმუზდი; 7. ჰაკერი; 9. ტირანა; 11. სარკოზი; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. ეროზია; 18. „საკე“; 19. ინტელექტი; 20. მინისტრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პროფანი; 2. ბოიკოტი; 3. არბიტრაჟი; 4. ლიკუდი; 5. გრახტი; 9. ბადრო; 10. ავენიდა; 14. ჰიდროფობია; 15. ბუქარესტი; 16. გრინგო; 19. მისტიკა; 20. პიკეტი; 21. კრისტი.

**თარაზულად:** 6. პროვოკატორი; 7. მადიარი; 8. აფრიკა; 11. ბანდიტი; 12. ოტავა; 13. გამპერი; 17. კურლანდია; 18. კარლსბადი; 22. ფიდიასი; 23. გურზუფი; 24. ოკულისტი; 25. ლინოტიპი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 39-31, ღამით — 18-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 21-22

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 13-1§

## ამინდის პროგნოზი 16 ივლისისთვის








**წამალი "ფერდი"** შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**წამალი "ფერდის"** მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

**წამალი "ფერდი"** იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## კახა კალაძეს „ანჟი“ იწვევს



თუ რუსულ საინფორმაციო საშუალებებს დავეყრდნობით, მახაჩყალის „ანჟი“ საკუთარი დაცვის ხაზის გაძლიერებას საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „ჯენოას“ 33 წლის მცველით კახი კალაძითაც აპირებს. ამ საკითხზე მახაჩყალელები უკვე დაკავშირებიან კალაძის აგენტს.

რამდენად ჯდება „ანჟი“ ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტნის ინტერესთა სფეროში, სხვა საკითხია, მაგრამ, რუსული წყაროების ცნობით, მდიდარი დაღესტნური კლუბი მზადაა, როგორც იტალიელებს, ისე კალაძეს სერიოზული ფინანსური პირობები შესთავაზოს.

შეგახსენებთ, რომ კახამ ცოტა ხნის წინ მოსკოვის „დინამოსგან“ დაინტერესებასა და ფინანსურად მომხიბვლელ წინადადებაზე ისაუბრა, რომელზეც, საბოლოო ჯამში, ჩვენებურს უარი უთქვამს. ეს ინფორმაცია მოგვიანებით მოსკოვური კლუბის წარმომადგენლებმა უარყვეს.

— კალაძე მართლაც შედის ჩვენი კლუბის ინტერესების სფეროში. ეს ფეხბურთელი არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ჩვენი დაცვის ხაზს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდებოდა. ამასთან, კახა ბრწყინვალედ საუბრობს რუსულად და გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები მისგან ბევრს ისწავლიდნენ, — განუცხადა „ტვოი დენს“ მახაჩყალური კლუბის წარმომადგენელმა.

გენუელებთან კახას კონტრაქტი ორი წლის შემდეგ ეწურება. ამის გათვალისწინებით, ქართველი მცველის სატრანფერო ფასი 1,7 მილიონი ევროთი განისაზღვრება, თუმცა, „ჯენოას“ მფლობელები ამაზე გაცილებით მეტს მოითხოვენ.

შეგახსენებთ, რომ „ანჟის“ კარს საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, მეკარე ნუკრი რევიშვილი იცავს.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**16 ივლისი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება. **სასწორი** — გადაიხალისეთ გარდერობი, გელით საქმიანი შეხვედრა. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავიც ჩამოაქვს. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

**17 ივლისი — შემოქმედებითი დღეა.**

**ვერძი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი მოაქვს. **სასწორი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, გელით შენაძენი. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 11 ივლისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

**ტომი 8**

ვაჟა-ფშაველა




**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## იუმორი



* * *

— საყვარელო, ხომ მართლა ღმერთმა გაჩუქა ჩემი თავი?

— ნამდვილად, მაგრამ, რა შეცოდებისათვის — არ ვიცი...

* * *

ტიპი ცათამბჯენის ლიფტით მგზავრობს. ლიფტიორს ეკითხება:

— ალბათ, ძალიან მძიმე სამუშაო გაქვთ.

— დიახ, სერ.

— რა არის ყველაზე მძიმე თქვენს სამუშაოში? ალბათ — ზემოთ ასვლა.

— არა, სერ.

— აბა, დაბლა დაშვება?

— არა, სერ.

— მაშ რა?

— შეკითხვები, სერ, იდიოტური შეკითხვები...

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სტიბიუმის საბადო ზემო რაჭაში; 2. ტურისტთა მეგზური; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 9. ქართველ ქალთა ცეკვა; 13. გემის სამზარეულო; 14. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 15. ცისფერი ძვირფასი ქვა; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. აშშ-ს ელჩი საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ხორვატიის დედაქალაქი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ხეხილის ბაღი; 8. ძველი ბერძენი მოქანდაკე; 10. ძველებური კაჟიანი თოფი; 11. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 12. კოსმეტიკური საცხი; 16. თონეში გამომცხვარი პური; 17. ბედ-იღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 22. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 23. დაბალი ტკბილი ხმით მღერა; 24. ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

